

პალატების სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2023, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2023, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2023, №6

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2023, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს
დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას 4
2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის 23; 39
3. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი
პირგასამტეხლოს დაკისრება 51; 72; 90
ბე 146
4. ვალდებულების შეწყვეტა
ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით 167
ვალდებულების შესრულების მიღება 177; 190
ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის
ლიკვიდაციის გამო 204

1. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს

დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას

განმარტება საქართველოს სახელით

№ას-82-2020

14 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე**

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა, უძრავი ქონების სა-
კუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 4 აპრილს შპს „ს.კ. ს-მ-სა (შემდგომში „მყიდველი“, „კომპანია“, „მოპასუხე კომპანია“, „მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) და ლ. ა-ს (შემდგომში „გამყიდველი“ ან „მოსარჩელის მეუღლე“) შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა მყიდველს მიჰყიდა ქ. თბილისში, ... ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი №...).

2. ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველი იღებდა ვალდებულებას, რომ: ა) ნასყიდობის საგანს – 1859 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მხოლოდ მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსის) ასაშენებლად გამოიყენებდა; ბ) მშენებლობის დასრულებას და მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებას უზრუნველყოფდა არა უგვიანეს 2014 წლის 30 მარტისა; გ) მყიდველი გამყიდველს საკუთრებაში გადასცემდა 850 კვ.მ აშენებულ, ექსპლუატაციაში მიღებულ ფართს; აღნიშნული ფართიდან 250 კვ.მ გამყიდველს თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, ხოლო 600 კვ.მ შავ კარკასულ მდგომარეობაში გადაეცემოდა; დ) მშენებლობის დასრულებამდე და მის ექსპლუატაციაში მიღებამდე (ან მხარეთა შორის მიღწეულ სხვა დამატებით შეთანხმებამდე) მყიდველი გამყიდველს (ან მის უფლებამონაცვლე პირებს) საცხოვრებელი ფართის ყოველთვიური ქირით, 800 აშშ დოლარით უზრუნ-

ველყოფდა.

3. 2013 წლის 30 მარტს გარდაიცვალა გამყიდველი. 2013 წლის 11 ოქტომბრის სამეკიდრო მოწმობის შესაბამისად, გარდაცვლილის მემკვიდრეობა მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ (და შესაბამისად, მის უფლებამონაცვლედ იქნა ცნობილი) ს. ა-მა (შემდგომში „მოსარჩელე“).

4. 2014 წლის 11 სექტემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა შეთანხმება 2012 წლის 4 აპრილს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და მასში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები: 1. მოსარჩელე, რომელიც გამყიდველის მემკვიდრეა, 2012 წლის 4 აპრილის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში, გამყიდველის უფლებამონაცვლედ იქნა ცნობილი და მის სასარგებლოდ უნდა შესრულებულიყო ყველა ის ვალდებულება, რაც მყიდველს გამყიდველის წინაშე ჰქონდა აღებული; 2. მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ვადად 2015 წლის 1 მარტი განისაზღვრა, კერძოდ, თუ კომპანია 2015 წლის 1 მარტამდე ინვესტორს ვერ მოიძიებდა და მშენებლობის პროცედურებს არ დაიწყებდა, 2012 წლის 4 აპრილის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა და ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მდებარე უძრავი ნივთი (საკადასტრო კოდი: ...) საკუთრებაში გამყიდველის მემკვიდრეს დაუბრუნდებოდა, რომელიც ამავე ქონების მესაკუთრედ აღირიცხებოდა. მხარეთა შეთანხმებით, 2012 წლის 4 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების სხვა პირობები უცვლელი დარჩა.

5. 2014 წლის 22 დეკემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ მოპასუხეს მიჰყიდა ქ. თბილისში, მ. ... ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...). ნასყიდობის საფასურად 1000 ლარი განისაზღვრა.

6. კომპანიის საკუთრებაში არსებული ორი უძრავი ქონების (№... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების) გაერთიანების შედეგად მიღებული იქნა უძრავი ქონება ერთი საკადასტრო კოდით – №...

7. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას უძრავი ქონება საკადასტრო კოდით ... მოპასუხის სახელზე ირიცხებოდა.

8. კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 20 მარტს გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/671-1, ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. დაკმაყოფილ-

და კომპანიის დირექტორის განცხადება, ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 19 სექტემბრის №201 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისათვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე.

9. დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მთავრობა ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 19 სექტემბრის №2101 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისათვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის მოპასუხისთვის გადახდის გადავადებას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე ახდენდა. ხოლო, შეთანხმების განხორციელების მიზნით, კომპანიას არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრამდე, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა უზრუნველყო.

10. მოპასუხეს მოსარჩელისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართები არ გადაუცია.

11. სასარჩელო მოთხოვნა

11.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა და ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრედ ცნობა.

11.2. მოსარჩელის განცხადებით, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, 2015 წლის 1 მარტამდე მოპასუხეს უნდა მოეძიებინა ინვესტორი და დაეწყო მშენებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულება ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად. მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, მას არ მოუძიებია ინვესტორი, მინის ნაკვეთზე არ შეცვლილა დანიშნულება (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება არ შეცვლილა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით) და მასზე არ დანეშებულა მშენებლობა.

12. მოპასუხის პოზიცია

12.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია. პირობების შესრულებას მუდმივად ხელს უშლიდა მოსარჩელე – 2012 წლის 4 აპრილს მოსარჩელეს მოპასუხისთვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში უნდა გადაეცა უძრავი ქონება, რაც მან არ შეასრულა. ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების

შესაბამისად, მშენებლობის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 მარტი, თუმცა მოსარჩელე კვლავ მიზანმიმართულად განაგრძობდა ხელშეშლას.

13. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი ხელშეკრულებიდან გასვლისა და უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე ცნობილი იქნა ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრედ.

14. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

14.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

15. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-10 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

15.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 316-ე, 317-ე, 352-ე, 405-ე, 629-ე მუხლებით, ასევე მიუთითა მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესზეც და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელე მოპასუხის მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლის მოტივით უძრავი ქონების უკან დაბრუნების თაობაზე დავობდა, მისი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას ხელშეკრულების გასვლისთვის კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობის დამტკიცება წარმოადგენდა. კერძოდ, მას მოწინააღმდეგე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების იმგვარი დადგენის ფაქტი უნდა დაედგინებინა, რომელიც არსებით დარღვევას წარმოადგენდა და მხარის ხელშეკრულებაში დარჩენას აზრს უკარგავდა. რაც შეეხება მოპასუხე მხარეს, სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას ხელშეკრულების პირობების დარღვევის არარსებობის ან/და უმნიშვნელო დარღვევის არსებობის დადასტურება წარმოადგენდა.

15.4. სასამართლომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოე-

ბებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მოპასუხე კომპანიამ გამყიდველის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები ჯერ კიდევ 2014 წლის 30 მარტს დაარღვია, ხოლო ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ მოპასუხეს მშენებლობის დაწყებისა და ინვესტირების მოძიების ვალდებულება 2015 წლის 1 მარტამდე განესაზღვრა. ამ ვადაში ვალდებულებების შეუსრულებლობა კი 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულების ძალადაკარგულად ცნობას და სადავო უძრავი ნივთის მოსარჩელის საკუთრებაში დაბრუნებას იწვევდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2015 წლის 1 მარტს შესასრულებელი ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების არსებით დარღვევას უთანაბრდებოდა, რაც მოსარჩელის ხელშეკრულებაში დარჩენას აზრს უკარგავდა.

15.5. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მის მიერ პროექტის შედგენა, ასევე მიწის ნაკვეთის დანიშნულების შეცვლა გულისხმობს შეთანხმებით გათვალისწინებული სამშენებლო საქმიანობის დაწყებას. რაც შეეხება საქმის მასალებში არსებულ ქ. თბილისის მთავრობის №11.27.509 დადგენილებას, რომლითაც კომპანიას განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა გადაუგადა, სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული 2014 წლის 25 აპრილს გამოიცა, რაც კომპანიას თითქმის ერთ წელს აძლევდა, რათა კოეფიციენტის გაზრდის საფასური გადაეხადა და, შესაბამისად, სამუშაოები დაეწყო, თუმცა, აღნიშნულის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმის მასალებში არ მოიძებნება.

15.6. სააპელაციო სასამართლომ მიწის ნაკვეთის დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით საქმის მასალებში წარდგენილი წერილობითი მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ აღნიშნული მოქმედება 2017 წლის 1 სექტემბერს განხორციელდა, მაშინ როდესაც მშენებლობის დაწყების ბოლო ვადად 2015 წლის 1 მარტი იყო განსაზღვრული, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოპასუხის მიერ მიწის ნაკვეთის დანიშნულების შეცვლა ვერც მშენებლობის დაწყებად და ვერც შეთანხმების ვადაში გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებად ვერ მიიჩნეოდა.

15.7. სასამართლომ დასაბუთებულ სააპელაციო პრეტენზიად არ მიიჩნია მოპასუხის არგუმენტი იმის შესახებ, რომ მშენებლობის დაწყებას თავად მოსარჩელე უშლიდა ხელს. პალატის მოსაზრებით, მოპასუხეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე დოკუმენტი, რაც მის მიერ მოსარჩელის გაფრთხილებაზე ან სხვა რაიმე ზომების მიღებაზე მიუთითებდა. რაც შეეხება წერილს, სადაც

მოპასუხე მოსარჩელეს პროექტის განხორციელებაში ხელშეშლის აღკვეთისკენ მოუწოდებს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული წერილი შედგენილია 2017 წლის 19 ივნისს, შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან თითქმის 2 წლის შემდეგ, შესაბამისად, იგი ვერ მიიჩნეოდა მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად.

15.8. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებით დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომ 2014 წლის 22 დეკემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით მოსარჩელემ მოპასუხეს სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად, მიჰყიდა ქ. თბილისში, მ. ... ქუჩა №1-ში მდებარე, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაცემული ქონების სიმბოლური ფასი და აღნიშნული საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობა, სასამართლოს უქმნიდა შინაგან რწმენას, რომ 2014 წლის 22 დეკემბერს მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის გადაცემული ქონება, ისევე როგორც 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებით გასხვისებული ქონება, კომპანიის მიერ ასაშენებელი და მოსარჩელისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ბინების საზღაურს წარმოადგენდა.

16. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

16.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

16.2. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

16.3. სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ მოპასუხეს არ წარუდგენია ინვესტორის მოძიებისა და მშენებლობის პროცედურების დაწყების ფაქტის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები.

16.4. სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად დაასკვნა, რომ მოპასუხეს მშენებლობა უნდა დაესრულებინა 2015 წლის 1 მარტამდე, შესაბამისად, არასწორია ის მსჯელობაც, რომ მოპასუხის მიერ პროექტის შედგენა და მიწის ნაკვეთის დანიშნულების შეცვლა შეთანხმებით გათვალისწინებული სამშენებლო საქმიანობის დაწყებას არ გულისხმობს.

16.5. მოპასუხემ 2014 წლის 4 აპრილის შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ზედმიწევნით შეასრულა. 2014 წლის 11 სექტემბრიდან (ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის დღე) 2015 წლის 1 მარტამდე არის 6 თვეზე ნაკლები და დროის ამ მონაკვეთში მოპასუხემ განახორციელა შემდეგი ქმედებები: 1) დაეხმარა მოსარჩელეს მის მომიჯნავედ არსებული დაახლოებით 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთის ლეგალიზებაში და მოსარჩელის სახელზე აღრიცხვაში, რაც დაკავშირებული იყო მატერიალურ დანახარჯებთან; 2) ლეგალიზების დასრულების შემდეგ, 2014 წლის 22 დეკემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს 1000 ლარად გადასცა 325 კვ.მ ლეგალიზებული მიწის ნაკვეთი, რომელიც მოპასუხემ გააერთიანა ადრე მის მიერ ნაყიდ 1859 კვ.მ მიწის ნაკვეთთან და 2015 წლის 8 იანვრიდან (საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დასრულების შემდეგ) გახდა 2184 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მოსარჩელისგან დამატებით 325 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენა მოპასუხეს სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდისთვის სჭირდებოდა, რაც სწორედ სამშენებლო პროცედურის ნაწილია. შესაბამისად, უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხეს ინვესტორის მოძიებისა და მშენებლობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

16.6. სასამართლო არასწორად იყენებს ტერმინს „სამშენებლო სამუშაოები“ ნაცვლად ტერმინისა „სამშენებლო პროცედურები“ და აშკარაა, რომ „სამშენებლო სამუშაოებში“ გულისხმობს ფიზიკურ სამუშაოებს (როგორიცაა, მაგალითად, საძირკვლის გათხრა, ბალავარის ჩასხმა და ა.შ). სინამდვილეში კი „სამშენებლო პროცედურები“ მოიცავს როგორც მშენებლობის დოკუმენტურ უზრუნველყოფას, ასევე თვით სამშენებლო სამუშაოებსაც, იგი უფრო ფართო შინაარსის შემცველია და სასამართლომ არასწორად დაავიწროვა.

16.7. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ მოპასუხეს არ გადაუხდია განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებელი, რომლის გადახდის ვალდებულებაც მას ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით ერთი წლით გადაუვადდა. კასატორის მოსაზრებით, განაშენიანების კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებელი მოპასუხეს უნდა გადაეხადა იმ ძველი მშენებლობის პროექტით დადგენილი კოეფიციენტისთვის, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წლის მარტში დამტკიცდა. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 11 სექტემბრის შეთანხმებით მხარეებმა გადანაცვლეს სამშენებლო ფართობის და სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდა, ცხადია, იმ მოსაკრებლის გადახდამ, რომელიც ძველი პროექტის მიხედვით უნდა

გადახდილიყო, აზრი დაკარგა. ახალი პროექტის დადგენის შემდეგ ახალი კოეფიციენტის შესაბამისი მოსაკრებელი უნდა გადახდილიყო. ამიტომ აღნიშნული სახის მოსაკრებლის გადაუხდელობა არ არის დაკავშირებული მოპასუხის მიერ 2014 წლის 11 სექტემბრის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

16.8. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია მოპასუხისთვის მშენებლობის განხორციელებაში ხელშეშლას. კასატორის განცხადებით, 2014 წლის 11 სექტემბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე პერიოდი მოხმარდა სამშენებლო ობიექტის და სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდას. 2015 წლის 1 მარტიდან ზუსტად ერთ თვეში კი, 2015 წლის 1 აპრილს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქონების საკუთრებაში დაბრუნების მოთხოვნით. სარჩელის შეტანასთან ერთად მოპასუხის ქონებაზე გამოყენებული იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება და მოპასუხეს შეძენილი მიწის ნაკვეთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა აეკრძალა. 2017 წლის 28 მარტს მოსარჩელემ სარჩელი გაიხმო და მისივე განცხადების საფუძველზე გაუქმდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. სარჩელის გახმოიდან დაახლოებით 4 თვეში კი, 2017 წლის 20 ივლისს მოსარჩელემ ახალი სარჩელი წარადგინა, რომელიც ამჟამად იხილება. კასატორის განცხადებით, იმ პერიოდში, როდესაც მოსარჩელეს სარჩელი ჰქონდა შეტანილი სასამართლოში, მშენებლობა ვერ წარიმართებოდა, რადგან მოსარჩელე ხელშეკრულების შეწყვეტას და ქონების უკან დაბრუნებას ითხოვდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ სარჩელი გაითხოვა და დავა შეწყდა, მოპასუხე შეეცადა დაენყო მშენებლობა, თუმცა მოსარჩელე არ ათავისუფლებდა სამშენებლო ობიექტს და ხელს უშლიდა მშენებლობის დაწყებას. სწორედ ამ ხელშეშლის აღსაკვეთად იყო მიმართული მოპასუხის 2017 წლის 19 ივნისის წერილი. ცხადია ეს წერილი არ გამოდგებოდა 2014 წლის 11 სექტემბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე პერიოდში მოსარჩელის მიერ განხორციელებული ხელშეშლის დასადასტურებლად. აღნიშნულ პერიოდში მოპასუხემ პირნათლად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ზემოაღნიშნულ წერილზე მითითება მოპასუხეს დასჭირდა იმ გარემოების დასამტკიცებლად, რომ 2011 წლიდან 2015 წლამდე პერიოდშიც და მას შემდეგაც იგი ცდილობდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო თუ 2014 წლის 11 სექტემბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე პერიოდი მას დასჭირდა სამშენებლო პროექტისა და კოეფიციენტის გაზრდის დასამტკიცებლად საჭირო პროცედურებისთვის, შემდგომ პერიოდში მშენებლობის წარმარ-

თვა ვერ შეძლო მოსარჩელის მხრიდან ხელშეშლის გამო.

16.9. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონება, 2014 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებით გადაცემული ქონების მსგავსად მოსარჩელისთვის მისაღები საცხოვრებელი ბინების საზღაურს წარმოადგენს. 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებით გამყიდველმა მყიდველს გადასცა 1859 კვ.მ ფართი, რის სანაცვლოდაც მას უნდა მიეღო საცხოვრებელი ბინები 850 კვ.მ.. ხელშეკრულება არანაირ მიზნებას არ შეიცავს გამყიდველის მხრიდან დამატებით მიწის ნაკვეთის გადაცემის ვალდებულების შესახებ. უფრო მეტიც, ამ დროისათვის №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონება არ წარმოადგენდა გამყიდველის საკუთრებას, ხოლო მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ მოპასუხის მხარდაჭერით საკუთრებაში აღირიცხა 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მისი ნაწილი, 325 კვ.მ მიჰყიდა მოპასუხეს, მოსარჩელის მიერ მისაღები ფართის ოდენობა (850 კვ.მ) არ შეცვლილა. ანუ გადასცემდა თუ არა დამატებით 325 კვ.მ ფართს მოსარჩელე მოპასუხეს, მოსარჩელეს კვლავ 850 კვ.მ უნდა მიეღო უკვე გადაცემული 1859 კვ.მ ფართის სანაცვლოდ. ამრიგად, 2014 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულების მოსარჩელის მიერ მისაღებ ფართთან დაკავშირება გაუმართლებელია.

17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

17.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო, 2020 წლის 16 სექტემბრის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ დამსაქმებლის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-

პუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

19. მოცემულ შემთხვევაში, წარდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია იმ საკითხის გარკვევა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რა სახის ვალდებულებები წარმოეშვა მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ, შეასრულა თუ არა მან ეს ვალდებულებები სრულად და ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის მოტივით ხელშეკრულებიდან გასვლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. კასატორის განცხადებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლისა და ქონებაზე მისი მესაკუთრედ ცნობის შესახებ, რომ არ გაითვალისწინეს მხარეთა შორის 2012 წლის 4 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაში 2014 წლის 11 სექტემბრის შეთანხმებით განხორციელებული ცვლილებები. შესაბამისად, არასწორად დაასკვნეს, რომ მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა.

20. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებულ პრეტენზიას და აღნიშნავს შემდეგს: იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ქონების მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნა სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური), სსკ 352.1 მუხლიდან (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება), 405-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან (თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალ-

დებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ) და 405-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება) გამომდინარეობს.

21. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულების შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შესრულებას, ხოლო კრედიტორი ღებულობს შესრულებას. ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მხარეები ვალდებული არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. (ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების საკითხზე იხ. სუსგ საქმე №ას-1166-2019, 6 აპრილი 2020). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების საკითხის დადებითად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მისი თანმდევი მატერიალური შედეგის – ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული უკან დაბრუნების დადგომა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა.

22. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები).

23. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია: ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს); ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ

მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი ან/და კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი; გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად გადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა; დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი; ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც უკვე წარმოდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუკი კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მაგალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე); ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მოცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი – ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა – გაფრთხილება (იხ. სუსგ საქმე №ას-1003-924-2017, 1 დეკემბერი, 2017 წელი; საქმე №ას-1166-2019, 6 აპრილი, 2020 წელი).

24. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო. თუ ვალდებულებები ჯერ კიდევ არ არის შესასრულებელი, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, რადგან მას არ ექნება ამის საფუძველი (თუმცა, სკ-ის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეს შეუძლია შესრულების ვადის დადგომამდე განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის პირობა ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულებაა. ამასთან, თუ მოვალემ ვალდებულება შეასრულა ან კრედიტორმა შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულება მიიღო, კრედიტორი ხელშეკრულებიდან ვერ გავა. კრედიტორს ასევე ეზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ მოვალემ წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარმოადგენს პრეტენზიას (შესაგებელს). ანალოგიური წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც მოვალეს შეუძ-

ლია ვალდებულების გაქვითვა და იგი ამ უფლებას კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაყენებისთანავე გამოიყენებს). ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლა წარმოშობს მონაწილეთა შორის ახალ ვალდებულებას: მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ.

25. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები განამტკიცებენ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია მოვალეს დაუწესოს დამატებითი ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად. თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გამოწვევის შემთხვევებს, როდესაც არ არის საჭირო ვალდებული პირისათვის არც დამატებითი ვადის დაწესება და არც გაფრთხილება, ესენია: თუ: ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.

26. განსახილველ დავაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თავდაპირველად, სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოიშვა მოპასუხესა და მოსარჩელის მეუღლეს შორის, როგორც მყიდველსა და გამყიდველს შორის და 2012 წლის 4 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველმა მყიდველს მიჰყიდა ქ. თბილისში, მ. ... ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით №...; სანაცვლოდ, მყიდველმა იკისრა ვალდებულება ა) ნასყიდობის საგანი – 1859 კვ.მ მიწის ნაკვეთი, გამოეყენებინა მხოლოდ მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსის) ასაშენებლად; ბ) მშენებლობის დასრულება და მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება უზრუნველყო არა უგვიანეს 2014 წლის 30 მარტისა; გ) გამყიდველისთვის საკუთრებაში გადაეცა 850 კვ.მ აშენებული, ექსპლუატაციაში მიღებული ფართი (აღნიშნული ფართიდან 250 კვ.მ გამყიდველს თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, ხოლო 600 კვ.მ – შავ კარკასულ მდგომარეობაში); დ) მშენებლობის დასრულებამდე და მის ექსპლუატაციაში მიღებამდე (ან მხარეთა შორის მიღწეულ სხვა დამატებით შეთანხმებამდე) გამყიდველი (ან მისი უფლებამონაცვლე პირები) უზრუნველყო საცხოვრებელი ფართის ყოველთვიური ქირით, 800 აშშ დოლარით.

27. მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მოსარჩელის მეუღლე (გამყიდველი), 2013 წლის 11 ოქტომბრის სამკვიდრო მონუმბის შესაბამისად, გარდაცვლილის მემკვიდრეობა მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ, მოსარჩელემ. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები გადავიდა მასზე (როგორც მემკვიდრეზე) და 2014 წლის 11 სექტემბრის შეთანხმებით ცვლილებები განხორციელდა 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებაშიც. კერძოდ, დადგინდა შემდეგი: 1) მოსარჩელე, როგორც გამყიდველის მემკვიდრე, გამყიდველის უფლებამონაცვლედ იქნა ცნობილი და მის სასარგებლოდ უნდა შესრულებულიყო ყველა ის ვალდებულება, რაც მყიდველს გამყიდველის წინაშე ჰქონდა აღებული; 2) მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 მარტი. კერძოდ, თუ კომპანია 2015 წლის 1 მარტამდე ინვესტორს ვერ მოიძიებდა და მშენებლობის პროცედურებს არ დაიწყებდა, 2012 წლის 4 აპრილის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა და ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: ...) საკუთრებაში დაუბრუნდებოდა გამყიდველის მემკვიდრეს, რომელიც ამავე ქონების მესაკუთრედ აღირიცხებოდა. 2012 წლის 4 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების სხვა პირობები უცვლელი დარჩა.

28. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების შინაარსის ურთიერთშეჯერებით, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ 2014 წლის 11 სექტემბრის შეთანხმებით ერთგვარად ახლებურად ჩამოყალიბდა 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულების ზოგიერთი არსებითი პირობა, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა, ხელშეკრულების შესრულების პროცედურა და შესრულების ვადა, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები. კერძოდ, თავდაპირველად მხარეები შეთანხმდნენ, რომ მშენებლობის დასრულება და მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება მოპასუხეს უნდა უზრუნველყო არა უგვიანეს 2014 წლის 30 მარტისა, ხოლო განხორციელებული ცვლილებებით მითითებული პირობა შეიცვალა და მოპასუხეს დაევალა არაუგვიანეს 2015 წლის 1 მარტისა მოეძიებინა ინვესტორი და დაენყო მშენებლობის პროცედურები. დაზუსტდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებიც – იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ვერ შეასრულებდა ხელშეკრულების პირობებს, მას ეკისრებოდა ვალდებულება მოსარჩელისთვის (როგორც გამყიდველის მემკვიდრისთვის) საკუთრებაში დაებრუნებინა გასხვისებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი ...).

29. ამრიგად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ თავდაპირველი ხელშეკრულებით მოპასუხეს განსაზღვრულ ვადაში (არაუგვიანეს 2014 წლის 30 მარტისა) მშენებლობის დასრულება და კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ექსპლუატაციაში მიღება ევალებოდა, მოგვიანებით დაზუსტებული პირობებით, მას არაუგვიანეს 2015 წლის 1 მარტისა ინვესტორის მოძიება და მშენებლობის პროცედურების დაწყება დაევალა.

30. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხეს არ განუხორციელებია რაიმე ქმედება, რაც მოსარჩელის ხელშეკრულებიდან გასვლის არსებით პირობას ქმნიდა.

31. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაში/გადაწყვეტილებაშია განმარტებული, საეჭვოობისას ხელშეკრულებისა და ნების განმარტების (სსკ-ის 52-ე მუხლი) შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს (იხ. სუსგ საქმე №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი). ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს.

32. აღნიშნული მსჯელობისა და იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების დაზუსტებული პირობებით მოპასუხეს განსაზღვრულ ვადაში არა მშენებლობის დასრულება, არამედ ინვესტორის მოძიება და მშენებლობის პროცედურების დაწყება დაევალა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს სწორედ ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისა და შეფასების შედეგად უნდა დაედგინათ, შეასრულა თუ არა მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

33. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ზოგადად, სამშენებლო საქმიანობის მონაწილეთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ თავისებურებებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“, რომელიც ადგენს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმების დაცვისა და რეგულირების მექანიზმს. მითითებული კანონის მიხედვით, „სამშენებლო საქმიანობა“ – ესაა სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო მოედნის ორგანიზება, მშენებლობის წარმოებისა და სამშენებლო/სანებართვო პირობების შესრულება – ეს საქმიანობები ცალ-ცალკე ან ერთად (მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი). ამრიგად, სამშენებლო საქმიანობაში მოიაზრება, როგორც მშენებლობის დაწყებამდე გასატარებელი ღონისძიებები (სანებართვო დოკუმენტაციის მოძიება, სანებართვო პირო-

ბების შესრულება და ა.შ), ასევე, თავად მშენებლობა და მასთან დაკავშირებული პროცედურები.

34. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხელშეკრულებების დადების შემდგომ მოპასუხემ ეტაპობრივად განახორციელა შემდეგი სახის ქმედებები:

ა) 2014 წლის 8 აპრილს მან განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდის მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადადება შენობის ექსპლუატაციაში მიღებამდე და მასთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დადება.

ბ) თბილისის მთავრობის 2014 წლის 25 აპრილის №22.27.509 დადგენილებით დაკმაყოფილდა მოპასუხის განცხადება და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე მას გადაუვადდა ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 19 სექტემბრის №201 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისათვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა. ამავე დადგენილებით, შეთანხმების განხორციელების მიზნით განისაზღვრა, რომ მოპასუხეს არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრისა უნდა უზრუნველყო უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

გ) გაზრდილი ქალაქმშენებლობის პარამეტრებით მშენებლობის განხორციელების მიზნით (რასაც არ აკმაყოფილებდა მოპასუხის მიერ 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებით შეძენილი უძრავი ქონება), მოპასუხემ 2014 წლის 22 დეკემბერს მოსარჩელესთან გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, შეიძინა იმავე მისამართზე (ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში) მდებარე 325 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით №...), რომელიც გააერთიანა 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებით შეძენილ ქონებასთან (საკადასტრო კოდი ...) და ქონებას მიენიჭა ერთი საკადასტრო კოდი – №... .

დ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 30 იანვრის №215 ბრძანებით ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე გაიზარდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები.

35. ზემოაღნიშნული დოკუმენტების ურთიერთშეჯერებისა და იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმება მოპასუხეს მშენებლობის პროცედურების 2015 წლის 1 მარტამდე დაწყებას ავალდებულებდა, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის განმარტებას იმის შესა-

ხებ, რომ ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 1 მარტამდე პერიოდი მოპასუხემ სწორედ აღნიშნული პროცედურების (სამშენებლო ობიექტისა და სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდას) განხორციელებას მოახმარა. რაც შეეხება შეთანხმებით განსაზღვრულ მეორე პირობას მშენებლობისთვის ინვესტორის მოძიების შესახებ, ვინაიდან მოპასუხეს არცერთი ინსტანციის სასამართლოში არ წარუდგენია შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში (2015 წლის 1 მარტამდე) ინვესტორის მოძიების ან/და მოძიების მცდელობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეთანხმების ზემოაღნიშნული პირობა მოპასუხის მიერ არ შესრულებულა, რაც დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლებოდა გამხდარიყო ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის წინაპირობა.

36. საკასაციო პალატა ასევე შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის თანმდევი მატერიალური შედეგის – ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულის უკან დაბრუნების საკითხს. სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისთვის გადაცემული ორი უძრავი ქონება მოსარჩელის მიერ ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში მისაღები საცხოვრებელი ბინების საზღაურს წარმოადგენს.

37. მითითებული საკითხის შეფასების მიზნით, სასამართლო კიდევ ერთხელ ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2012 წლის 4 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველმა მყიდველს მიჰყიდა ქ. თბილისში, ... ქ. №1-ში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1859 კვ.მ მიწის ნაკვეთი მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსის) ასაშენებლად; 2014 წლის 11 სექტემბრის შეთანხმებით კი (რომლითაც ცვლილებები და დამატებები განხორციელდა 2012 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებაში), მოპასუხემ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სწორედ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მოსარჩელის საკუთრებაში დაბრუნების ვალდებულება იკისრა; ამრიგად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმებებით იმპერატიულად განისაზღვრა კონკრეტული უძრავი ქონების – №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამართლებრივი ბედი – ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მესაკუთრისთვის საკუთრებაში დაბრუნების საკითხი. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ 2012 წლის 4 აპრილისა და 2014 წლის 11 სექტემბრის ხელშეკრულებების მიზნებიდან არ გამომდინარეობს

სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ორი უძრავი ქონების გაერთიანებით მიღებული, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მოსარჩელისთვის საკუთრებაში დაბრუნების შესახებ.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმე მითითებული საკითხების ხელახლა განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს და თუ, საქმის განმეორებით განხილვისას, სააპელაციო სასამართლო კვლავ დაადგენს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელის ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობას, დადგენილი გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა მოახდინოს საკუთრებაში დასაბრუნებელი უძრავი ქონების იდენტიფიცირება.

39. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

40. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 408-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს.კ. ს-მ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-154-2021

1 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქუერი

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, შემკვეთი) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „რ-კოს“ (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი, მენარდე) მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს 2500 ლარის გადახდა დაეკისრა, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისათვის ზიანის – 47 304 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით აპელანტის (შემკვეთის) მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის – 26 413 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

4. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 21.08.2018 წელს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება;

4.2. ნასყიდობის საგანი იყო დუშეთის რაიონი, სოფელი ..., „მ. ვ-

ზე“ (ს/კ ...) ასაშენებელ სასტუმროში – „ო“ ბლოკში 1 სართულზე განთავსებული სასტუმროს ნომერი №34, ფართით: 37,20 კვ.მ (იხ. ხელშეკრულების 1.2 მუხლი);

4.3. გამყიდველის განცხადებით, მყიდველს სრულად აქვს გადახდილი ნასყიდობის საგნის მთლიანი ღირებულება – 41 920 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარში;

4.4. ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, გამყიდველმა განაცხადა, რომ 2018 წლის 30 დეკემბრამდე ნასყიდობის საგანი იქნებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი;

4.5. იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ვერ მოახერხებდა მასზე დაკისრებული ვალდებულების სრულად შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, მყიდველი უფლებამოსილი იქნებოდა წერილობით მოეთხოვა პირგასამტეხლოს გადახდა, რომელიც წერილობითი მოთხოვნის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ნასყიდობის საგნის ღირებულების 0,01% იქნებოდა;

4.6. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა რომ, მართალია, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების სახელწოდებაა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ თავისი არსიდან გამომდინარე, ის ნარდობის ხელშეკრულებაა. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 50-ე მუხლისა და 327-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, 2018 წლის 21 აგვისტოს მყიდველს და გამყიდველს შორის დადებული გარიგებით (ნასყიდობის ხელშეკრულება) წარმოიშვა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა;

4.7. ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე (შემკვეთი) საჯარო რეესტრში, დუშეთის რაიონი, სოფელი ..., „მ. ვ.“, სასტუმრო №34, (მშენებარე) 37,20 კვ.მ ფართის მესაკუთრედ 2018 წლის 27 აგვისტოს დარეგისტრირდა;

4.8. მოპასუხემ (მენარდემ) ვერ უზრუნველყო 2018 წლის 30 დეკემბრამდე, ნასყიდობის საგნის მოსარჩელისათვის გადაცემა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში (2019 წლის 28 იანვრის წერილი);

4.9. შემკვეთმა 2019 წლის 28 იანვრის წერილით მენარდეს პირგასამტეხლოს გადახდა მოსთხოვა, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამასთან, მიუთითა, რომ აღნიშნული სასტუმროს ნომრის შეძენას მისთვის კომერციული დატვირთვა ჰქონდა, კერძოდ, სეზონზე უნდა გაექირავებინა. მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო კი მას მნიშვნელოვანი ზიანი ადგებოდა, ვინაიდან, აღნიშნული უძრავი ქონება შეძენილი იყო სესხით და ყოველთვიურად უხდებოდა სასესხო ვალდებულების შესრულება და პროცენ-

ტის გადახდა. ადრესატი ასევე გაფრთხილებული იქნა, რომ თუ მყისიერად არ გამოასწორებდა არსებულ მდგომარეობას, დამატებით მოუწევდა ზიანის ანაზღაურება, რაც უკვე მიადგა და მომავალში მიაღებოდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (2019 წლის 28 იანვრის წერილი);

4.10. მენარდემ 2019 წლის 15 ივნისის წერილით შემკვეთს აცნობა, რომ 2019 წლის 1 ივნისიდან, დასრულებული იყო პროექტ ა-ის მშენებლობა, რომელიც ოფიციალურად იმავე წლის 11 ივნისს გაიხსნა;

4.11. უძრავი ქონების შეფასების 2019 წლის 19 აგვისტოს ანგარიშის თანახმად, ამ თარიღის მდგომარეობით, სპეციალისტის მიერ შეფასებულ იქნა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ფართის ქირის ღირებულება, რომელიც პირველ და მეოთხე კვარტლებში დღეში 391 ლარს, ხოლო მეორე და მესამე კვარტლებში 327 ლარს შეადგენს.

5. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 394.1 მუხლზე მიუთითა და განმარტა, რომ ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა). სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია. სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემული ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადი. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.

6. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის

უსაფუძვლო გამდიდრება (სუსგ №ას-307-291?2011, 24.10.2011 წ.).

7. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, არსებობს ზემოაღნიშნული მუხლებით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, კერძოდ, სახეზეა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოპასუხე მხარის მიერ დარღვევის ფაქტი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოპასუხემ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოსარჩელისათვის, 2018 წლის 30 დეკემბრამდე, ნასყიდობის საგნის ხელშეკრულების 3.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ. დადგენილია, რომ მოპასუხემ (მენარდემ) ვერ უზრუნველყო 2018 წლის 30 დეკემბრამდე, ნასყიდობის საგნის მოსარჩელისათვის (შემკვეთისათვის) გადაცემა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, მოპასუხის ამ მოქმედებით მოსარჩელეს მოესპო ხსენებული უძრავი ნივთის გაქირავების შესაძლებლობა, რითაც მოსარჩელე მიიღებდა შემოსავალს.

8. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოპასუხემ (მენარდემ), შესაგებლით სადავო გახადა ხელშეკრულების შესრულების ვადა და მიუთითა, რომ მენარდემ შემკვეთის მიმართ არსებული ვალდებულება ივნისის თვეში შეასრულა, კერძოდ, 2019 წლის 15 ივნისის წერილით მოსარჩელეს (შემკვეთს) აცნობა, რომ 2019 წლის 1 ივნისიდან დასრულებული იყო პროექტ ა-ის მშენებლობა, რომელიც ოფიციალურად იმავე წლის 11 ივნისს გაიხსნა.

9. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის (მენარდის) მითითება, რომ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებული იყო 2019 წლის 15 ივნისის მდგომარეობით. ამ გარემოებას ასევე ამყარებდა თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი უძრავი ქონების შეფასების 2019 წლის 19 აგვისტოს ანგარიში, რომელიც შესრულებულია სწორედ ამ თარიღის მდგომარეობით და რომლის საფუძველზე შეფასებულია მოსარჩელის კუთვნილი ბინა მასში განხორციელებული „ევრო რემონტის“ გათვალისწინებით. ამდენად, ვინაიდან 2019 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით სადავო ბინაში უკვე განხორციელებული იყო „ევრო რემონტი“, ივარაუდება, რომ მინიმუმ 1,5 თვით ადრე, ე.ი. 2019 წლის ივნისის შუა რიცხვებისათვის, მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ არსებული ვალდებულება უკვე შესრულებული ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელე ამ ფართში რემონტს ვერ გააკეთებდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის ვადად უნდა განსაზღვრულიყო 5 თვე (2019 წლის თებერვლიდან – 2019 წლის ივნისის პერიოდი (იმის გათვალისწინე-

ბით, რომ იანვრის თვე ბინის მოწყობა/დალაგებას და გაქირავებისათვის მომზადებას მოხმარებოდა) და მიუღებელი შემოსავლის ოდენობა უნდა დაანგარიშებულიყო ამ პერიოდზე, რაც პირველ კვარტალში შეადგენს 391 ლარს, რაც თებერვალში იქნება (28 X 391) 10 948 ლარი, ხოლო მარტში (31 X 391) 12 121 ლარი, რაც ჯამში, პირველ კვარტალში 23 069 ლარს შეადგენს, ხოლო მეორე კვარტალში – 327 ლარს, რაც აპრილის თვეში იქნება (30 X 327) 9810 ლარი, მაისის თვეში (31 X 327) 10 137 ლარი, ხოლო ივნისის თვეში (30 X 327) 9810 ლარი, რაც ჯამში მეორე კვარტალში 29 757 ლარს შეადგენს. ამდენად დაჯამებული თანხა ორივე კვარტალში (23 069+29 757) 52 826 ლარს. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს (მენარდეს) მატერიალური პასუხისმგებლობა მიუღებელი შემოსავლის სახით უნდა დაჰკისრებოდა გაქირავების 50%-იანი დატვირთვის პირობებში, რაც, სადავო პერიოდში, ამ საკურორტო ზონაში გაქირავების დატვირთვის მხედველობაში მიღებით, განსხვავებით სხვა (მაგ. ბაკურიანი) საკურორტო ზონისაგან, იყო სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო გამოწვეული ზიანი.

10. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის 394.1, 411-ე, 412-ე მუხლების მიხედვით, (52 826 ლარი : 2) 26 413 ლარის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს ქმნის.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

12. კასატორის განმარტებით ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდოდ და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. მისი მითითებით მოსარჩელის ის არგუმენტი, რომ მან უძრავი ქონება შეიძინა აუცილებლად გასაქირავებლად და ამით ის აუცილებლად მიიღებდა შემოსავალს არის დაუსაბუთებელი, რადგანაც უძრავი ქონების შეძენა არ გულისხმობს მისი გაქირავების მიზანს.

13. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზეც, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 თებერვლის №5000770620 წერილი, რომელშიც მკაფიოდ იყო მითითება, რომ მოსარჩელის უძრავი ნივთის მსგავსი ქონებები ძირითადად ქირავდება დღიურად და მისი ფასი დამოკიდებულია ბევრ ისეთ ფაქტორზე, რის გამოც შეუძლებელია მისი ზუსტი საქირავნო ღირებულების დადგენა. კასატორისთვის ბუნდოვანია ისიც, თუ

რაზე დაყრდნობით განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ სეზონზე დატვირთულობის მასშტაბი და რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა ქირავნობის ფასის გამოთვლისას.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება გამოიკვეთა.

16. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო,

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყევტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში; მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყევტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაკენ მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადანყევტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

18. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთ-

ხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილება, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულება (იხ. ბოელინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

19. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედაგებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო-სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ით-

ვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

21. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებასზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ.).

22. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

23. მტკიცების ტვირთის აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

24. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტობრივი მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი,

რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ.64).

26. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით (იხ. წინამდებარე განჩინების 4.1-4.5 და 4.7-4.11 ქვეპუნქტები), ასევე მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციის გზით (იხ. წინამდებარე განჩინების 4.6 ქვეპუნქტი) სააპელაციო სასამართლომ კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღო. მხარეთა შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“. აღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსენსუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულება. მენარდისათვის გადასახდელი საზღაური, როგორც წესი, განისაზღვრება ფულადი სახით, თუმცა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა რამეზეც (მაგალითად, მენარდისათვის რაიმე ნივთის ნატურით გადაცემა). შესაძლებელია კომბინირებული მეთოდიც (მაგალითად, საზღაურის ნაწილი გადახდილი იქნეს ფულადი სახით, ნაწილი – ნივთის სახით). ნარდობის ხელ-

შეკრულების შინაარსს შეადგენს მისი პირობების ერთობლიობა. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოსილებების წარმოშობის თავისებურებები, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სხვა. ნარდობის ხელშეკრულება ანესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან იგი დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი... ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა. ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულების შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებულობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შესრულებას, კრიტორი ღებულობს შესრულებას. უარყოფითი შინაარსის მქონე ვალდებულებების არსებობა გამოიხატება გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში (მაგალითად, სამეზობლო თმენის ვალდებულებები; და ა.შ.). ასეთი უმოქმედობაც ხორციელდება მოვალის ძალისხმევით. ამიტომაც იურიდიული ლიტერატურაში ვალდებულების შესრულების აღმნიშვნელ ტერმინად ძირითადად გამოიყენება ტერმინი – ქმედება. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა უფლებები, თავისი სამართლებრივი ბუნებით მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა რიცხვს. რელატიური უფლება არის განსაზღვრული პირის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება. იგი მიმართულია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირის მიმართ კონკრეტული ვალდებულების შესასრულებლად. რელატიური უფლება წარმოიშობა ნამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. ნარდობის ხელშეკრულებით, შემკვეთის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას

წარმოადგენს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. სსკ-ის 649-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსხვავებით სსკ-ის 648-ე მუხლისაგან, რომელიც განსაზღვრავს საზღაურის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს, სსკ-ის 649-ე მუხლი არ არის იმპერატიული და არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მხარეთა შეთანხმებით საზღაური გადახდილ იქნეს სამუშაოს შესრულების შემდეგ, მაგრამ მის გადაცემამდე. თუ შემკვეთი არ ლეზულობს მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოს, ასეთ შემთხვევაში, მოქმედებს შესრულების მიღების პრეზუმფცია. შესრულებული სამუშაოს მიღებაში ერთმანეთისაგან არის გამიჯნული ორი ეტაპი: მენარდის მიერ სამუშაოს გადაცემა და შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება. სამუშაოს გადაცემა, ერთის მხრივ წარმოშობს შემკვეთის ვალდებულებას, მიიღოს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ხოლო მეორეს მხრივ – მენარდის უფლებას, მოითხოვოს შემკვეთისაგან შეთანხმებული საზღაური“ (იხ. სუსგ №ას-344-2019, 12.02.2021წ.)

27. სადავო არ არის, რომ შემკვეთს შესრულებული აქვს საკუთარი ვალდებულება, დადგენილია ისიც, რომ მენარდემ (მოპასუხემ, კასატორმა) ვერ უზრუნველყო 2018 წლის 30 დეკემბრამდე უძრავი ქონების შემკვეთისათვის გადაცემა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში და აქედან გამომდინარე შემკვეთმა (მოსარჩელემ) მოითხოვა მიუღებელი შემოსავლისათვის განცდილი ზიანი, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია იმას ეხება, სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოსარჩელის მტკიცება, რომ მან უძრავი ქონება გასაქირავებლად შეიძინა და გაქირავების გზით ის აუცილებლად მიიღებდა შემოსავალს, რადგან უძრავი ქონების შეძენა იმთავითვე არ გულისხმობს მისი გაქირავების მიზანს. კასატორის ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო მოიხმობს მისსავე ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, რომელშიც განიმარტა, რომ „მოსარჩელის მოთხოვნა უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში მისი გასხვისებით, საბაზრო ღირებულების ოდენობით, მიღებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებისა და სარგებლის მიღების თაობაზე დაუსაბუთებელია, არ გა-

მომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ქონების გაქირავებასა და გასხვისებას შორის მკაფიო განსხვავებაა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მოვალისათვის არა მხოლოდ წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. განსახილველ შემთხვევაში ქონების გაქირავების შეუძლებლობით მიყენებული ზიანის სავარაუდოობა უფრო დამაჯერებელია და რეალური, ვიდრე ის გარემოება, რომ მოსარჩელე კუთვნილი უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში აუცილებლად გაასხვისებდა ქონებას (ან მის ნაწილს), შესაბამისად, ამ ნაწილში მოსარჩელემ დამაჯერებლად და სარწმუნოდ ვერ დაამტკიცა საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობა“ (იხ. სუსგ №ას-689-2019, 13.12.2019წ;).

28. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ: „სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (იხ. სუსგ-ები: №ას-945-895-2015, 14. 03. 2016წ; №ას-307-291-2011, 24.10.2011 წ; №ას-899-845-2012, 22.11.2012 წელი).

29. კასატორი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 თებერვლის №5000770620 წერილი, რომელშიც მკაფიოდ არის მითითებული, რომ მოსარჩელის უძრავი ნივთის მსგავსი ქონებები ძირითადად ქირავდება დღიურად და მისი ფასი დამოკიდებულია ბევრ ისეთ ფაქტორზე, რის გამოც შეუძლებელია მისი ზუსტი საქირავნო ღირ-

რეზულტების დადგენა. კასატორის პრეტენზიით, დაუსაბუთებელია, თუ რაზე დაყრდნობით განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ სეზონზე დატვირთულობის მასშტაბი და რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა ქირავნობის ფასის გამოთვლისას. ამ პრეტენზიის პასუხად საკასაციო სასამართლო კასატორს მიუთითებს, მის მიერვე საქმეში წარდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 თებერვლის №5000770620 წერილზე, რომელიც სასაქონლო ექსპერტიზის შეუსრულებელი სახით დაბრუნებას ეხება და ქირის ოდენობის განსაზღვრის იმ ზოგად კრიტერიუმებს, რაც კასატორს საკასაციო განაცხადში აქვს წარმოდგენილი და განმარტავს, რომ საკასაციო სამართალწარმოება განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით (იხ. წინამდებარე განჩინების 15-25 პუნქტები), შესაბამისად საქმის საბოლოო და უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე მხარეთაგან დაუშვებელია ახალი მტკიცებულებების მიღება, ისევე, როგორც მათ მიერ მითითებული ახალი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მსჯელობა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იმსჯელებს კასატორის მიერ საკასაციო განხილვის ეტაპზე წარმოდგენილ წერილზე ქირავნობის ფასებთან დაკავშირებით და ისევ მხარეთა მტკიცებების ტვირთზე გაამახვილებს ყურადღებას, რომლის ფარგლებში შემკვეთმა (მოსარჩელემ) სარჩელს დაურთო უძრავი ქონების შეფასების ანგარიში, რომლის გასაბათილებლად მოპასუხეს (კასატორს) საქმის პირველი ინსტანციის წარმოების ეტაპზე არსებით განხილვამდე (მთავარ სხდომამდე) შესატყვისი სამართლებრივი წონადობის მტკიცებულება (გარდა შეუსრულებელი ექსპერტიზის შესახებ წერილისა) არ წარუდგენია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: „იმ პირობებში, როცა მოსარჩელის მითითება ბინის ქირის სავარაუდო ღირებულებაზე გამყარებულია სპეციალისტის დასკვნით, მოპასუხის მხოლოდ მითითება ამ ღირებულების არასწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით, არასაკმარისია. სხვა მტკიცებულება, რაც გააბათილებდა სპეციალისტის დასკვნას, მოპასუხეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, რომ სასამართლომ ბინის ქირის სავარაუდო ოდენობა არასწორად დაადგინა“ (იხ. სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.2016წ.).

30. სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად წარმართა მხარეთა შეჯიბრი და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით გამოიკვლია და დაადგინა მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის უძრავი ქონების ქირის ღირებულება (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 21-24 პუნქტები).

კასატორის იმ პრეტენზიის პასუხად, რომ მოსარჩელის უძრავი ნივთის მსგავსი ქონებები ძირითადად ქირავდება დღიურად და მისი ფასი დამოკიდებულია ბევრ ისეთ ფაქტორზე, რის გამოც შეუძლებელია მისი ზუსტი საქირავნო ღირებულების დადგენა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, მიუღებელი შემოსავლის სახით განცდილი ზიანის 47 304 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ, პრაქტიკულად 50%-ის ოდენობით დაკმაყოფილდა და მენარდე კომპანიას, შემკვეთის სასარგებლოდ, 26 413 ლარის გადახდა დაეკისრა, რაც სავსებით შეესატყვისება უძრავი ქონების გაქირავების იმ გონივრულ და სამართლიან ღირებულებას, რომელსაც შემკვეთი მიიღებდა მენარდეს რომ ვალდებულია დროულად და ჯეროვნად შეესრულებინა. ამასთან, თვითონ კასატორიც არ უარყოფს ასეთი ქონების გაქირავების შესაძლებლობას, ხოლო მტკიცების ტვირთის არაეფექტურად შესრულება იმ მხარისათვის განაპირობებს არახელსაყრელ სამართლებრივ შედეგს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო ეტაპი სათანადოდ ვერ გამოიყენა მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელისაგან თავდასაცავად.

31. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საკასაციო მოთხოვნის არსებითი განხილვის შედეგად ვერ დადგინდა ის გარემოება, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლას გამოიწვევდა, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

32. სსსკ-ის 55-ე მუხლის მიხედვით კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჭი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში, რადგან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. შპს „რ-კო“-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-898-2021

10 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ე-ომ“ 2017 წლის 31 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „ქ.ა.კ-ის“ მიმართ და ზიანის სახით 485535 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

2. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 20 აპრილს დაიდო ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მოპასუხემ არაფეროვნად შეასრულა – არასწორად გაიანგარიშა მოსარჩელის საგადასახადო ვალდებულებების მოცულობა. შედეგად, შპს „ე-ომ“ იძულებული გახდა, დაეწყო დავა საგადასახადო ორგანოებსა და სასამართლოში, რათა მისთვის არასწორად დაკისრებული გადასახადები გაუქმებულიყო. სასამართლოში დავა შპს „ე-ოს“ სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა ვინაიდან მოსარჩელის ფულად სახსრებზე დავის მთელ პერიოდში დადებული იყო საგადასახადო ყადაღა, მას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი საბრუნავი საშუალებების გამოუყენებლობის (ყადაღის არარსებობის შემთხვევაში, დაერიცხებოდა საპროცენტო სარგებელი – 196253 ლარი) და ვალუტის კურსის ვარდნის გამო (კურსთა შორის სხვაობიდან გამომდინარე – 289282 ლარის ზიანი მიადგა).

3. მოპასუხემ – შპს „ქ.ა.კ-ამ“ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

4. შპს „ე-ომ“ 2019 წლის 14 იანვარს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იშუამდგომლა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 იანვრის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „ქ.ა.კ-ას“

აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გასხვისება და მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლებით დატვირთვა: 1) სანომრე ნიშანი – ..., მარკა-მოდელი – ტოიოტა ლენდკრუიზერ LC150, ფერი – შავი, გამოშვების წელი – 2015, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მონიშვნა – AQ...; 2) სანომრე ნიშანი – ..., მარკა-მოდელი – მერსედეს-ბენც E 320, ფერი – რუხი 1/8, გამოშვების წელი – 2001, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მონიშვნა – AV....

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ე-ოს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა.

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. 2012 წლის 20 აპრილს შპს „ე-ოსა“ და შპს „ქ.ა.კ-ას“ შორის დაიდო ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესახებ ხელშეკრულება. შპს „ქ.ა.კ-ას“ უნდა ჩატარებინა მოსარჩელის ალტერნატიული აუდიტი 2012 წლის პირველი მაისიდან 2012 წლის 15 ივნისამდე, ხოლო შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვრა 2006 წლის პირველი იანვრიდან 2012 წლის პირველი აპრილის ჩათვლით;

7.2. შპს „ქ.ა.კ-ის“ 2012 წლის 27 ივლისის გასვლითი საგადასახადო შემოსვლების აქტის თანახმად, შპს „ე-ოს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა ძირითადი თანხა – 480280 ლარი და ჯარიმა – 190929 ლარი;

7.3. სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2012 წლის 8 აგვისტოს სათათბირო საბჭოს სხდომის №4 ოქმის საფუძველზე, განხორციელდა ალტერნატიული საგადასახადო შემოსვლების აქტის შედგენის კორექტირება და მომზადდა 2012 წლის 22 ოქტომბრის დასკვნა. კორექტირების შედეგად, გადასახდელის გადამხდელს გაეგზავნა 2012 წლის 22 ნოემბრის №853 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც შპს „ე-ოს“ გადასახდელად დაერიცხა – 1038675,24 ლარი;

7.4. კომპანია არ დაეთანხმა შემოსვლების აქტით დარიცხულ თანხებს და წერილობითი პოზიცია წარადგინა სსიპ შემოსავლების სამსახურში, რომლის 2013 წლის 8 იანვრის №21-04/592 გადაწყვეტილებითაც გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

7.5. სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2013 წლის 19 აპრილს გა-

მოსცა №707 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც შპს „ე-ოს“ მიმართ დარიცხული თანხები შემცირდა 159428 ლარით;

7.6. შპს „ე-ომ“ 2013 წლის 19 აპრილის №707 საგადასახადო მოთხოვნა სსიპ შემოსავლების სამსახურში გაასაჩივრა. ადმინისტრაციული ორგანოს 2013 წლის 18 ივნისის №27458 ბრძანებით, საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული;

7.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის 2013 წლის 19 აპრილის №707 საგადასახადო მოთხოვნა არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების ნაწილში;

7.8. სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის 2012 წლის 12 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე ყადაღა დაედო შპს „ე-ოს“ ფულად სახსრებს 1010019,69 ლარის ფარგლებში;

7.9. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის ბრძანებით ირკვევა, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „ე-ოს“ საბანკო ანგარიშებზე დადებული ყადაღა.

8. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე, 412-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.

9. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა. სადავო შემთხვევაში კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია, რადგან მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის ქმედებით მას მიადგა მატერიალური ზიანი და მან საბრუნავ საშუალებებზე ყადაღის დადებით დაკარგა შემოსავალი, არ ქმნიდა მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძველს.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება შპს „ე-ომ“ სააპე-

ლაციო წესით გაასაჩივრა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით შპს „ე-ოს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ დავა მართებულად გადაწყვიტა.

13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 411-ე მუხლებზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისთვის აპელანტმა უნდა დაადასტუროს მოწინააღმდეგე მხარის ქმედების არამართლობიერება, რამაც მას ზიანი მიაყენა.

14. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის წარმოშობის დროისთვის ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შედეგად გამოცემული დასკვნა საგადასახადო მოთხოვნას არ უთანაბრებოდა, არამედ მისი საგადასახადო ორგანოში გასაჩივრების, დასკვნის აუდიტორული კომპანიისთვის დასაკორექტირებლად უკან დაბრუნებისა და კორექტირებული ალტერნატიული დასკვნის კვლავ გასაჩივრების შესაძლებლობა არსებობდა. ამდენად, კონკრეტული აუდიტორული კომპანიის მიერ პროფესიული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად შექმნილი დოკუმენტი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას ავტომატურად არ ქნოდა.

15. გარდა ამისა, სსიპ შემოსავლების სამსახურში გასაჩივრების საშუალების ამონურვის შემდეგ, მოსარჩელე კომპანიას კვლავ შეეძლო, დარიცხული გადასახადის კანონიერებაზე სასამართლო წესით ედავა, რაც განსახილველ შემთხვევაში, განხორციელდა კიდევ და სასამართლოს მიერ მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, შემოსავლების სამსახურის ბრძანებასა ან სხვა მტკიცებულებებში არ არსებობდა მითითება, რომ მოპასუხის მიერ შედგენილი აუდიტორული დასკვნა არსებითად არასწორი იყო. უფრო მეტიც, თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2021 წლის 14 მაისის ჩატარებულ, სადავო საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწმის სახით დაკითხულმა სპეციალისტმა – გ. ჩ-მა დაადასტურა, რომ ალტერნატიული აუდიტის მიერ პირველად შედგენილი და შემდეგ ორჯერ დაკორექტირებული დასკვნები პრინციპულად სწორი იყო, რადგან შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ გამოთვლის პრინციპს შეესაბამებოდა, სახეზე

იყო მხოლოდ გამოთვლის მცირე ხარვეზები, რაც შემოსავლების სამსახურის მითითებების შედეგად გამოსწორდა.

16. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარედ დასახელებული კომპანიის მიერ შედგენილი აქტი გადასახადის გადამხდელისთვის გადასახადის დაკისრების მთავარი და ერთადერთი წინაპირობა არ ყოფილა, ალტერნატიული აუდიტის შედგენის შემდეგ, კომპანიას შემოწმების აქტი გაეგზავნა, რომელიც გასაჩივრებას ექვემდებარებოდა.

17. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ აპელანტი ვერ მიუთითებდა აუდიტის დასკვნის შედგენისას დაშვებულ იმგვარ არსობრივ, პრინციპულ და ძირეულ შეცდომებზე, რაც, თავისი შინაარსით, შესაძლებელია აქტის შეუდგენლობას გათანაბრებოდა; ვერ მიუთითებდა სახელშეკრულებო დათქმაზე, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ ბრალეულად დაარღვია.

18. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია, მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის ფაქტი ვერ დაადასტურა, რაც ზიანის ანაზღაურებას გამორიცხავდა.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ე-ომ“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

20. კასატორი აღნიშნავს, რომ 2012 წლის 20 აპრილს შპს „ქ.ა.კ-თან“ დადო ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესახებ ხელშეკრულება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ განეულ მომსახურებას ნაკლები არ ექნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში – აუდიტორს გონივრულ ვადაში უნდა გამოესწორებინა ნაკლები, ხოლო ზიანის ანაზღაურების საკითხი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დარეგულირებულიყო.

21. კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხემ სათანადოდ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები – მის მიერ გამოცემული შემოწმების აქტით არასწორად იყო გაანგარიშებული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები. შემოწმების აქტის საფუძველზე კი, საგადასახადო ორგანომ საგადასახადო მოთხოვნა გამოსცა და გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღა გაავრცელა. საკასაციო საჩივრის თანახმად, ვინაიდან მოპასუხემ საკუთარი ინიციატივით არ მოახდინა თანხების კვლავ გაანგარიშება და ნაკლის აღმოფხვრა, მოსარჩელემ საჩივრით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო შემდეგ სარჩელით – სასამარ-

თლოს. საბოლოოდ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი შპს „ქ.ა.კ-ის“ მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების ნაწილში. შედეგად, გამოიცა კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნა და შპს „ე-ოს“ ფულად სახსრებზე მოიხსნა ყადაღა.

22. კასატორი მიუთითებს, რომ ფულად სახსრებზე ყადაღის გავრცელების გამო, თანხის გამოუყენებლობიდან და ვალუტის კურსის ვარდნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაღდა.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით – შპს „ე-ოს“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განიხილებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ შპს „ე-ოს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ხელშეკრულების ჯეროვნად შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა.

26. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. დასახელებული კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ პირობა, რომელიც ვალდებულება ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამრიგად, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის აუცილებელია, დადასტურდეს მოვალის მიერ კანონის დანაწესებისა ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, რაც კრედიტორისთვის ზიანის მიყენების პირდაპირი და უშუალო საფუძველი გახდება. გარდა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს მიუღებელი შემოსავლისთვისაც. „მიუღებ-

ლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს... მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 აპრილის №ას-1322-2018 განჩინება). ამრიგად, მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების დაცვით, უნდა უზრუნველყოს სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა და სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობის დადასტურება.

27. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2012 წლის 20 აპრილს შპს „ე-ოსა“ და შპს „ქ.ა.კ-ს“ შორის ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესახებ ხელშეკრულება დაიდო. ა. კ-ს უნდა ჩატარებინა მოსარჩელის 2006 წლის პირველი იანვრიდან 2012 წლის პირველი აპრილის ჩათვლით საქმიანობის საგადასახადო შემოწმება.

28. დადგენილია, რომ შპს „ქ.ა.კ-მ“ 2012 წლის 27 ივლისს გამოსცა საგადასახადო შემოწმების აქტი, რომლის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დარიცხვოდა ძირითადი თანხა – 480280 ლარი და ჯარიმა – 190929 ლარი.

29. ნიშანდობლივია, რომ შემოწმების აქტი მოსარჩელემ სადავოდ გახადა შემოსავლების სამსახურში, რომელმაც ორჯერ დაავალა ა. კ-ს თანხების გადათვლა. მოპასუხის მიერ შემოწმების აქტის კორექტირების შედეგად, შემოსავლების სამსახურმა გამოსცა 2013 წლის 19 აპრილის №707 საგადასახადო მოთხოვნა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი.

30. გარდა ზემოაღნიშნულისა, დადგენილია, რომ სსიპ შემოსავ-

ლების სამსახურის 2012 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით შპს „ე-ოს“ ფულად სახსრებს ყადაღა დაედო, 1010019,69 ლარის ფარგლებში. ყადაღა ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის ბრძანებით.

31. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების სათანადოდ შეუსრულებლობამ გამოიწვია მის ქონებაზე ყადაღის გავრცელება, შედეგად კი, თანხის გამოუყენებლობიდან და ვალუტის კურსის ვარდნიდან გამომდინარე, კასატორს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაღდა.

32. საკასაციო პალატა, მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საგადასახადო შემონმების ჩატარების მარეგულირებელ წესებზე. საკასაციო სასამართლო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე, 61-ე, 255-ე და 267-ე მუხლების საფუძველზე, აღნიშნავს, რომ საგადასახადო შემონმება საგადასახადო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის ჩატარების მიზანია გადასახადების გამოანგარიშების სისწორისა და სისრულის და მათი დროულად გადახდის საკითხების გამოკვლევა. საგადასახადო შემონმების შედეგების შესახებ დგება აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს პირის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისთვის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, გამოყენებული სამართლებრივი ნორმები და გადასახდელი გადასახადების/სანქციების ზუსტი გაანგარიშება.

33. აღსანიშნავია, რომ სადავო პერიოდში მოქმედი რეგულაციით – საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილით საგადასახადო შემონმების განხორციელება, საგადასახადო ორგანოების გარდა, შეეძლოთ სხვა პირებსაც, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად („წესის“ ამჟამინდელი სათაურია – „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების თაობაზე“), კერძოდ, დასახელებული „წესის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 372-ე და 375-ე მუხლებიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანოს ინიციატივით – გადასახადის

გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში, ან გადასახადის გადამხდელის ინიციატივით – საგადასახადო ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო გადასახადის გადამხდელთან ალტერნატიული აუდიტის ჩატარება; აუდიტორის უფლებამოსილების მინიჭება კი სსიპ შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილებით ხდებოდა. ამავე „ნესის“ 376-ე და 377-ე მუხლების თანახმად, ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო, შეერჩია შესაბამისი კატეგორიის მქონე აუდიტორი და გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულება.

34. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც ჩვეულებრივი საგადასახადო შემონმების დროს, ალტერნატიული აუდიტის შედეგებზეც, „ნესის“ 371-ე მუხლის მიხედვით, დგებოდა შემონმების აქტი. ამასთან, „ნესის“ 371-ე მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 371¹-ე მუხლის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებოდა შემონმების აქტს, მას უფლება ჰქონდა, შემონმების აქტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესით, დაენიშნა მედიაციის პროცესი, რომლის მიზნებისთვისაც შემონმების აქტს ჰქონდა საგადასახადო შემონმების აქტის პროექტის სტატუსი. თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილ ვადაში არ განახორციელებდა შემონმების აქტით გათვალისწინებულ საგადასახადო ანგარიშგებას და არ დაიწყებდა მედიაციის პროცესს, საგადასახადო ორგანო შემონმების აქტის საფუძველზე 5 სამუშაო დღის ვადაში გამოსცემდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გადასახადის და სანქციის დარიცხვის შესახებ; ასეთ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილი იყო, გაესაჩივრებინა შემონმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადანყვეტილება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად. როგორც მედიაციის, ისე საგადასახადო დავის შემთხვევაში, აუდიტორი ვალდებული იყო, გადაეანგარიშებინა დარიცხული თანხები.

35. ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში ალტერნატიული საგადასახადო შემონმება ხორციელდებოდა გადასახადის გადამხდელსა და აუდიტორს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც აუდიტორი სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ პირს წარმოადგენდა და მის მიერ გამოცემული საგადასახადო შემონმების აქტი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარებოდა გადასინჯვას. შესაბამისად, ალტერნატიული საგადასახადო შემონმების აქტი ავტომატურად და უპირობოდ არ იწვევდა გადასახადების დარიცხვას, არამედ გადასახადის

გადამხდელი უფლებამოსილი იყო, თავდაპირველად მედიაციის მეშვეობით გაეხადა სადავოდ საგადასახადო შემონმების აქტით გათვალისწინებული გაანგარიშება, ხოლო გადასახადების დარიცხვის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ ბრძანებისა და საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის შემთხვევაში – დაენყო დავა საგადასახადო ორგანოებში – საჩივრის, ხოლო სასამართლოში – სარჩელის წარდგენის მეშვეობით.

36. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ისარგებლა გასაჩივრების უფლებამოსილებით, რის საფუძველზეც მოპასუხემ არაერთხელ გაიანგარიშა თანხები და საბოლოოდ გადამხდელისთვის განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულება შემცირდა. ამრიგად, სსიპ შემოსავლების სამსახურის აქტებითა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება შპს „ქ.ა.კ-ის“ მიერ საზოგადოების საგადასახადო ვალდებულების არასწორად გაანგარიშება, მაგრამ აღნიშნულ გარემოებას კასატორისთვის ფაქტობრივი ზიანი არ მიუყენებია, რადგან შემონმების აქტი არ წარმოადგენდა გადასახადების დარიცხვის მიზნებისთვის შეუქცევად, გამოცემისთანავე შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს და საგადასახადო შემონმების აქტის პირველადი ვერსიით არ მომხდარა გადასახადების საბოლოო დარიცხვა და გადახდა. ამრიგად, შემონმების აქტში ასახულ უზუსტობებს საბოლოოდ გადასახადის გადამხდელისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება არ გამოუწვევია.

37. რაც შეეხება ქონებაზე ყადაღის გავრცელებას და მის კავშირს შემონმების აქტთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიებაა; კოდექსის 254-ე მუხლის როგორც სადავო პერიოდში, ისე მოქმედი რედაქცია კი ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფად ქონებაზე ან/და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შესაძლებლობას საგადასახადო დავის პერიოდში. ამასთან, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და გამოსაყენებელი ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამრიგად, აუდიტორული კომპანიის მიერ საგადასახადო შემონმების აქტის გამოცემა გადამხდელის ქონებაზე ყადაღის გავრცელების ავტომატური წინაპირობა არ იყო; აუდიტორული კომპანია არ იღებდა ყადაღის გამოყენების შესახებ გადანყვეტილებას, არამედ ასეთი გადანყვეტილება, საჯარო და კერძო ინტერესთა გათვალისწინებით, მიზანშეწონილობის შეფასებით, საგადასახადო ორგანოს უნდა მიეღო; გარდა ამისა, ყადაღის დადების შესახებ ბრძანება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, დამოუკიდებლად ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. სწორედ ამიტომ, ყადაღის გამოყენებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისთვის, პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ყადაღის გამოყენების მართლზომიერება, რომელიც გადასახადების დარიცხვის მართლზომიერების საკითხისგან დამოუკიდებლად ფასდება – შესაძლებელია დავალიანების დარიცხვა იყოს კანონიერი, მაგრამ ყადაღის, როგორც საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიების, გამოყენება არ იყოს მართებული (მაგალითად, დადასტურდეს, რომ საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო ნაკლებ მზღუდავი ღონისძიების, მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, გამოყენებით); ამასთან, უშუალოდ ყადაღის გამოყენების კანონიერებაზე პასუხისმგებელია საგადასახადო ორგანო და არა აუდიტორული კომპანია.

38. განსახილველ შემთხვევაში კი, ყადაღის დადების შესახებ ბრძანების კანონიერების საკითხი დამოუკიდებლად გასაჩივრებული და გადანყვეტილი არ არის, რაც შეუძლებელს ხდის მსჯელობას, მოპასუხის მიერ გამოცემულ შემონმების აქტში ასახული დარღვევები და თანხების გაანგარიშება რამდენად ამართლებდა ყადაღის გამოყენებას. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შპს „ე-ოსთვის“ განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულება სრულად არ გაუქმებულა, დარიცხვა ნაწილობრივ იქნა ბათილად ცნობილი, ამრიგად, თანხების სწორად გაანგარიშების შემთხვევაშიც კი, ყადაღის გამოყენების შესაძლებლობა დავის განხილვის პერიოდში ფორმალურად მაინც იარსებებდა. ამრიგად, უშუალოდ ყადაღის გამოყენებასთან მიმართებით მოპასუხის ქმედების არამართლზომიერება ან მისი ბრალეულობა, რაც ზიანის ანაზღაურების აუცილებელი წინაპირობებია, არ დასტურდება.

39. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელემ იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს, რომლებიც შექმნის ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე

(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის №ას-406-383-2014 განჩინება). საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კასატორმა (მოსარჩელემ) მსგავსი მტკიცებულებების წარმოდგენა ვერ უზრუნველყო – მან დასაბუთებულად ვერ მიუთითა და ვერ დაადასტურა ყადაღის არსებობით კონკრეტული შემოსავლის მიუღებლობა.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა არსებითად სწორად არის გადაწყვეტილი – არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძვლები არ არსებობს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „ე-ოს“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8000 ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ე-ოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 ივნისის განჩინება;
3. შპს „ე-ოს“ მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 8000 ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

პირგასამტეხლოს დაკისრება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1098-1018-2017

30 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**
**შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა(ა)იპ „უ.ს-ესა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „კასატორი“) და შპს „ვ-ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“) შორის 2014 წლის 26 მარტს ნასყიდობის №EWMI-1109-1 ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების ობიექტი იყო სატელევიზიო სტუდიური აღჭურვილობის შესყიდვა თანმდევი მომსახურებით. აღნიშნული ხელშეკრულების დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს მობილური ვიდეოსტუდია DATAVIDEO HS-2000 წარმოადგენდა. ხელშეკრულების დანართში მითითებული იყო როგორც მოდელი, ასევე მისი ტექნიკური მახასიათებლები.

2. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2014 წლის 26 მარტს დადებული №EWMI-1109-1 ხელშეკრულების 8.2. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროდან შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებით, სათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,03%-ის ოდენობით, ხოლო თუ ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,05%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3. მხარეთა ახსნა-განმარტების თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკა მოპასუხემ ვადის გადაცილებით ჩამოიტანა, რის გამოც, მოსარჩელემ მას პირგასამტეხლო 525,16 ლარის ოდენობით დაარიცხა.

4. 2014 წლის ოქტომბერში მოსარჩელის მიერ მობილური ვიდეოსტუდიის – DATAVIDEO HS-2000 Hand Carried studio-ს გამოყენებისას, აღმოჩნდა, რომ ნივთს გააჩნდა ტექნიკური წუნი. აღნიშნულის გამო, ნივთი მიტანილ იქნა დატავიდუოს სერვისცენტრში – შპს „ი-სი“, სადაც კამერებთან ერთად მობილური ვიდეოსტუდიის სისტემური შემონმება მოხდა. შემონმების შედეგად, ვიდეოსტუდიას შემდეგი სახის ხარვეზები აღმოაჩნდა: კამერების შეერთებისას კამერის მონიტორზე შეინიშნებოდა სტრიქონების ამოვარდნა (კადრის ჰორიზონტალური ჭრა), ყურმილში აუდიო სიგნალი დამახინჯებით ისმოდა (სავარაუდოდ დაზიანებული იყო გაძლიერების წინაკასკადი). აღნიშნულთან დაკავშირებით 2014 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ნივთის დეფექტის შესახებ აქტი გაფორმდა, რომლითაც მხარეებმა შესასყიდი ობიექტის ქარხნული წუნი დაადასტურეს.

5. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2014 წლის 19 ნოემბერს დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად შემსყიდველი დაუბრუნებდა მომწოდებელს ამ ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულ ვიდეოსტუდია DATAVIDEO HS-2000-ს, იმ პირობით, რომ მომწოდებელი მწარმოებლისაგან ახალ ვიდეოსტუდიას შეიძენდა (შესაბამისი ახალი სერიული ნომრით), რომლის ტექნიკური მახასიათებლები №EWMI-1109-1 ხელშეკრულების დანართის პირველი პუნქტით იყო განსაზღვრული და არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში შემსყიდველს მიაწოდებდა. შეთანხმება შესრულებულად ჩაითვლებოდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მობილური ვიდეოსტუდიის ღირებულება 12 770 ლარს შეადგენდა.

7. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2014 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდა.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა:

8.1. მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 12770 ლარის გადახდის დაკისრება;

8.2. მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 19 ნოემბერს დადებული შეთანხმების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება, ჩამოსატანი ვიდეოსტუდიის ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, რაც თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის შეადგენს 6,38 ლარს, 2014 წლის 20 დეკემბრიდან გადანყევტილების აღსრულებამდე (მოსარჩელემ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში და მისი განმარტებით, ვინაიდან მოპასუხემ გასაჩივ-

რებული გადაწყვეტილების შესაბამისად დაკისრებული თანხა 2016 წლის 8 სექტემბერს ანაზღაურა, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს სახით 3946 ლარის დაკისრება 2014 წლის 20 დეკემბრიდან 2016 წლის 8 სექტემბრამდე პერიოდზე;

8.3. მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ აუდიო კაბელების ღირებულების – 120 ლარის გადახდის დაკისრება;

8.4. მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 26 მარტს დადებული ხელშეკრულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება, ჩამოსატანი ვიდეოტექნიკის ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, რაც შეადგენს 525,16 ლარს;

8.5. მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში აშშ დოლარის კურსის ცვალებადობით გამოწვეული სხვაობისა და ასევე გადასახდელი დღგ-ს 7229 ლარის გადახდის დაკისრება.

9. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12 770 ლარისა და პირგასამტეხლოს 525,16 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, სასამართლომ საქმის გარემოებათა გათვალისწინების მიზნებისათვის განმარტა, რომ პირგასამტეხლო 525,16 ლარის ოდენობით მხარეთა შორის 2014 წლის 26 მარტს დადებული №EWMI-1109-1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენდა. მხარეთა ახსნა-განმარტების თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკა მოპასუხემ ვადის გადაცილებით ჩამოიტანა, რის გამოც, მოსარჩელემ მას, პირგასამტეხლოს სახით, 525,16 ლარი დაარიცხა.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ მოპასუხეს პირგასამტეხლო 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამოც უნდა დაკისრებოდა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმება უნდა ყოფილიყო ნათელი და არაორაზროვანი. ხელშეკრულების ნაგულისხმევი (იმ-

პლიციტური) პირობები მხედველობაში არ მიიღება, თუ იგი შეთანხმების საგანი არ ყოფილა და მასზე მხარეებს ორმხრივად მავალდებულებელი ნება ცალსახად და არაორაზროვნად არ გამოუთქვამთ. მხარის მიერ გამოხატული ნება აქცეპტირების შემთხვევაში მხოლოდ მაშინ არის მხარეთათვის სავალდებულო, როდესაც თანხმობა (აქცეპტი) თავისუფალი ნების გამოხატულებაა, ხოლო, თავისუფალი ნება კი, თავის მხრივ, ხელშეკრულების არსებითი პირობების გააზრება-გათვითცნობიერების შედეგია. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთათვის მავალდებულებელი პირობა ვერ იქნებოდა მხარის ის ნება, რომელსაც ერთი მხარე ვარაუდობდა, ნავარაუდევო ნება მეორე მხარემდე არ მისულა და არც წერილობით შეთანხმებაში ასახულა. სასამართლომ აღნიშნული მსჯელობის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 51.1 და 53-ე მუხლებზე და ასევე აღნიშნა, რომ მხარეთა არსებითი პირობები, საამისოდ გათვალისწინებული სპეციალური ფორმის არსებობის პირობებში, კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვას მოითხოვდა. სააპელაციო პალატამ სსკ-ის 418.2 მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მხარეთა შეთანხმება 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობაზე ამავე მხარეებს შორის 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულების გავრცელების შესახებ, ხოლო, თვით 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმებაში პირგასამტეხლო გათვალისწინებული არ იყო.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის 2014 წლის 19 ნოემბრის გაფორმებული შეთანხმებით ნათლად ჩანდა, რომ დამკვეთი შემსრულებელს ნაკლიანი ნივთის ნაცვლად უნაკლო ნივთის მიწოდების შესაძლებლობას აძლევდა, ხოლო ამგვარი შესაძლებლობის გამოუყენებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს არ აწესებდა და ამგვარ მოლაპარაკებას არც საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება ადასტურებდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებს 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულება ვერ მოაწესრიგებდა, ვინაიდან ამგვარი პირობა შეთანხმებიდან არ მომდინარეობდა.

15. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმების არსებით პირობებად 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულების პირობების მიჩნევის შემთხვევაშიც, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი არ არსებობდა. მოპასუხეს 2014 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ბრალად ვერ შეერაცხებოდა, რადგან სახეზე იყო ხელშეკრულების შესრულების გამო-

რიცხავი გარემოებები. კერძოდ, მოპასუხე კომპანიის დირექტორის მიერ მოსარჩელისათვის მიწერილი წერილით დასტურდება, რომ მობილური ვიდეოსტუდია HS – 2000 მოხსნილი იყო წარმოებიდან, ხოლო იმ პერიოდისთვის მისი სრული ანალოგი HS – 2000L გამოდიოდა, რომელიც წინამორბედი მოდელისაგან მხოლოდ დიზაინითა და წონით განსხვავდებოდა. აღნიშნული წერილის პასუხად, მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა მოითხოვა სარწმუნო დადასტურება, რომ ამგვარი მობილური ვიდეოსტუდია აღარ გამოდიოდა და მისი გაყიდვა არც მომავალში იგეგმებოდა. ასევე მოითხოვა ინფორმაცია, კონკრეტულად რომელი ვიდეოსტუდიის მახასიათებელი იყო მათ მიერ დაკვეთილი ვიდეოსტუდიის ანალოგი. მოპასუხემ მოსარჩელეს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ფასისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო HS – 2000L-ზე შეთანხმება, თუმცა, აღნიშნული შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა.

16. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა კურსთა შორის სხვაობით განპირობებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 389-ე მუხლი ნომინალიზმის პრინციპს ეფუძნება და მოვალემ ფულადი ერთეულის (კურსის) შეცვლისას ვალდებულება იმ ფულადი ერთეულით (კურსით) უნდა შეასრულოს, რომელიც ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა. ამდენად, თუ ვალდებულება იმთავითვე ეროვნულ ვალუტაში იყო, ვალდებულება იგივე ნომინალით ეროვნულ ვალუტაში უნდა შესრულდეს. ხელშეკრულების დადებიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ფულის მსყიდველობაუნარიანობის შეცვლა მხედველობაში არ მიიღება. თუ ვალდებულება იმთავითვე უცხოურ ვალუტაში იყო, ნაღდი ანგარიშსწორების წესით ფულადი ვალდებულება „ვალის ვალუტაშიც“, ანუ უცხოურ ვალუტაშიც შეიძლება შესრულდეს, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების დროს, მისი კონვერტაცია ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღეს არსებული კურსით (უცხოურ ვალუტასა და ეროვნულ ვალუტას შორის) უნდა განხორციელდეს. ხელშეკრულების დღიდან ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღემდე კურსთა ცვლილება (უცხოურ ვალუტასა და ეროვნულ ლარს შორის) მხედველობაში არ მიიღება. ნომინალიზმის პრინციპის საწინააღმდეგოდ გადაანგარიშების ვალდებულება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ როდესაც, ადგილი აქვს ვადაგადაცილებას. ასეთ შემთხვევაში, კონტრაჰენტს კურსთა შორის სხვაობის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფ-

ლება აქვს. კონტრაჰენტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლის-ში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურსის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. ასეთ შემთხვევაში, კურსთა შორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ანაზღაურებას ექვემდებარება.

17. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე კურსთა შორის სხვაობით მიყენებულ ზიანს კი არ ითხოვდა, არამედ – ვალდებულების შესრულებლობით მიყენებულ ზიანს, ანუ იმ ზიანს, რომელიც მას იმის გამო მიაღდა, რომ ვალდებულება არ შესრულდა, ან არაჯეროდან შესრულდა. ასეთ შემთხვევაში კი სახეზე უნდა ყოფილიყო ვალდებულების დარღვევა და ვალდებულების დარღვევასთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არსებული შედეგი. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაედგინებინა იმ მატერიალური ზიანის არსებობა, რომელიც მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დადგა.

18. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმების მოქმედების პერიოდში, მოპასუხემ მოსარჩელეს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ფასისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო HS – 2000L-ზე შეთანხმება, თუმცა, აღნიშნული შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. უფრო მეტიც, მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლის მიწერილობიდან ნათლად ჩანდა, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს HS-2000L-ის მოდელზე დათანხმება დაჟინებით მოსთხოვა. შესაბამისად, ამგვარი თანხმობის მიღწევის შემთხვევაში, მოსარჩელეს იმ მოდელის ვიდეოსტუდია მიენოებოდა, რომელიც, მაჩვენებლების მიხედვით, დაკვეთილი ვიდეოსტუდიის ანალოგი იყო. საგულისხმო იყო, რომ აღნიშნული მოდელის შეძენას მოსარჩელე არ დაეთანხმა, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი თანხმობის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ იყო, მაშინ, როდესაც საქმის მასალებით მტკიცდებოდა მოპასუხის ოფერტი HS-2000L-ის მოდელის ვიდეოსტუდიის შეძენის თაობაზე, რაც მოსარჩელის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა. ფაქტი, მასზედ, რომ HS-2000L-ის მოდელის ვიდეოსტუდიის შეძენა შემდგომში შეუძლებელი გახდა, მხედველობაში არ მიიღებოდა, ვინაიდან მოპასუხის ოფერტზე, აღნიშნული მოდელის ვიდეოსტუდია შეეძინა, მოსარჩელის თანხმობა არ დასტურდება. შესაბამისად, არ მტკიცდებოდა ოფერტის მოქმედების

ფარგლებში (დროის პერიოდში), ოფერენტის მხრიდან შესასყიდი საგნის შეძენის შეუძლებლობა.

19. სააპელაციო პალატამ ხაზგასმით დაადასტურა ის ფაქტი, რომ მოპასუხემ მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია, კერძოდ, მან 2014 წლის 26 მარტის №EWMI-1109-1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, შესაბამისად, ნებისმიერი ხარჯი, რომელსაც მოსარჩელე გაზრდილი ოდენობით გასწევდა იმის გამო, რომ 2014 წლის 26 მარტის №EWMI-1109-1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მსგავსი შესრულება მიეღო, სსკ-ის 394-ე-405-ე მუხლების კონტექსტში ანაზღაურებას დაექვემდებარებოდა. თუმცა, აღნიშნული საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულება შესთავაზა, რომლის მიღებაზე მოსარჩელემ თანხმობა არ გამოთქვა. სააპელაციო პალატამ სსკ-ის 379-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ კრედიტორს სხვა შესრულების მიღების ვალდებულება არ ჰქონდა, თუმცა, ვინაიდან საქმე ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს ეხებოდა, ასეთი ნივთის მოსპობის ან ბაზარზე არარსებობის შემთხვევაში, სახეზე იყო ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა, რა დროსაც ხელშეკრულებიდან გასვლა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას იწვევდა, თუმცა, ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა ზიანის ანაზღაურებას გამოორიცხავდა.

20. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რა 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული შესრულების შეუძლებლობაზე, ამავდროულად მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმების დადება 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების არაჯეროვნებამ განაპირობა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, 2014 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების შეუძლებლობა სახეზე იყო, თუმცა, აღნიშნული მაინც არ აქარწყლებდა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელემ 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულებით არაჯეროვანი შესრულება მიიღო, რამაც ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გამოიწვია. შესაბამისად, ხარჯს, რომელსაც მოსარჩელე სხვა ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით გასწევდა, არა სხვა მოდელის აპარატურისათვის ნამეტი თანხის გადახდის სახით (აღნიშნული ხარჯი არ ანაზღაურდებოდა, ვინაიდან მსგავსი შესრულება მხარემ არ მიიღო), არამედ ისეთი დამატებითი ხარჯის სახით, როგორიცაა დამატებითი მონყობილობები (მაგ.:

სადენი საჭიროებისამებრ), გადასახადი (მაგ.: დღგ) და ა. შ., აღნიშნული ხარჯი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა, თუმცა, ხარჯი უკვე განეული უნდა ყოფილიყო ან მისი განევის გარდაუვალობა უნდა დადასტურებულიყო. განსახილველ შემთხვევაში კი, იმ გაზრდილი ხარჯის განევის ფაქტი არ მტკიცდებოდა, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ განაპირობა. მაგალითისათვის, სადენის ხარჯი, რომელიც მოსარჩელეს ჯერ არ შეუძენია, იმ ეტაპზე ანაზღაურებას არ დაექვემდებარებოდა, ვინაიდან იმ ეტაპზე ცნობილი არ იყო, თუ რა მოდელის აპარატურას იყიდდა მოსარჩელე, შესაბამისად, უცნობი იყო სადენის ხარისხი, ღირებულება და ა. შ. იგივე მსჯელობა ვრცელდებოდა დღგ-ს გადახდის ვალდებულებაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ იმ ეტაპზე მოსარჩელე არანაირი პროექტის ფარგლებში არ ფინანსდებოდა, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავდა იმას, რომ აპარატურის შემთხვევაში მას, ყველა შემთხვევაში, დამატებითი ღირებულების გადახდა მოუწევდა. ამის საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამომავლოდ არ გამოირიცხებოდა ახალი პროექტის ინიცირება, ასევე ძველი პროექტიდან მიღებული თანხიდან (ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად) აპარატურის შეძენის დაფინანსება და ა. შ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დამატებითი ღირებულების გადახდა გარკვეულ გარემოებებზე დამოკიდებულ პირობას წარმოადგენდა, რომელიც სამომავლოდ დადგებოდა თუ არა, უცნობი იყო. მატერიალური ზიანი კი, სასამართლოს განმარტებით, ანაზღაურებადი კატეგორიაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამდგარია (სახეზეა), ან უცილობლად დადგება და ამის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილია.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

22. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

22.1. სსკ-ის 417-ე მუხლიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნ-

ნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩება. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. ამასთან, სავალდებულოა არსებობდეს შესაბამისი შეთანხმება პირგასამტეხლოს თაობაზე;

22.2. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ 2014 წლის 26 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და ამავე ხელშეკრულებით მხარეთა შორის სათანადო წესით იქნა შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა, მისი დარიცხვის პირობები და საფუძველი. ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა მასში ცვლილების შეტანის წესი 11.2 პუნქტის შესაბამისად. კერძოდ, „ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით – მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. შეთანხმება ცვლილების თაობაზე ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმება არის 2014 წლის 26 მარტს მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და აღნიშნული შეთანხმებით მოპასუხეს მიეცა დამატებითი ვადა ახალი ნივთის ჩამოსატანად. ხელშეკრულების სხვა პირობები (მათ შორის, პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი) არ შეცვლილა. შეთანხმების პრეამბულაში პირდაპირ არის მითითებული, რომ შეთანხმება დაიდო 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა შეთანხმების დამოუკიდებელ ხელშეკრულებად მიჩნევის თაობაზე;

22.3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 51-ე და 53-ე მუხლები. მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება ორმხრივია, რაც აისახა 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულებაში. ანალოგიურად, ორმხრივი ნება აისახა 19 ნოემბერს გაფორმებულ შეთანხმებაში, რომლის შესაბამისად მოპასუხეს მიეცა დამატებითი ვადა ახალი ნივთის ჩამოსატანად. სხვა ყველა პირობა დარჩა უცვლელი, მათ შორის, პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი და პირობები. თუ მხარეები გადაწყვეტდნენ ამ პირობის შეცვლას, შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდებოდა შეთანხმებაში;

22.4. სასამართლო ასევე უთითებს სსკ-ის 418.2 მუხლზე, რომ-

ლის თანახმად, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. წერილობითი ფორმა დაცულია და იგი განერილია 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულებაში, რომლის შემადგენელი ნაწილია 19 ნოემბრის შეთანხმება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია;

22.5. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა თავად შეუშალა ხელი მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში, რაც უსაფუძვლოა. სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმ მტკიცებულებას, რომლის შესაბამისად, მოპასუხე თავად აცნობებს მოსარჩელეს, რომ HS-2000L აღარ იწარმოება. ამასთან, თავდაცვით დაეთანხმა იმ გარემოებას, რომ იგი არ წარმოადგენს დღეის მდგომარეობით ალტერნატიულ პროდუქციას. მოპასუხეს შეთავაზებაც კი არ გაუკეთებია HS-2000L-თან დაკავშირებით, მიუხედავად კასატორის არაერთი მოთხოვნისა. მოპასუხემ მხოლოდ მოდელი შესთავაზა კასატორს და არანაირი ტექნიკური მახასიათებლები არ წარუდგენია;

22.6. სასამართლომ ასევე საერთოდ არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, რომელთა შესაბამისად, თავად მწარმოებელი ადასტურებს (მოპასუხე ასევე არის მწარმოებლის ოფიციალური დილერი), რომ დაკვეთილის ანალოგი არის HS-2200 და ფასი ორივე მოდელს აქვს იდენტური. აღნიშნული მოდელის, როგორც დაკვეთილის ანალოგის, შეთავაზება ასევე გააკეთა მოპასუხემ. აღნიშნული უდავოდ ადასტურებს, რომ კასატორს ხელი არ შეუშლია მოპასუხისთვის. ამ უკანასკნელს სრული შესაძლებლობა ჰქონდა ჩამოეტანა დაკვეთილის ანალოგიური პროდუქტი, თუმცა არ განახორციელა;

22.7. ასევე უდავოა, რომ მოპასუხემ ვადა გადააცილა. ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტს კურსთა შორის სხვაობის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. კონტრაქტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლისში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან ანუ იმ დღიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურსის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. ასეთ შემთხვევაში, კურსთა შორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, სსკ-ის 408-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება;

22.8. სასამართლომ არასწორად განმარტა დღგ-ს ბუნება მოცემული დავის მიზნებისათვის. მხარეებს შორის 2014 წლის 26 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების პირველ პუნქტში სპეციალურად აღინიშნა, რომ ხელშეკრულება დაიდო საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე გამოცხადებული ღია ტენდერის შესაბამისად.

ამავე ხელშეკრულების 2.4 პუნქტში გაიწერა, რომ მოსარჩელე საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გრანტის მიზნებისათვის წარმოადგენს საგადასახადო შეღავათით მოსარგებლეს (განთავისუფლებულია დღგ-საგან). კასატორი ისედაც არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს და ბუნებრივია, არ იხდის ამ გადასახადს;

22.9. საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის შესაბამისად, დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია იმპორტი. ამავე კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების განწევა ან/და საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად ასეთი საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების განწევა ან/და საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, რაც გულისხმობს იმას, რომ საქონლის კუთვნილი დღგ 2299 ლარი ჩაითვალა მოპასუხემ (როგორც გადახდილი დღგ), რითაც მიიღო სარგებელი;

22.10. საქონლის შესყიდვა განხორციელდა საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად გაცემული გრანტის ფარგლებში. აღნიშნული შეღავათის გათვალისწინებით სადავო ნივთის ღირებულებამ შეადგინა 12770 ლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ღირებულება იქნებოდა $12770 + 2299$ (დღგ 18%) = 15069 ლარი. ვინაიდან მოპასუხეს დაეკისრა ნივთის ღირებულება, მას ასევე უნდა დაეკისროს ამ ნივთის ღირებულების დღგ-ს გადახდაც, რადგან დღგ არის ღირებულების განუყოფელი ნაწილი. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოსარჩელე აღარ წარმოადგენს საგადასახადო შეღავათით მოსარგებლეს და მას უკვე ნებისმიერ შესყიდვაზე მოუწევს დღგ-ს დამატება (დღგ ასევე არის დამატებული შპს „ი-ის“ მიერ გაცემულ ინვოისში);

22.11. რაც შეეხება მითითებას სამომავლო დაფინანსებაზე, აღნიშნულ შესაძლებლობაზე მითითება არის უსაფუძვლო. ზიანი დადასტურებულია და გამოსახულია კონკრეტული ოდენობით. დღგ-ს ოდენობა შეადგენს 2299 ლარს, რომელიც არის ნივთის ღირებულების განუყოფელი ნაწილი და, ვინაიდან დაკმაყოფილდა ნივთის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში სარჩელი, ბუნებრივია, უნდა ანაზღაურდეს ასევე მისი კუთვნილი დღგ. შესაბამისად, სახეზე არაა სამომავლო/პირობითი მოვლენა. დღგ-ისგან განთავისუფლება ეხება კონკრეტულ გრანტს და ამავე გრანტის ფარგლებში შესაძენ საქონელს. შესაბამისად, გამონვეულ ზარალს ვერ დააკომპენსირებს სამომავლო/სავარაუდო გრანტი, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიზანი ვერ იქნება სხვა გრანტის ფარგლებში შეძენი-

ლი საქონლის კუთვნილი დღგ-ს დაფინანსება;

22.12. სასამართლო გასაჩივრებული განჩინების მე-14 პუნქტში მსჯელობს და ერთმანეთთან აკავშირებს მხოლოდ მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და იქმნება სურათი, თითქოს კასატორმა ბრალეულად არ მიიღო შეთავაზებული პროდუქტი. იგივე ეხება მე-17 პუნქტსაც. სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. 2014 წლის 19 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება 2014 წლის 26 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, რომლითაც განისაზღვრა, რომ მოპასუხე მწარმოებლისგან (დატავიდეო) მოსარჩელისთვის შეიძენდა ახალ მობილურ ვიდეოსტუდიას. ამ შეთანხმების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2014 წლის 19 დეკემბერი. შემდგომში მოპასუხემ შეატყობინა მოსარჩელეს, რომ დატავიდეო იმავე მოდელს აღარ აწარმოებდა, ასევე აცნობა, რომ აწარმოებდა HS-2000L-ს, თუმცა შეთავაზება არ გაუკეთებია და არც მოდელის ტექნიკური მონაცემები წარმოუდგენია, მიუხედავად მოსარჩელის არაერთი მოთხოვნისა. პარალელურად მოსარჩელეს ჰქონდა მიმონერა დატავიდეოს ინტერნეტ კონსულტანტებთან, რომელთაგან ორმა მოსარჩელეს მისი მოდელის ადეკვატურ და შესაფერის მოდელად HS-2200 შესთავაზა. საგულისხმოა, რომ თავად მოპასუხემაც შესთავაზა მოსარჩელეს აღნიშნული მოდელის ჩამოტანა, თუმცა არცერთ მოდელთან დაკავშირებით მოპასუხეს მოსარჩელისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქართულ ენაზე შესრულებული ტექნიკური მახასიათებლები დოკუმენტის სახით არ მიუწოდებია, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა. თუმცა, სიტყვიერად ჰპირდებოდა, რომ ჩამოიტანდა HS-2200-ს. ამავე პერიოდში მოსარჩელისთვის მწარმოებლისაგან ცნობილი გახდა, რომ HS-2000L იანვრიდან აღარ იწარმოებოდა. ეს ინფორმაცია დაადასტურა ასევე მოპასუხემაც. მოსარჩელემ შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ და დატავიდეოს კონსულტანტების აზრის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ მისი მოდელის ყველაზე შესაფერისი მოდელი იყო HS-2200;

22.13. 2015 წლის 15 იანვარს მხარეთა შორის არსებული მიმონერიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ შესთავაზა HS-2200 მოდელის ჩამოტანა და საუბარია შესაბამისი შეთანხმების გაფორმებაზე, 10 თებერვლის წერილში მოპასუხემ შეატყობინა მოსარჩელეს, რომ HS-2200 უფრო ძვირია, ვიდრე 2000L. დატავიდეოს კონსულტანტმა მოსარჩელეს დაუდასტურა, რომ ფასები ტოლია. 14 თებერვალს შედგა ბოლო საუბარი მოსარჩელე კომპანიის თავმჯდომარესა და მოპასუხე კომპანიის დირექტორს შორის და ეს უკანასკნელი დაჰპირდა HS-2200-ის ჩამოტანას. ამის შემდეგ, მოსარჩელეს არ და-

კავშირებია არც მოპასუხე კომპანიის დირექტორი და არც მოპასუხე კომპანიის საკონტაქტო პირი, რომელსაც მოსარჩელემ ბოლოს მიმართა 17 თებერვალს;

22.14. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მოსარჩელეს არ მიეცა შესაძლებლობა შეეძინა დაკვეთილის ანალოგიური მოდელი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო. ამასთან, მოპასუხე კომპანიის დირექტორმა პირველი ინსტანციის სასამართლოში განმარტა, რომ მან მიწოდებული ნუნდებული საქონელი გაარემონტა და გაყიდა სხვა კომპანიაზე, რაც ასევე ადასტურებს, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერია.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

25. საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას [სსსკ-ის 410-ე მუხლი].

26. საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

27. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 26 მარტს დადებული №EWMI-1109-1 ხელშეკრულების შესაბამისად, მოსარჩელის მიერ შესყიდულ მობილურ ვი-

დეოსტუდიას DATAVIDEO HS-2000-ს აღმოაჩნდა ქარხნული წუნი, რაზეც მხარეთა შორის გაფორმდა ნივთის დეფექტის შესახებ აქტი (იხ. წინამდებარე განჩინების 1 და მე-4 პუნქტები). მხარეები 2014 წლის 19 ნოემბერს შეთანხმდნენ, რომ მომწოდებელი მწარმოებლისაგან ახალ ვიდეოსტუდიას შეიძენდა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი). თუმცა, მოპასუხემ მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისთვის ნასყიდობის საგნის საფასურის – 12770 ლარისა და ასევე, 2014 წლის 26 მარტს დადებული ხელშეკრულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების თაობაზე, რაც მოპასუხის მიერ არ გასაჩივრებულა და, მაშასადამე, კანონიერ ძალაშია შესული.

28. ამდენად, მყიდველი, გამყიდველის მიერ ნივთობრივად ნაკლიანი ნივთის მიწოდების გამო, გავიდა ხელშეკრულებიდან და აღდგა პირვანდელ მდგომარეობაში, მიიღო რა ნასყიდობის საგნის საფასური [სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები: ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მთანოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. სსკ-ის 487-ე მუხლი: გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. სსკ-ის 488.1. მუხლი: ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. სსკ-ის 490.1. მუხლი: თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. სსკ-ის 491.1 მუხლი: მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით. სსკ-ის 352.1 მუხლი: თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). სსკ-ის 405.1 მუხლის პირველი წინადადება: თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ].

29. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე სადავოა 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმების საფუძველზე მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხი.

30. მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასწორ შეფასებას [სსსკ-ის 105-ე მუხლი: სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში]. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ სანყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფაა შესაძლებელი.

31. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმება არის 2014 წლის 26 მარტს მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

32. დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2014 წლის 26 მარტს №EWMI-1109-1 ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი იყო სატელევიზიო სტუდიური აღჭურვილობის შესყიდვა თანმდევი მომსახურებით. ამავე ხელშეკრულების 8.2. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,03%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,05%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი და მე-2 პუნქტები).

33. საქმის მასალებში არსებული 2014 წლის 26 მარტის №EWMI-1109-1 ხელშეკრულების 4.3. პუნქტის თანახმად, აღჭურვილობის

ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს წუნდებული პროდუქციის შეცვლა საკუთარი ხარჯებით, საგარანტიო ვალდებულებათა შესაბამისად. დადგენილია, რომ 2014 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ნივთის დეფექტის შესახებ აქტი გაფორმდა, რომლითაც მხარეებმა შესასყიდი ობიექტის ქარხნული წუნი დაადასტურეს (იხ. წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტი). ამასთან, აღნიშნული აქტიდან ირკვევა, რომ შესყიდული ვიდეოსტუდია №EWMI-1109-1 ხელშეკრულების შესაბამისად ექვემდებარება შეცვლას. დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2014 წლის 19 ნოემბერს შეთანხმება გაფორმდა, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემსყიდველი დაუბრუნებს მომწოდებელს ამ ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულ ვიდეოსტუდიას DATAVIDEO HS-2000-ს, იმ პირობით, რომ მომწოდებელი მწარმოებლისაგან ახალ ვიდეოსტუდიას შეიძენს (შესაბამისი ახალი სერიული ნომრით), რომლის ტექნიკური მახასიათებლები №EWMI-1109-1 ხელშეკრულების დანართის პირველი პუნქტით არის განსაზღვრული და არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში შემსყიდველს მიაწოდებს (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი). აღნიშნული შეთანხმებიდან ირკვევა, რომ იგი გაფორმდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება №EWMI-1109-1-ის მე-4 მუხლის 4.3 პუნქტისა და ამავე ხელშეკრულების დანართში გათვალისწინებული საგარანტიო პირობების შესაბამისად.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ 2014 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმება ვერ იქნება მიჩნეული დამოუკიდებელ ხელშეკრულებად, იგი დაიდო 2014 წლის 26 მარტის №EWMI-1109-1 ხელშეკრულების 4.3. პუნქტის საფუძველზე და მის შესასრულებლად და წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულების 8.2. პუნქტით დადგენილი პირობები პირგასამტეხლოს შესახებ სრულად უნდა გავრცელდეს მის საფუძველზე დადებულ 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმებაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში კასატორის/მოსარჩელის პრეტენზია დასაბუთებულია.

35. თუმცა, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმების დარღვევისთვის მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობები არ არსებობს.

36. უპირველესად, მნიშვნელოვანია სამართლებრივად სწორად შეფასდეს, შესრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია თუ წარმოადგენს გვაროვნულ ნივთს, რასთან დაკავშირებითაც, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალა-

ტის მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სახეზეა გვაროვნული ნივთი [სსკ-ის 382-ე მუხლი: თუ შესრულების საგანი ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს].

37. გვაროვნული ნივთი გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთია, კერძოდ რაოდენობით, წონით, ზომით და ა.შ. ინდივიდუალური ნივთები ინდივიდუალური ნიშნებით განსაზღვრული ნივთებია. ამ თვისებათა გამო გვაროვნული ნივთები შეცვლადი ნივთებია, ინდივიდუალური კი – არა. ამიტომაცაა, რომ როცა შესრულების საგანია გვაროვნული ნივთი, შესრულების სივრცე (ფარგლები) მოიაზრება მოცემული გვარის ყველა ნივთით. მოვალეს შეუძლია ნებისმიერი ნივთი შესთავაზოს კრედიტორს მოცემული გვარიდან. აქ არა გვაქვს კონკრეტული ნივთი, რომელსაც შემცვლელი არ მოეპოვება. გვაროვნული ვალდებულება მოვალეს შესრულების მეტ შესაძლებლობას აძლევს. ვიდრე მოცემული გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვაშია, მანამ არსებობს მისი შეძენის ობიექტური შესაძლებლობა. პირმა ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. მისი ეს ვალდებულება მაშინ ქარწყლდება, როდესაც მოცემული გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვიდან საერთოდ გაქრება, ანდა მათი შეძენა დაკავშირებული იქნება უზომოდ დიდ დანახარჯებთან, რაც სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე მიუღებელი იქნება (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 327, 329).

38. განსახილველ შემთხვევაში მხარეები 2014 წლის 19 ნოემბერს შეთანხმდნენ, რომ მომწოდებელი მწარმოებლისაგან ახალ ვიდეოსტუდიას შეიძენდა (შესაბამისი ახალი სერიული ნომრით), რომლის ტექნიკური მახასიათებლები №EWMI-1109-1 ხელშეკრულების დანართის პირველი პუნქტით იყო განსაზღვრული (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი) ანუ მხარეები შეთანხმდნენ ნუნდებული ვიდეოსტუდიის იმავე ტექნიკური მახასიათებლების მქონე ვიდეოსტუდიით შეცვლაზე, რაც ცხადყოფს იმას, რომ შესრულების საგანი გვაროვნული ნივთია.

39. შესაბამისად, მოპასუხე (გამყიდველი) ვალდებული იყო ნებისმიერ შემთხვევაში შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება. მას ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებდა არც ის გარემოება, რომ მას შესრულების საგანი სხვა პირისგან (მწარმოებლისგან) უნდა მიეღო [სსკ-ის 397-ე მუხლი: მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს].

40. თუმცა, საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ, მიუხედა-

ვად მოპასუხის მცდელობისა, მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა მობილური ვიდეოსტუდიის კონკრეტული მოდელის შესყიდვაზე საბოლოოდ ვერ მოხერხდა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-18 პუნქტი), რაც მოპასუხეს ათავისუფლებს 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმებით ნაკისრი მიწოდების ვალდებულებისაგან. ვალდებულების არარსებობა კი თავისთავად გამორიცხავს პირგასამტეხლოს დაკისრებას.

41. პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის [სსკ-ის 417-ე მუხლი]. პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები უზენაესი სასამართლოს არაერთ გადამწყვეტილებაშია ასახული. ის წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი (იხ. სუსგ №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016 წელი). ამდენად, პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევა.

42. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის 2014 წლის 19 ნოემბრის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან მხარეთა შორის შესრულების საგანზე შეუთანხმებლობის გამო მოპასუხე გაათავისუფლდა დამატებითი შესრულების ვალდებულებისაგან.

43. რაც შეეხება მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხისათვის ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში აშშ დოლარის კურსის ცვალებადობით გამოწვეული სხვაობისა და გადასახდელი დღგ-ს 7229 ლარის, ასევე აუდიო კაბელების ღირებულების – 120 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნებიც დაუსაბუთებელია.

44. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კურსის ცვალებადობით გამოწვეული სხვაობისა და ასევე გადასახდელი დღგ-ს თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის გაანგარიშება ემყარება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნას, რომელშიც ასახულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით მოსარჩელისთვის წარ-

მოშობილი იმ პოტენციური დამატებითი ხარჯების გაანგარიშება, რაც უკავშირდება კურსთა შორის სხვაობასა და საგადასახადო ვალდებულებების ზრდას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მობილური ვიდეოსტუდია DATAVIDEO HS-2000 მოსარჩელეს მომწოდებელმა გადასცა 2014 წლის 22 აპრილს და მისი ღირებულება განსაზღვრული იყო 12770 ლარის ოდენობით. რადგან აღნიშნული ტექნიკა წარმოადგენს იმპორტულ საქონელს და მისი ანალოგი საქართველოში არ იწარმოება, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გავლენას ახდენს ტექნიკის ფასზე. ამავე დასკვნის თანახმად, ვინაიდან მოსარჩელე 2014 წლის 31 ივლისიდან აღარ წარმოადგენს საგადასახადო შეღავათით მოსარგებლეს, აგრეთვე, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საველუტო კურსი დოლართან მიმართებაში 2014 წლის 22 აპრილს შეადგენდა 1 დოლარი – 1.7551 ლარს, ხოლო 2015 წლის 8 მაისისთვის, 1 დოლარი – 2,3294 ლარს, საგადასახადო და კურსთა შორის სხვაობათა სავარაუდო გავლენა ფასზე შეადგენს 7229 ლარს (დამატებით გადასახდელი დღგ 2299 ლარი + კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფასის ზრდაზე 4931 ლარი). რაც შეეხება აუდიო კაბელების ღირებულების – 120 ლარის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელე აღნიშნულის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ აუდიო კაბელები აუცილებელია, რათა დატავიდეო HS-2200-მა იმუშაოს სრულყოფილად.

45. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს არა კურსთა შორის სხვაობით მიყენებულ ზიანს, არამედ მოპასუხის მიერ 2014 წლის 26 მარტის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას [სსკ-ის 407.1 მუხლი: ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით].

46. სსკ-ის 389-ე მუხლის თანახმად, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

47. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებად. „ნომინალიზმის პრინციპიდან“ გამომდინარე 1 ლარი უდრის 1 ლარს ნებისმიერ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, ხდება ფულის მსყიდველობითუნარიანობის გაზრდა თუ

შემცირება. თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ სხვადასხვა დათქმით თავი დაიზღვიონ უარყოფითი შედეგებისაგან. თუ ამას არ ექნება ადგილი, ნომინალიზმი სამართლის ობიექტური ნებით, სავარაუდო პირობა იქნება და, შესაბამისად, მხარეებიც თავიანთ თავზე აიღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკსაც: ვალის გადახდის მომენტში, თუკი გაზრდილია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, ეს კრედიტორის სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს არავითარი უფლება არა აქვს ვალის დაბრუნებისას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს ამ გარემოებას. თუ ვალის გადახდის მომენტში შემცირებულია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად ხდება კრედიტორი და მასაც არა აქვს უფლება ეს გარემოება გამოიყენოს მოვალის საწინააღმდეგოდ. „ნომინალიზმის პრინციპის“ არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებული პირი კრედიტორს ფულად ნიშნებს იმავე რაოდენობით უბრუნებს, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ამ დროს ფულის მსყიდველობითუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ მიესადაგება მხოლოდ გადახდის ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლას და დაუშვებელია ამ პრინციპის გამოყენების საკითხის დასმა მაშინ, როდესაც საუბარია ეროვნული ვალუტის უცხო ქვეყნის ვალუტის კურსთან ცვალებადობის შედეგად წარმოშობილ ზიანზე. ვალის ვალუტისა და გადახდის ვალუტის კურსებს შორის გადაანგარიშების ვალდებულება კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ როდესაც, ადგილი აქვს ვადაგადაცილებას. ასეთ შემთხვევაში, კონტრაგენტს კურსთაშორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. კონტრაგენტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლისში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურსის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. ასეთ შემთხვევაში, კურსთაშორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ანაზღაურებას ექვემდებარება [სსკ-ის 408-ე მუხლი] (იხ. სუსგ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019 წელი).

48. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად ტექნიკის გაზრდილი (ნამატი) ფასის ანაზღაურებას და არა ვადაგადაცილებისას კურსთა შორის სხვაობას, რასთან და-

კავშირებითაც საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის 102.1 მუხლზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ზიანის გაანგარიშება ეფუძნება სამომავლო პოტენციურ ხარჯებს, იქნება ეს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად ტექნიკის გაზრდილი (ნამატი) ფასი, მომავალში გადასახდელი დღე თუ აუდიო კაბელები. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა თავად დამდგარი ზიანი. სსკ-ის 408.1 მუხლის თანახმად [იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება], ანაზღაურებას ექვემდებარება ფაქტობრივად დამდგარი ზიანი ანუ უკვე განეული ხარჯი. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელეს არ წარმოუდგენია გაზრდილი ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას უსაფუძვლოს ხდის.

49. ამრიგად, საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

50. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „უ.ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირგასამტეხლოს დაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-262-2019

2 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „დ-სა“ (შემდეგში: მოპასუხე, საწარმო, აღნაგობის უფლების მქონე, პირველი აპელანტი ან პირველი კასატორი) და სსიპ „ზ. პ-ს“ შორის, 2006 წლის 13 აპრილს, გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომლის თანახმად, მოპასუხეს 49 წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცა ბათუმის ზ. პ-ის ტერიტორიაზე, ქუჩის გაგრძელებაზე მარცხნივ და მარჯვნივ ადრე განთავსებული №2 და №3 კაფე-ბარების სასარგებლო ფართი, თითოეული კაფე-ბარისათვის 400-400 კვ.მ, საერთო ჯამში – 800 კვმ. ფართი.

2. ხელშეკრულება 2006 წლის 9 ივნისს დამოწმდა ნოტარიუსის მიერ, რაც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა.

3. აჭარის არ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 8 აპრილის №33 ბრძანებით, სსიპ „ზ. პ-ის“ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი აჭარის არ საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა თვითმმართველ ქალაქ ბათუმს.

4. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის №247 ბრძანებით სსიპ „ზ. პ-ის“ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი აჭარის არ-ის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა თვითმმართველ ქალაქ ბათუმს. ამის საფუძველზე, 2008 წლის 24 ივნისს, აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქ. ბათუმის თვითმმართველობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით აჭარის არ-ის ქონება საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა ქ. ბათუმის თვითმმართველობას.

5. ქ. ბათუმის მერიასა და საწარმოს შორის, 2009 წლის 6 აპრილს, გაფორმდა შეთანხმება (შემდეგში: შეთანხმება) სსიპ „ზ. პ-სა“ და მოპასუხეს შორის, 2006 წლის 9 ივნისს დამოწმებულ იჯარის ხელ-

შეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულებას ეწოდა აღნაგობის ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების მხარედ სსიპ „ზ.პ-ის“ ნაცვლად მიეთითა ბათუმის მერია (შემდეგში: მოსარჩელე, მერია, მესაკუთრე, მეორე აპელანტი ან მეორე კასატორი). ამავე შეთანხმების თანახმად, ახლად ჩამოყალიბდა ხელშეკრულების მე-3 მუხლი, რომლითაც განისაზღვრა აღნაგობის საზღაური, მისი გადახდის დრო და წესი. შეთანხმება ძალაში შევიდა 06.04.2009 წლიდან. შეთანხმების 2.1 პუნქტით მინის ნაკვეთზე აღნაგობის უფლება განისაზღვრა 49 წლის ვადით, 2006 წლის 9 ივნისიდან 2055 წლის 9 ივნისამდე. მითითებული შეთანხმებაც სანოტარო წესით დამოწმდა.

6. შეთანხმების თანახმად, აღნაგობის ხელშეკრულების მე-3 მუხლის საფუძველზე აღნაგობის საზღაურის მთლიანი ოდენობა განისაზღვრა: აღნაგობის ხელშეკრულების პირველი 5 სახელშეკრულებო წლის განმავლობაში – 20 000 ლარით წელიწადში; აღნაგობის ხელშეკრულების მომდევნო 5 სახელშეკრულებო წლის განმავლობაში – 30 000 ლარით წელიწადში; ხოლო აღნაგობის ხელშეკრულების შემდეგ სახელშეკრულებო წლებში – 40 000 ლარით წელიწადში. აღნაგობის საზღაურის გადახდის ვადად განისაზღვრა ყოველი სახელშეკრულებო წლის 25 სექტემბრამდე პერიოდი.

7. იჯარის ხელშეკრულებისა და შეთანხმების პირობების ერთობლივად შეფასებით, თითოეული სახელშეკრულებო წლის სანყის პერიოდად მიჩნეულ იქნა ხელშეკრულების (იჯარის) ძალაში შესვლის პერიოდი – 2006 წლის 9 ივნისი, ვინაიდან 2009 წლის მხარეთა შეთანხმების 3.4 პუნქტის შესაბამისად, სახელშეკრულებო წლის სანყის პერიოდად განისაზღვრა ხელშეკრულების (და არა შეთანხმების) ძალაში შესვლის პერიოდი. 2006 წლის იჯარის ხელშეკრულების თანახმად კი, ხელშეკრულება ძალაში შევიდა მისი სანოტარო წესით დამოწმებისა და საჯარო რეესტრში აღრიცხვის დღეს – 2006 წლის 9 ივნისს. შესაბამისად, სახელშეკრულებო წლის სანყის თარიღის 2006 წლის 9 ივნისის მიჩნევა სწორია, ხოლო სახელშეკრულებო წლის ბოლო თარიღად მომდევნო წლის 9 ივნისი, ანუ პირველი სახელშეკრულებო წელი უნდა განისაზღვროს 2006 წლის 9 ივნისიდან 2007 წლის 9 ივნისამდე, მე-2 სახელშეკრულებო წელი – 2007 წლის 9 ივნისიდან 2008 წლის 9 ივნისამდე და ა.შ.

8. შეთანხმების 3.3 პუნქტის მიხედვით აღნაგობის უფლების მქონემ იკისრა ვალდებულება აღნაგობის საფასური დაეფარა ყოველი სახელშეკრულებო წლის 25 სექტემბრამდე. პირველი ხუთი სახელშეკრულებო წლის მანძილზე სანარმო ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დავა შეეხება მე-6 სახელშეკრულებო წლიდან, ანუ 2011

წლის 9 ივნისიდან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების საკითხს, 2017 წლის 17 მაისამდე.

9. მე-6 სახელშეკრულებო წელი მოიცავს – 2011 წლის 9 ივნისიდან 2012 წლის 9 ივნისამდე პერიოდს, მე-7 სახელშეკრულებო წელი – 2012 წლის 9 ივნისიდან 2013 წლის 9 ივნისამდე პერიოდს, მე-8 სახელშეკრულებო წელი – 2013 წლის 9 ივნისიდან 2014 წლის 9 ივნისამდე პერიოდს, მე-9 სახელშეკრულებო წელი – 2014 წლის 9 ივნისიდან 2015 წლის 9 ივნისამდე და მე-10 სახელშეკრულებო წელი 2015 წლის 9 ივნისიდან 2016 წლის 9 ივნისამდე პერიოდს. შეთანხმების მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, პირველი ხუთი სახელშეკრულებო წლის მანძილზე გადასახდელი აღნაგობის საზღაური შეადგენდა წლიურად 20 000 (ოცი ათასი) ლარს, რაც ამავე შეთანხმების 3.3 პუნქტის მიხედვით, გადახდილი უნდა ყოფილიყო თითოეული სახელშეკრულებო წლის 25 სექტემბრამდე (ტ. 1. ს.ფ. 32-33). პირველი ხუთი სახელშეკრულებო წელი მოიცავდა 2006 წლის 9 ივნისიდან 2011 წლის 9 ივნისამდე პერიოდს და თითოეული წლისათვის აღნაგობის საზღაური შეადგენდა 20 000 (ოცი ათასი) ლარს. მომდევნო ხუთი სახელშეკრულებო წელი მოიცავდა 2011 წლის 9 ივნისიდან 2016 წლის 9 ივნისამდე პერიოდს და თითოეული წლისთვის აღნაგობის საზღაური შეადგენდა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს. 2016 წლის 9 ივნისის შემდგომი სახელშეკრულებო წლების საზღაური კი შეადგენდა წლიურად 40 000 (ორმოცი ათასი) ლარს.

10. სასარჩელო მოთხოვნა

10.1. მერიამ 2016 წლის 18 იანვარს სარჩელით მიმართა სასამართლოს აღნაგობის უფლების მქონე საწარმოს წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის 2011 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე დარიცხული აღნაგობის საზღაურის – 157 000.00 ლარის, 2011 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე პერიოდისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს – 147 994.50 ლარისა და 2017 წლის 17 მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, დღეში 117 ლარის დაკისრება.

11. მოპასუხის შესაგებელი

11.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ აღნაგობის უფლების მქონე საწარმოს მრავალფუნქციური გასართობი ცენტრის „ტ-ის“ მიმდებარედ, პირდაპირ პლაჟზე, მერიამ აღნაგობით გადასცა 7391 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შპს „ბ-ს“, რომელმაც 2010 წლიდან იგივე საქმიანობა განახორციელა უნებართვო ობიექტში. მერიამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, არაჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნით მო-

პასუხეს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა და გაკოტრების პირას მიიყვანა. მოპასუხის მტკიცებით, ის სწორედ მოსარჩელის დანაშაულებრივი ქმედების გამო ვერ იხდის აღნაგობის საფასურს.

11.2. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ სარჩელი ხანდაზმულია.

12. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

12.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მერიის სარჩელი; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე გადაუხდელი აღნაგობის საზღაურის – 127 000.00 ლარის ანაზღაურება; საწარმოს 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მესაკუთრის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს ანაზღაურება – 64 493.10 ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს ანაზღაურება 127 000 ლარის 0.07 %-ის ოდენობით, 2017 წლის 17 მაისიდან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 პუნქტის აღსრულებამდე, ყოველი გადაგადაცილებული დღისათვის (დღეში 88.90 ლარის ოდენობით).

12.2. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 115-ე, 316-ე, 317-ე, 327-ე, 361-ე, მე-400, 417-ე, 418-ე, 420-ე 233-ე, 234-ე, 236-ე, 237-ე მუხლებზე მიუთითა.

13. სააპელაციო საჩივრები

13.1. მოსარჩელემ (მერიამ) სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

13.2. მოპასუხემ (აღნაგობის უფლების მქონემ) სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

14. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

14.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საწარმოს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე 64493,10 ლა-

რი; გაუქმდა გადაწყვეტილების 1.3 პუნქტი, რომლითაც სანარმოს მერიის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს ანაზღაურება 127 000 ლარის 0,07%-ის ოდენობით 2017 წლის 17 მაისიდან გადან-ყვეტილების აღსრულებამდე; გაუქმდა გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი სახელმწიფო ბაჟის სახით მოპასუხისათვის 3028,5 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილებში მიღებულ იქნა ახალი გა-დანყვეტილება; სარჩელი აღნაგობის უფლების მქონესათვის პირ-გასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და; სანარმოს მერიის სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის 25 სექ-ტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე პირგასამტეხლოს სახით ძირი-თადი გადაუხდელი თანხის 0,02%, რაც უდრის 18426 ლარსა და 60 თეთრს; მასვე დაეკისრა 2017 წლის მაისიდან აღსრულებამდე გა-დაუხდელი თანხის 0,02 პროცენტი ყოველდღიურად.

14.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამ-დებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა 2016 წლის 18 იანვარს, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვ-ნა 2013 წლის 18 იანვრამდე პერიოდისათვის ხანდაზმულია. ამას-თან, ეს პერიოდი მოიცავს მხარეთა შორის სადავო მე-6 და მე-7 სახელშეკრულებო წლებსაც – 2011 წლის 9 ივნისიდან 2012 წლის 9 ივნისამდე და 2012 წლის 9 ივნისიდან 2013 წლის 9 ივნისამდე პე-რიოდს. მოსარჩელემ მითითებული წლების დავალიანების ანაზღა-ურების მოთხოვნის ნაწილში გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უა-რის თქმის საფუძველია.

14.3. მხარეთა შორის არსებული აღნაგობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ მო-სარჩელის მოთხოვნა აღნაგობის საზღაურის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია მე-8 სახელშეკრულებო წლიდან მე-11 სახელშეკ-რულებო წლის ჩათვლით, მათ შორის: მე-8 სახელშეკრულებო წლის – 2013 წლის 9 ივნისიდან 2014 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღა-ურის – 30 000 ლარის ნაწილში; მე-9 სახელშეკრულებო წლის – 2014 წლის 9 ივნისიდან 2015 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღაურის – 30 000 ლარის ნაწილში; მე-10 სახელშეკრულებო წლის – 2015 წლის 9 ივნისიდან 2016 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღაურის – 30 000 ლარის ნაწილში; მე-11 სახელშეკრულებო წლის – 2016 წლის 9 ივნისიდან 2017 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღაურის – 40 000 ლარის ნაწილში; საერთო ჯამში აღნაგობის საზღაური მე-8 სახელ-შეკრულებო წლიდან მე-11 სახელშეკრულებო წლის ჩათვლით, შე-ადგენს 130 000 ლარს, საიდანაც მოპასუხეს 2013 წლის 16 სექტემ-

ბერს დაფარული აქვს 3000 ლარი (მე-8 სახელშეკრულებო წლის საზღაურის ნაწილი), შესაბამისად, მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 127 000 ლარს, რომლის ანაზღაურება მოპასუხეს კანონშესაბამისად დაეკისრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

14.4. სააპელაციო სასამართლომ, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსი, არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, მოსარჩელის ბრალეული მოქმედებით განცდილ ზიანზე და ამავე მიზეზით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე, ვინაიდან ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

14.5. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნაგობის ხელშეკრულების 5.11 პუნქტის შესაბამისად, აღნაგობის საზღაურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე, აღნაგობის საზღაურის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა აღნაგობის უფლების მქონე პირს მესაკუთრის სასარგებლოდ.

14.6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნაგობის უფლების მქონემ 2011 წლის 25 სექტემბრიდან დაარღვია აღნაგობის საზღაურის გადახდის ვალდებულება 2011 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისის ჩათვლით.

14.7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლომ 0.1%-დან 0.07 პროცენტამდე შეამცირა.

14.8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ძირითადი დავალიანება, აღნაგობის გადაუხდელი საფასური, რაც მოპასუხეს მოსარჩელისათვის აქვს გადასახდელი შეადგენს 127 000 ლარს. შესაბამისად, 127 000 ძირითადი ვალდებულების პირობებში 64 493.10 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს განსაზღვრა (ანუ ძირითადი თანხის თითქმის 50%-ით) სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და არაგონივრულად მიიჩნია.

14.9. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 417-ე-420-ე მუხლების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს გონივრული ოდენობა 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე პერიოდისთვის, რომელიც პირველმა აპელანტმა მეორე აპელანტს უნდა გადაუხადოს, არის ძირითადი გადაუხდელი თანხის 0,02%, რაც 18426 ლარსა და 60 თეთრს შეადგენს.

14.10. 2017 წლის 17 მაისიდან გადანყევტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად გადასახდელ პირგასამტეხლოსთან დაკავში-

რებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ პერიოდზეც პირგასამტეხლოს ყოველდღიური ოდენობა 0.02%-ით უნდა იქნეს გაანგარიშებული, რაც 25.4 ლარს შეადგენს.

15. საკასაციო საჩივრები

15.1. პირველმა კასატორმა (მოპასუხემ) საკასაციო წესით გააჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

15.2. მეორე კასატორმა (მოსარჩელემ) საკასაციო წესით გააჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

15.3. პირველი კასატორის (აღნაგობის უფლების მქონე სანარმოს) განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 398-ე მუხლი და არ დაადგინა შესრულების შეუძლებლობა. საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით ცალსახად დასტურდება, რომ სანარმოს გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ გამოწვეულია შპს „ბ-ის“ მიერ უკანონო მშენებლობის განხორციელებით და მისთვის მერიის მხრიდან დაწესებული უკანონო შეღავათებით.

15.4. სანარმო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო შეცვლილი გარემოებები, მერიის უკანონო მოქმედებით გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა და უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღნაგობის უფლების მქონე სანარმოს არ შეიძლება მოეთხოვოს იმაზე მეტი ოდენობის აღნაგობის თანხის გადახდა, ვიდრე ეს დადგენილია შპს „ბ-ის“ მიმართ.

15.5. პირველი კასატორის განმარტებით იქიდან გამომდინარე, რომ უკანონოა აღნაგობის თანხის დაკისრება, ასევე უკანონოა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება. სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა ტერმინები „ხელშეკრულება“ და „შეთანხმება“, რის საფუძველზეც აღნაგობის საფასურის გადახდის საწყის თარიღად მიიჩნია 2006 წლის 9 ივნისი. შეთანხმების 3.4 მუხლში მითითებული სიტყვები „ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან“ მიემართება არა იჯარის ხელშეკრულებას, არამედ – აღნაგობის ხელშეკრულებას, ვინაიდან 2009 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მე-3 მუხლში საუბარია აღნაგობის და არა იჯარის საზღაურზე. ამასთან, აღნაგობის საფასურის გადახდის ვალდებულება ძალაში ვერ შევიდოდა 2006 წლის 9 ივნისს, ვინაიდან თავად 2009 წლის 6 აპრილის ხელშეკრულებაც, 6.6 მუხლის თანახმად „ძალაშია მისი დადგენილი წესით დადასტურების დღი-

დან“. იმ შემთხვევაში თუკი სასამართლო აღნაგობის საფასურის გადახდის ათვლის წერტილად მიიჩნევა 2009 წლის 6 აპრილს, მაშინ მე-6 სახელშეკრულებო წელი იქნებოდა არა 2011, არამედ – 2014 წელი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წლის 18 იანვრამდე პერიოდისათვის მოთხოვნა ხანდაზმულია, ხოლო თანხის დაკისრება დადგინდა 2013 წლიდან, აღნაგობის საფასური უნდა განსაზღვრულიყო შემდეგნაირად: 1. 2013 წლის 6 აპრილიდან 2014 წლის 6 აპრილამდე – 20 000 ლარი; 2. 2014 წლის 6 აპრილიდან 2015 წლის 6 აპრილამდე – 20 000 ლარი; 3. 2015 წლის 6 აპრილიდან 2016 წლის 6 აპრილამდე – 30 000 ლარი; 4. 2016 წლის 6 აპრილიდან 2017 წლის 6 აპრილამდე – 30 000 ლარი, სულ 100 000 ლარი.

15.6. მეორე კასატორის (მუნიციპალიტეტის მერიის) განმარტებით, ხანდაზმულობის შესახებ მსჯელობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულია სამართლებრივი შეფასების ნაწილში, თუმცა ხანდაზმულობა წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე გამოდის, რომ სასამართლოს ხანდაზმულობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება არ დაუდგენია. გარდა აღნიშნულისა, კასატორის მტკიცებით, დადგენილია, რომ 2009 წლის 6 აპრილის მერიასა და საწარმოს შორის გაფორმებული შეთანხმებით, მერიასა და აღნაგობის უფლების მქონეს შორის არსებულ იჯარის ხელშეკრულებას ეწოდა აღნაგობის ხელშეკრულება, ვინაიდან ხელშეკრულება საკუთარი არსით წარმოადგენდა არა იჯარის, არამედ სწორედ აღნაგობის ხელშეკრულებას. რაც შეეხება საკუთრივ აღნაგობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას, აღნაგობის უფლების მომწესრიგებელი ნორმები მოქცეულია სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის თავში და გულისხმობს მიწის ნაკვეთის დატვირთვას შეზღუდული სანივთო უფლებით, ანუ აღნაგობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ და მხოლოდ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად მის საგანს წარმოადგენს მხოლოდ უძრავი ქონება. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა 6 წელს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელებით დაცვაზე ხანდაზმულობას, საკუთრების უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, არ ავრცელებს. შესაბამისად, სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილს, 6-წლიან ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თუ დავიყვანთ მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების დადგენის, უფლების გადაცემისა ან გაუქმების მოთხოვნებისათვის,

რომლებზეც ხანდაზმულობის მოთხოვნა ისედაც არ ვრცელდება, მაშინ გაუგებარია, თუ როდის უნდა იქნეს გამოყენებული 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ამასთან, არა ზოგადად მოთხოვნის ვადა, არამედ – სახელშეკრულებო მოთხოვნის ვადა.

15.7. მეორე კასატორმა (მუნიციპალიტეტის მერიამ) პირგასამტეხლოს ფუნქციაზე ისაუბრა და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ პირგასამტეხლოს ის ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან იქნეს აცილებული დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები, ანუ ერთგვარი პრევენციული ფუნქცია, მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნა შესრულებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, ასევე – მხარეთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში უნდა გაუქმდეს და მხოლოდ ამ ნაწილებში უნდა იქნეს მიღებული ახალი გადაწყვეტილება, ხოლო საწარმოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

16. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, №7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში:სსსკ) 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებშია ასახული.

18. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება პირველი კასატორის (მოპასუხე საწარმოს) საკასაციო პრეტენზიას, რომ განსახილველ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების (აღნაგობის საზღაურის გადახდის) შეუძლებლობა დასტურდებოდა და სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი ნაწილი: „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველ-

ლი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“. მოცემულ საქმეზე არ დგინდება სსკ-ის 398.1 მუხლის გამოყენების წინაპირობა, რადგან ამ ნორმის შინაარსის მიხედვით, გამოვლენილი უნდა იყოს ისეთი ობიექტური საფუძვლის მოშლა, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ნება ეფუძნება ერთი მხარის წარმოდგენებს, რომლებიც ცნობილი იყო მეორე მხარისათვის და გაპროტესტების გარეშე იქნა მიღებული, ან მხარეთა ნება ემყარება ორივე მხარის ერთობლივ წარმოდგენებს გარკვეული გარემოებების არსებობის ან მომავალში წარმოშობის შესახებ. ამ ნორმის გამოყენება პრაქტიკულად ისეთ ვითარებაში ხდება, როდესაც შეცვლილი გარემოება სცდება მხარეთა გონივრულ მოლოდინს, ანუ თუკი გარემოებათა ცვლილება სახელშეკრულებო რისკების ფარგლებში განჭვრეტადია და მხარეებს შეეძლოთ მისი გათვალისწინება ან თუნდაც უშვებდნენ ასეთ ცვლილებას, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 398.1 მუხლი არ გამოიყენება (იხ. გიორგი ვაშაქიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 398, ველი 2).

19. განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გაზიარებული აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხემ ვერ დამტკიცა მისთვის მოსარჩელის ბრალით მიყენებული ზიანი და არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მუნიციპალიტეტის კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, არაჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნით საწარმოს გაკოტრებამდე მიყვანის შესახებ, რის გამოც შეუძლებელი შეიქნა ვალდებულების შესრულება – აღნაგობის საზღაურის გადახდა.

20. სსსკ-ის 404-ე მუხლი განსაზღვრავს საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებს საკასაციო სასამართლოში, ამასთან, სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მხარეთა მტკიცების ტვირთის ფარგლებში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ სარჩელსა და მის პასუხად – შესაგებელს, რომლის ფარგლებ-

შიც მიმდინარეობს სამართალწარმოება, ამასთან, მნიშვნელოვანია სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების შესწავლა და შეჯერება. სააპელაციო სამართალწარმოებაც კი იბოჭება სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესით, რადგან, მართალია, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები, თუმცა, სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მიიღოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომელთა წარდგენა მხარეს შეეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა (ქართულ კანონმდებლობაში არასრული/შეზღუდული აპელაციის მოდელის თაობაზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016, პუნქტები 34-53).

21. მოცემულ შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა მისთვის მუნიციპალიტეტის მერიის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი, შესაბამისად, ამ საფუძვლით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – აღნაგობის საზღაურის გადაუხდელობა დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ საქმეზე არ ვლინდება ისეთი ეკონომიკური ან/და პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობის ცვლილებას გამოიწვევდა და რომელიც აღნაგობის უფლების მქონე საწარმოს წარმოუშობდა მოთხოვნის უფლებას, მომხდარიყო ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მოპასუხის მიერ დასახელებული გარემოება, რომ მოსარჩელემ (მერიამ) აღნაგობის უფლების მქონე საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე კონკურენტ საწარმოს გადასცა ტერიტორია, სადაც ეს უკანასკნელი უკანონო ობიექტზე საქმიანობდა, რამაც არაჯანსაღი კონკურენცია გამოიწვია და ამას შედეგად მოჰყვა აღნაგობის საზღაურის გადახდის შეუძლებლობა, დაუსაბუთებელი მსჯელობაა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომელიც მხარეთა მტკიცების ტვირთის ფარგლებში წარმატებით ვერ დაძლია აღნაგობის უფლების მქონე საწარმომ და გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნებს ამ ნაწილში ეთანხმება საკასაციო სასამართლო (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების 53-ე-54-ე პუნქტები; ასევე - ნინამდებარე გადანყვეტილების 14.4 ქვეპუნქტი).

22. პირველი კასატორის პრეტენზია, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილების 15.5 ქვეპუნქტშია ასახული, არ არის გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ, რადგან საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ იჯარის შესახებ 2006 წლის 9 ივნისის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, ამ ცვლილებას საფუძვლად დაედო, ერთი მხრივ, ბათუმის მერიისა და, მეორე მხრივ, კასატორ სანარმოს (მოაღნაგეს) შორის შეთანხმება, რომლის თანახმად იჯარის ხელშეკრულებას ეწოდა აღნაგობის ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების ტექსტში ხელშეკრულების მხარედ (მინის ნაკვეთის მესაკუთრე) საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ზ. პ-ის“ ნაცვლად მიეთითა ქ. ბათუმის მერია. 2009 წლის 6 აპრილს შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით მინის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით გაიცემა 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, ხელშეკრულება ძალაშია 2006 წლის 9 ივნისიდან და მოქმედებს 2055 წლის 9 ივნისამდე. მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, მხარეებმა თვითონვე განსაზღვრეს, რომ აღნაგობის ხელშეკრულება ძალაშია 2006 წლის 9 ივნისიდან და ეს პირობა სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში სავსებით ცხადად და არაორაზროვნად მიუთითეს ხელშეკრულების ვადის განსაზღვრის დროს და ამასვე დაუკავშირეს აღნაგობის საზღაურის გადახდის დრო და წესი.

23. სააპელაციო სასამართლომ მართებულად იმსჯელა მხარეთა შორის აღნაგობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე, რომლის ნაწილი ხანდაზმულად მიიჩნია და დაასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა აღნაგობის საზღაურის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია მე-8 სახელშეკრულებო წლიდან მე-11 სახელშეკრულებო წლის ჩათვლით, მათ შორის: მე-8 სახელშეკრულებო წლის – 2013 წლის 9 ივნისიდან 2014 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღაურის – 30 000 ლარის ნაწილში; მე-9 სახელშეკრულებო წლის – 2014 წლის 9 ივნისიდან 2015 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღაურის – 30 000 ლარის ნაწილში; მე-10 სახელშეკრულებო წლის – 2015 წლის 9 ივნისიდან 2016 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღაურის – 30 000 ლარის ნაწილში; მე-11 სახელშეკრულებო წლის – 2016 წლის 9 ივნისიდან 2017 წლის 9 ივნისამდე პერიოდის საზღაურის – 40 000 ლარის ნაწილში; საერთო ჯამში აღნაგობის საზღაური მე-8 სახელშეკრულებო წლიდან მე-11 სახელშეკრულებო წლის ჩათვლით, შეადგენს 130 000 ლარს, საიდანაც მოპასუხეს 2013 წლის 16 სექტემბერს დაფარული აქვს 3000 ლარი (მე-8 სახელშეკრულებო წლის საზღაურის ნაწილი), შესაბამისად, მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 127 000 ლარს, რომლის ანაზღაურება, მოსარჩელის სასარგებლოდ, მო-

პასუხეს კანონშესაბამისად დაეკისრა. ამ მიმართებით მოპასუხე საწარმოს საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, შესაბამისად, მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

24. მეორე კასატორის (მუნიციპალიტეტის მერიის) პრეტენზია იმას უკავშირდება, რომ ხანდაზმულობა ფაქტის საკითხია და ასეთი ფაქტი არ დაუდგენია სააპელაციო სასამართლოს, ამასთან, დაუსაბუთებელია ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის წესი, რადგან სადავო არაა რომ აღნაგობის ხელშეკრულებაა მხარეთა შორის, ხოლო სასამართლომ გამოიყენა სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის განსაზღვრული ვადები. საკასაციო სასამართლო, უპირველესად იმას აღნიშნავს, რომ კასატორის მითითება, რომ ხანდაზმულობა ფაქტის საკითხია, მართებულია, ამასთან, ეს ფაქტი მოპასუხის კუთვნილ შესაგებელში ან მოსამზადებელ სხდომაზე უნდა იყოს წამოყენებული, რაც მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს დასახელებული აქვს სწორედ მოსამზადებელ სხდომაზე, ხოლო განსახილველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ფაქტის სამართლებრივი დასაბუთებისათვის სამართლის ნორმის რომელ წანამძღვარს გამოიყენებს სასამართლო სწორედ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე განისაზღვრება. სსკ-ის 129-ე მუხლი სახელდება როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა, ნორმის პირველი ნაწილი სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიან ვადას ადგენს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის ექვსწლიან ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებს. აღნაგობა, როგორც სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის ერთ-ერთი უფლება, ორმაგი სამართლებრივი ბუნებისაა, რაც იმას გულისხმობს, რომ მიწის ნაკვეთი იტივრთება შეზღუდული სანივთო უფლებით, ამასთან, თვითონ ეს შეზღუდული სანივთო უფლება აღიქმება მიწის ნაკვეთად: პირველი რიგის უფლებად რეგისტრირდება, შესაძლებელია დაიტვირთოს სხვა სანივთო უფლებით და დაცულია, როგორც მიწაზე საკუთრება (იხ. გიორგი რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, 233, ველი 1). მეორე კასატორის ძირითადი პრეტენზია იმას ეხება, რომ აღნაგობის, როგორც სანივთო უფლების მიმართ, სასამართლოს, მერიის მუნიციპალიტეტის მოთხოვნის ფარგლებში, უნდა ემსჯელა არა სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის განსაზღვრულ სამწლიან ხანდაზმულობის ვადაზე, არამედ – უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნიდან გამომდინარე ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადაზე.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მეორე კასატო-

რის შედეგება, რომ სააპელაციო სასამართლომ მოვალის (აღნაგობის უფლების მქონე საწარმოს) მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ნაწილი ხანდაზმულად არასწორად მიიჩნია, დაუსაბუთებელია და ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ არის გაზიარებული. სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი „ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია“ სპეციალურ მონესრიგებას წარმოადგენს და განსაზღვრული პერიოდულობით შესასრულებელი ვალდებულებების შემთხვევაში, თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე (დამოუკიდებლად) წარმოუშობს კრედიტორს მოთხოვნის უფლებას, რაც მან თითოეული მოთხოვნისათვის სამწლიან ხანდაზმულობის ვადაში უნდა განახორციელოს. ამგვარ მოთხოვნებზე სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის კუთვნილი თანხის ანაზღაურება არის შესაძლებელი (იხ. ნუნუ კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, 129, ველი 1, 5, 7). აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის, როგორც სპეციალური მონესრიგების, გამოყენების დროს, მიუხედავად იმისა, კრედიტორის მოთხოვნა ეფუძნება სახელშეკრულებო მოთხოვნას თუ უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვალდებულების შესრულება განსაზღვრეს პერიოდულად (მაგ. კონკრეტული თვის რომელიმე კალენდარული რიცხვით, სამ თვეში ერთხელ ან ექვს თვეში ერთხელ), მაშინ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორს მოვალისადმი მოთხოვნის უფლება წარმოეშობა თითოეული დარღვევის საფუძველზე, დამოუკიდებლად და თითოეული დარღვევისათვის განცალკევებულად გამოითვლება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, თუნდაც, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა ეფუძნებოდეს უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო მოთხოვნას. კანონმდებლის ნება სსკ-ის 129-ე მუხლში მკაფიოდ და ცხადად არის ფორმულირებული, ეხება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს, ნორმის პირველი ნაწილი სამწლიან ხანდაზმულობას ადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის, ხოლო თუ სახელშეკრულებო მოთხოვნა უძრავ ნივთებთან არის დაკავშირებული, მაშინ ექვსწლიან ხანდაზმულობის ვადას განსაზღვრავს; ნორმის მეორე ნაწილი, როგორც სპეციალური რეგულაცია, პერიოდულად შესასრულებელ მოთხოვნათა ხანდაზმულობას ადგენს და თითოეული შესრულების ვადის დარღვევის მიხედვით, ცალ-ცალკე განსაზღვრავს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადას; ნორმის მესამე ნაწილი უთითებს კანონით განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადებზე, რომელიც გა-

მოიყენება ცალკეულ შემთხვევებში კანონის საფუძველზე (მაგ. ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში 655-ე და 656-ე მუხლები; ტურისტული მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნისათვის 663-ე მუხლი და სხვ.). სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის, როგორც სპეციალური მონესრიგების შინაარსი ასევე ვლინდება ამავე კოდექსის 142-ე მუხლიდანაც. კანონმდებელი სასამართლოს გადანყვეტილებით განსაზღვრული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას, ადგენს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი მაშინაც კი, როდესაც ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება (სსკ-ის 142.1 მუხლი), ხოლო თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს. რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს. მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა. იმ სახელშეკრულებო პირობის მიხედვით, რომლის საფუძველზე კრედიტორს (მუნიციპალიტეტის მერიას) წარმოეშვა მოვალისადმი მოთხოვნის უფლება და ეს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს უკავშირდება, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის აღნაგობის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს, თითოეული დარღვეული ვალდებულების გამო მოთხოვნა დამოუკიდებლად წარმოიძმობა და ხანდაზმულობის ვადის გამოთვლაც თითოეული დარღვეული შესრულების ვადის მიხედვით გამოიანგარიშება, რაც საკვებით სწორად არის დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ. მითითებული სამართლებრივი მოტივაციით უარყოფილია მეორე კასატორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ამ ნაწილში.

26. მეორე კასატორის პრეტენზია, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ არის გაზიარებული. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღნაგობის გადაუხდელი საფასურის – 127 000 ლარის გათვალისწინებით, 64 493.10 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს განსაზღვრა (ანუ ძირითადი თანხის თითქმის 50 %-ით) არაგონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იზიარებს საკასაციო სასამართლო, რადგან მოცემულ დავაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეს (სანარმოს) სახელშეკრულებო ვალდებულება დარღვეული აქვს და არ ასრულებს 2011 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისის ჩათვლით (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება). საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ: „სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკ-

რულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. შესრულების ვალდებულება, პირველ რიგში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და იწვევს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ შეთანხმების პირობები დაირღვა (სხვა მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-696-696-2018, 06.07.2018წ; №ას-1747-2019, 28.05.2020წ; №ას-1768-2019, 29.05.2020; №ას-66-2020, 21.07.2020წ; №ას-358-2020, 29.09.2020წ.). ცხადია, პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა ეფუძნება იმ დანაწესს, რომ მხარეებს შეთანხმებული ჰქონდათ პირგასამტეხლო, ვალდებულების დარღვევის გამო ერთმა მხარემ მეორეს სასარჩელო წარმოების გზით წაუყენა მოთხოვნა. მოპასუხე სანარმომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, მათ შორის, პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა (მოპასუხემ), თავის საკასაციო საჩივარში სხვა მოთხოვნებთან ერთად, სადავოდ გახადა სააპელაციო სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირების მართლზომიერება.

27. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთსა და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენო-

ბის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა. მოცემულ შემთხვევაში სადავო არაა, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ შეწყვეტილა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც ვალდებულების დარღვევა დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებაა, მოსარჩელეს არავითარი ბრალი არ მიუძღვის მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობაში, ამასთან, ვალდებულების შესრულების დარღვევა რამდენიმენაირად პერიოდს მოიცავს, მხარეთა შორის წერილობითი პირგასამტეხლოს ოდენობის 0.1%-დან 0.02%-მდე შემცირებით, პირგასამტეხლოს არსი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს (იხ., სუსგ-ები: №ას-1560-1463-2012, 28.12.2012წ; №ას-1200-1145-2013, 16.05.2014წ; №ას-1229-1170-2014, 17.02.2015წ; №ას-783-740-2015, 22.10.2015წ).

28. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მეორე კასატორის საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი და, გასაჩივრებული გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში (შესაბამისად, მხარეთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში) უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილებში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილეს ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მოპასუხეს უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს – 64 493.10 (სამოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ათი თეთრი) ლარის ანაზღაურება; ასევე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს, პირგასამტეხლოს სახით უნდა დაეკისროს 2017 წლის 17 მაისამდე გადაუხდეელი აღნაგობის საზღაურის (127 000 ლარის) გადახდამდე, 127 000 (ას ოცდაშვიდი ათასი) ლარის 0.07%, რაც ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დღეში 88.90 (ოთხმოცდარვა ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს შეადგენს (მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის განაწილება ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში). დანარჩენ ნაწილში მეორე კასატორის მოთხოვნა უარყოფილია.

29. სსსკ-ის 53-ე და 55-ე მუხლების თანახმად სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა პირველ კასატორს დაეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რადგან მეორე კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. შპს „დ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, ასევე – მხარეთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და ამ ნაწილებში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. შპს „დ-ს“, 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2017 წლის 17 მაისამდე სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ, დაეკისროს პირგასამტეხლოს – 64 493.10 (სამოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ათი თეთრი) ლარის ანაზღაურება;

6. შპს „დ-ს“, 2017 წლის 17 მაისამდე გადაუხდელი აღნაგობის საზღაურის (127 000 ლარის) გადახდამდე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით დაეკისროს 127 000 (ას ოცდაშვიდი ათასი) ლარის 0.07%, რაც ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დღეში 88.90 (ოთხმოცდარვა ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს შეადგენს;

7. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება;

8. შპს „დ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის – 14 340 (თოთხმეტი ათას სამას ორმოცი) ლარის გადახდა;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს დაკისრება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1726-2019

09 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ლ-მა და ე. ა-იამ (შემდეგში: პირველი ან მეორე მოსარჩელე მოსარჩელები ან მეორე კასატორები) სარჩელი აღძრეს გ. გ-ძის (შემდეგში: მოპასუხე ან პირველი კასატორი) მიმართ და მოითხოვეს პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისათვის 10 000 000 დოლარის დაკისრება.

2. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მხარეები წარმოადგენენ შპს „ს. მ-ოს“ (შემდეგში – კომპანია) პარტნიორებს წილობრივი მონაწილეობით: პირველი მოსარჩელე – 15%; მეორე მოსარჩელე – 5%; მოპასუხე – 55%.

3. 2011 წლის 26 ნოემბერს მოპასუხეს და საზოგადოების წინაშე პარტნიორებს შორის დაიდო კომპანიის კაპიტალში მოპასუხის კუთვნილი წილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს თავისი კუთვნილი წილიდან 7.5% პირველი მოსარჩელისათვის, ხოლო 2.5% – კი მეორე მოსარჩელისათვის უნდა გადაეცა.

4. წინარე ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმი, რომელშიც ასახულია გადაწყვეტილებითაც დადგინდა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება უნდა დადებულიყო არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა ან შპს „რ.მ.მ.კ-ასა“ და შპს „ს.მ-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში.

5. ზემოაღნიშნული წინარე სახელშეკრულებო დათქმით ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულების წარმოშობასთან მიმართებით ორი ალტერნატიული პირობა იქნა დადგენილი: შპს

„რ.მ.მ.კ.-ასა“ და შპს „ს.მ.-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტა ან არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრის დადგომის მომენტი.

6. შპს „რ.მ.მ.კ.-ასა“ და შპს „ს.მ.-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება შეწყდა 2011 წლის 30 ნოემბერს. თუმცა, შპს „რ.მ.მ.კ.-ის“ მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე ამ ორ კომპანიას შორის სასამართლო დავა წარიმართა, რომლის ფარგლებშიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 დეკემბრის №2/14365-11 განჩინებით განხორციელდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და კომპანიის ყველა პარტნიორის (მათ შორის, მოპასუხის) წილს ყადაღა დაედო. აღნიშნული სამართალწარმოების ფარგლებში შემავამებული სასამართლო გადაწყვეტილება 2013 წლის 09 იანვარს იქნა მიღებული, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 30 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული განჩინებით (№ას-931-889-2013) შპს „რ.მ.მ.კ.-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული აქტები.

7. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალში შესვლის ინფორმაციის მიღებისთანავე მოსარჩელებმა წერილობითი განცხადებით მიმართეს მოპასუხეს და 2011 წლის 26 ნოემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოითხოვეს, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით უნდა გამოხატულიყო, რაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა. აღნიშნული ურთიერთობა შემდგომში სასამართლო დავის საგნადაც იქცა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელებმა მათთვის მოპასუხის მხრიდან გადასაცემ წილებზე საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვეს, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №2/27197-2015) არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ იძულებითი კონტრაპირების დაუშვებლობიდან გამომდინარე, სასამართლო მხარეს ვერ აიძულებს ხელშეკრულების დადებას. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

8. 2011 წლის 26 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმდა ცალკე შეთანხმება, რომლითაც დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ნებისმიერი მიზეზით უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე, მას მოსარჩელების სასარგებლოდ ეკისრებოდა პირგასამტეხლოს სახით 10 000 000 დოლა-

რის გადახდის ვალდებულება.

9. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე უარის განცხადების ფაქტი დადასტურებულია, მათ შორის, იმ ქმედებით, რომელიც დაკავშირებული იყო მარეგისტრირებელ ორგანოში 2013 წლის 24 ივნისს წარდგენილი განცხადებით და ამ უკანასკნელის საფუძველზე სამენარმეო რეესტრში საკუთრების უფლების წინასწარი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. შესაბამისად, სახეზეა მხარეთა შორის 2011 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის საფუძველი.

10. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, 2011 წლის 26 ნოემბრის კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მხარეთა შორის წილის დათმობის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო შპს „რ.მ.მ.კ-ასთან“ გაფორმებული შპს „ს.მ-ოს“ მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში. ხელშეკრულება შპს „ს.მ-ომ“ შეწყვიტა 2011 წლის 30 ნოემბერს. შესაბამისად, მხარეებს შორის წილის დათმობის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო არაუგვიანეს 2011 წლის 7 დეკემბრისა. თუმცა, აღნიშნულ ვადაში მოპასუხეს არ მიუღია მოსარჩელეთაგან მოთხოვნა წილის დათმობის ხელშეკრულების დადების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 05 დეკემბრის განჩინებით შპს „რ.მ.მ-ის“ სასარგებლოდ გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის საშუალება, რომლითაც ყადაღა დაედო შპს „ს.მ-ოში“ მოსარჩელეთა და მოპასუხის წილებს. შპს „რ.მ.მ.კ-ამ“ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს ყადაღის რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა 2011 წლის 08 დეკემბერს. შესაბამისად, მოსარჩელებისათვის გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალების შესახებ ცნობილი გახდებოდა 2011 წლის 08 დეკემბერს, მას მერე, რაც შპს „რ.მ.მ.კ-ამ“ მოითხოვა წილზე ყადაღის წარმოშობის რეგისტრაცია. გამომდინარე აქედან, მოსარჩელებს ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში, 2011 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით, შესაძლებლობა ჰქონდათ მოეთხოვათ მოპასუხისაგან წილის დათმობის ხელშეკრულების გაფორმება და მოეხდინათ შესაბამისი რეგისტრაცია. 2011 წლის 26 ნოემბრის შპს „ს.მ-ოს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დადგენილი ვადის გასვლამდე, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში არ არსებობდა ფორს-მაჟორული გარემოება – მოპასუხის წილზე ყადაღის დადება.

11. მოპასუხემ მიუთითა, ამასთან სასამართლომ უკვე განიხილა მოსარჩელების სარჩელი გ. გ-ძის მიმართ კომპანიის წილის მე-

საკუთრებად აღიარების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადა გასულია. წინამდებარე ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში და დაუშვებელია სასამართლოს მიერ მხარის დავალდებულება დადოს ხელშეკრულება ამა თუ იმ პირობით.

12. 2011 წლის 26 ნოემბერს მოპასუხეს, მოსარჩელეებს და სხვებს შორის გაფორმდა საკუთრების მინდობის (წილის მართვის) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დამატება, რომლის თანახმად მხარეების მიერ გათვალისწინებული იქნა 10000000 ლარის ოდენობის პირგასამტეხლო, თუ გამყიდველი ნებისმიერი მიზეზით უარს განაცხადებდა ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე წინარე ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით. მოსარჩელეთა მიერ წილის გადაფორმების მოთხოვნის დროისათვის, 2015 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით, მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, წილის დათმობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, გაქარწყლებული გახლდათ. აღნიშნულზე მითითებით ვინაიდან მოპასუხეს აღარ ჰქონდა ვალდებულება მოსარჩელეთა მიმართ, ამიტომაც უარი განაცხადა წილების გადაფორმებაზე (იხ., მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის მე-2 ფაქტობრივ გარემოებაზე).

13. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ 2012 წლის 05 დეკემბრის შპს „ს.მ-ოს“ პარტნიორთა საერთო კრებამ დაადგინა, რომ მოპასუხესთან წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო მას შემდეგ, რაც საზოგადოების ყველა პარტნიორის წილს მოეხსნებოდა ყადაღა, რითაც განხორციელდა ცვლილება 2011 წლის 26 ნოემბრის საკუთრების მინდობისა (წილის მართვის) და შპს-ს წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში. შპს „ს.მ-ოს“ 2011 წლის 26 ნოემბრის პარტნიორთა საერთო კრებამ გ. გ-ძეს მისცა თანხმობა მისი წილის 2012 წლის 10 დეკემბრამდე მართვის უფლებით ი. კ-ძისათვის გადასაცემად. 2012 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილება მიიღეს არასათანადო მხარეებმა, ხოლო აღნიშნული კრების ოქმის სანოტარო წესით დადასტურება კი განხორციელდა მხოლოდ 2012 წლის 25 დეკემბერს, მაშინ როდესაც უკვე ვადა ჰქონდა გასული წილის მინდობის ხელშეკრულებას. 2012 წლის 25 დეკემბერს 2012 წლის 05 დეკემბრის კრების ოქმზე ხელმოსაწერად გამოცხადებული ი. კ-ძე აღარ იყო უფლებამოსილი გა-

ნებორციელებინა მოპასუხის სახელით ხელის მოწერა.

14. მოპასუხე არ დაეთანხმა მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების კანონიერებას იმ საფუძველით, რომ მას არ დაურღვევია რაიმე, რომლისთვისაც მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლო. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია რატომ ითხოვენ მოსარჩელები 10000000 დოლარის გადახდას, მაშინ როდესაც წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებით გათვალისწინებული იქნა 10000000 ლარის ოდენობის პირგასამტეხლო.

15. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს გადახდის სამართლებრივი წინაპირობაა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დამატების 1.1. მუხლის მიხედვით, მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ნებისმიერი მიზეზით უარს განაცხადებს ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით, მას დაეკისრება მას დაეკისრება პირგასამტეხლო 10000000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობით, რაც გადახდილი უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს მოპასუხის მხრიდან მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, არ დამდგარა გარემოება გამყიდველის მიერ ნებისმიერი მიზეზით ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა, რომლისთვისაც მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს გადახდა.

16. მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის სამომავლოდ წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება დამოკიდებული იყო პირობაზე, კერძოდ, ამგვარი ვალდებულება მოპასუხეს ჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები მის შესრულებას მოითხოვდნენ შპს „რ.მ.მ.კ.-ასთან“, შპს „ს.მ.-ოს“ მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების, ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში. აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა ვადაზე ადრე, შეთანხმებული პირობა დადგა, თუმცა ერთი კვირის ვადაში მოპასუხეს არ მიუღია მოსარჩელეთა მოთხოვნა წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნა წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე გაქარწყლდა.

17. მოპასუხემ მიუთითა, არ უნდა იქნეს გაზიარებული მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ ხელშეკრულება შეწყდა არა 2011 წლის 30 ნოემბერს, არამედ 2015 წლის 30 ოქტომბერს, რადგან შპს „რ.მ.კ.-სა“ და მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის სასამართლო დავა

2015 წლის 30 ოქტომბერს დასრულდა და კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის საშუალების გაუქმების შესახებ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნამსჯელი და დადგენილია, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა მიზეზს, რომლის გამოც მხარეთა შორის გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხდა ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება. სსსკ-ის 106-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ გადაწყვეტილებას განსახილველი საქმის მიმართ აქვს პრეიუდიციული ძალა.

18. მოპასუხემ აღნიშნა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულებაზე დამატების ორმა მონაწილემ გ. ე-ძემ და ლ. ჩ-ძემ უარი თქვეს გ. გ-ძის მიმართ თავის მოთხოვნაზე სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობისას. ხელშეკრულების დამატებით 10000000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობის პირგასამტეხლო გათვალისწინებული იყო შპს „ს. მ-ოს“ კაპიტალში 25%-იანი წილის გადაფორმებაზე უარის თქმის სანაცვლოდ. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელები სადავოდ ხდიან მოპასუხის უარს მათთვის ჯამში 10 %-იანი წილის გადაფორმებაზე. შესაბამისად, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, მათ მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო არ უნდა აღემატებოდეს 4000000 ლარს.

19. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა 40 000 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა. სარჩელის მოთხოვნა 9 960 000 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით. მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა, ხოლო მოსარჩელებმა მოითხოვეს სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

21. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

22. 29.06.2016წ.-ს მომზადებული ამონაწერის მიხედვით მხარეები არიან კომპანიის პარტნიორები წილობრივი მონაწილეობით: პირველი მოსარჩელე – 15%; მეორე მოსარჩელე – 5%; მოპასუხე – 55%.

23. 26.11.2011წ.-ს მოპასუხესა და საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებს შორის დაიდო კომპანიის კაპიტალში მოპასუხის კუთვნილი წილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს თავისი კუთვნილი წილიდან 7.5% უნდა

გადაეცა პირველი მოსარჩელისათვის, ხოლო 2.5% მეორე მოსარჩელისათვის არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 400 ლარით.

24. 26.11.2011წ.-ს მხარეებს შორის გაფორმდა ცალკე შეთანხმება, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ნებისმიერი მიზეზით, უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლო 10 000 000 ლარის გადახდის ვალდებულება.

25. 26.11.2011წ.-ს ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმი. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მხარეთა შორის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება უნდა დადებულიყო არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა ან შპს „რ.მ.მ.კ.-ასა“ და შპს „ს.მ.-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში. ამდენად, მხარეთა შეთანხმებით ძირითადი ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული იყო ალტერნატიულად: არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა ან 30.11.2009წ. კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში.

26. შპს „რ.მ.მ.კ.-ასა“ და შპს „ს.მ.-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება შეწყდა 2011 წლის 30 ნოემბერს, თუმცა, შპს „რ.მ.მ.კ.-ის“ მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე, მათ შორის სასამართლო დავა წარიმართა, რომლის ფარგლებშიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 დეკემბრის განჩინებით გამყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაედო შპს „ს.მ.-ოს“ ყველა პარტნიორის წილს. ამ სამართალწარმოების ფარგლებში 2013 წლის 09 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ და გაუქმდა სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული განჩინებით, რომლითაც შპს „რ.მ.მ.კ.-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

27. მოსარჩელებმა 06.11.2015წ. წერილობითი განცხადებით მიმართეს მოპასუხეს და 2011 წლის 26 ნოემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოითხოვეს, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით უნდა გამოხატულიყო, რაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა.

28. პირველმა და მეორე მოსარჩელემ სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მათთვის მოპასუხის მხრიდან გადასაცემ წილებზე საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვეს, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №2/27197-2015) არ დაკმაყოფილდა.

29. წინამდებარე სარჩელით კი, მოსარჩელები ითხოვენ მოპასუხეს დაეკისროს 26.11.2011წ. შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, რაც გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისათვის თუ გამყიდველი ნებისმიერი მიზეზით, უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მოპასუხემ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მხარეებს შორის წილის დათმობის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო არაუგვიანეს 2011 წლის 7 დეკემბრისა, თუმცა, აღნიშნულ ვადაში მოპასუხეს არ მიუღია მოსარჩელეთაგან მოთხოვნა წილის დათმობის ხელშეკრულების დადების თაობაზე. იმავედროულად, მოპასუხემ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადა გასულია, წინარე ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და დაუშვებელია სასამართლოს მიერ მხარის დავალდებულება დადოს ხელშეკრულება ამა თუ იმ პირობით, რომელი საფუძვლითაც იქნა უარყოფილი სარჩელი.

30. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სა-

მართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადანაცვეტილების გამოტანას (სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015; სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016წ.). პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადანაცვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადანაცვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. კანონიერ ძალაში შედის გადანაცვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადანაცვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადანაცვეტილება (განჩინება), გამოტანა იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში), არამედ მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებსაც (გადანაცვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს, რომელი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადანაცვეტილება) (იხ.: სუსგ №1344-2018, 05.04.2019წ.). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადანაცვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადანაცვეტილას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადანაცვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტს, რომელიც იურიდიულად ამართლებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პრეიუდიციულად და ის უნდა იქნეს შეყვანილი მტკიცების საგანში (იხ. სუსგ-ები №ას-455-769-09, 03 დეკემბერი, 2009 წელი; №ას-146-140-2012, 12 ივლისი, 2012 წელი; №ას-74-68-2015, 27 თებერვალი, 2015წ.; №1344-2018, 05 აპრილი, 2019 წელი).

31. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადანაცვეტილების გამოკვლევის საფუძველზე მიიჩნია, რომ წინარე ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების მოპოვებაზე უარის თქმის შესახებ კანონიერ და-

ლაში შესულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადასთან მიმართებაში, არ წარმოადგენს წინამდებარე დავისთვის პრეიუდიციულად დადგენილ გარემოებას და, შესაბამისად, ამ საფუძვლით იმთავითვე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობას.

32. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებულ მსჯელობაზე იძულებით კონტრაქტორების დაუშვებლობასთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 05.12.2012წ.-ს კომპანიის პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით, მხარეებმა წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ვადა გააგრძელეს არაუგვიანეს ყადაღის მოხსნისა და ამის თაობაზე, შესაბამისი რეგისტრაციის მომენტიდან 7 კალენდარული დღისა. ამდენად, ამ მტკიცებულებიდან, რომელსაც კომპანიის სხვა პარტნიორებთან ერთად ხელს აწერენ მოპასუხე და მეორე მოსარჩელე ცალსახად დგინდება, რომ 05 დეკემბერს კომპანიის პარტნიორებისათვის ცნობილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული მსჯელობა მასზედ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება რეესტრში დარეგისტრირდა 08.12.2012წ. და ამის თაობაზე მოსარჩელებისათვის მხოლოდ 08 დეკემბერს უნდა ყოფილიყო ცნობილი.

33. როგორც ზემოთ იქნა დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ძალაში შევიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან – 2015 წლის 30 ოქტომბერს.

34. იმ პირობებში, როდესაც წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი ხელშეკრულების დადების საბოლოო ვადა იყო „არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა“ და 2012 წლის 05 დეკემბრიდან 2015 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდში, მოპასუხეს აკრძალული ჰქონდა მისი კუთვნილი წილის განკარგვა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მითითება, რომ მათ ყადაღის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ანუ, შესაბამის ვადაში გამოხატეს ნება ხელშეკრულების დადებაზე, რაზეც მოპასუხემ უარის განაცხადა, კერძოდ, დადგენილია, რომ მოსარჩელებმა 06.11.2015წ. წერილობითი განცხადებით მიმართეს მოპასუხეს და 2011 წლის 26 ნოემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოითხოვეს, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით უნდა გამოხა-

ტულიყო, რაზედაც მოპასუხემ უარი განაცხადა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ლ-ის და ე. ა-იას სარჩელი წილებზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე. ამდენად, ადგილი ჰქონდა გამყიდველის მიერ ნებისმიერი მიზეზით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევას, რასაც შეთანხმების მხარეები უკავშირებდნენ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას.

35. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. შესრულების ვალდებულება, პირველ რიგში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ამავედროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა სსკ-ის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად. პალატა განმარტავს, რომ სასამართლო მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებისას ითვალისწინებს როგორც კრედიტორის ინტერესს ვალდებულების შესრულების მიმართ. პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა 10

000 000 ლარის ოდენობით, შეუსაბამო იყო როგორც როგორც ნასყიდობის ფასთან, ისე თითოეული მოსარჩელის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მისაღები წილთან ოდენობასთან მიმართებაში და მისი ოდენობა შეამცირა 40 000 ლარამდე. პირგასამტეხლოს ეს ოდენობა ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული იყო. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი.

36. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით. პირველი კასატორმა (მოპასუხე) მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უარყოფას, ხოლო მეორე კასატორები (მოსარჩევეები) მოითხოვენ გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას და სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

37. პირველი საკასაციო საჩივრის საფუძველები:

38. პირველი კასატორის (მოპასუხე) საკასაციო საჩივარი ეფუძნება როგორც იმას, რომ არსებობს გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები, ასევე ადგილი აქვს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელმაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადანყვეტილების მიღება. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ეწინააღმდეგება როგორც საქმეში არსებულ ფაქტებს, ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას მტკიცების ტვირთის განაწილების და, ზოგადად, სსსკ-ის 106 და 266-ე მუხლებით დადგენილ მტკიცების სტანდარტს, რომლებიც ითვალისწინებენ დადგენილი გარემოებების და სამართლებრივი შეფასების პრეიუდიციულობას. სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორადაა შეფასებული კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადანყვეტილება (საქმე №2/27197-2015), რომლითაც პირველი და მეორე მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მხრიდან გადასაცემ წილებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, არ დაკმაყოფილდა. პირველი კასატორი აღნიშნავს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადანყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადა გასულია, წინარე ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და დაუშვებელია სასამართლოს მიერ მხარის დავალდებულება დადოს ხელშეკრულება ამა

თუ იმ პირობით, რომელი საფუძვლითაც იქნა უარყოფილი სარჩელი. მოსარჩელეთა მიერ წილის გადაფორმების მოთხოვნის დროისათვის, 2015 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით, გასული იყო წილის დათმობის ხელშეკრულების დადების ვადა. აღნიშნულზე მითითებით, ვინაიდან მოპასუხეს აღარ ჰქონდა ვალდებულება მოსარჩელეთა მიმართ, ამიტომაც მოპასუხემ უარი განაცხადა წილების გადაფორმებაზე. თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ იგნორირებული იქნა აღნიშნული გარემოებები და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეფასებული იქნა მხოლოდ იმ მსჯელობაზე დაყრდნობით, რომ დაუშვებელია იძულებითი კონტრაჰირება.

39. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო აკეთებს დასკვნას, მოსარჩელებისათვის 2012 წლის 5 დეკემბრისთვის ცნობილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, თუმცა, სასამართლოს არ უმსჯელია, რომ მოსარჩელებს არ მიუმართავთ მოპასუხისათვის შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ცვლილება შეეტანათ წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში და მოეხდინათ ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის ცვლილება. ხელშეკრულების დადების ვადის გასვლის შემდეგ, ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება გაქარწყლებული იქნა.

40. პირველი კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, ადგილი ჰქონდა კასატორის მხრიდან ნებისმიერი მიზეზით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეებს შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა და 2011 წლის 26 ნოემბრის წილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების ვადა გასულია. პირველი კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, თუ რატომ არ მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ისეთ ფაქტობრივ გარემოებად, რომელიც ასაბუთებს და ამართლებს სარეზოლუციო ნაწილს და შესაბამისად, წარმოადგენს პრეიუდიციული ძალის მქონეს განსახილველ შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ მითითება გააკეთა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე მხოლოდ იძულებითი კონტრაჰირების დაუშვებლობასთან მიმართებით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო ის გარემოება, რომ გარდა აღნიშნული მსჯელობი-

სა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ასევე დადგენილია გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არარსებობის ფაქტი. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულია სსსკ-ის 106 ბ და 266-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით, რადგან კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/27197-2015, დადგენილია წინამდებარე საქმისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

41. პირველი კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა არაგონივრულია. იმ ვითარებაში, როდესაც ნასყიდობის ფასი 160 ლარია და ორივე მოსარჩელეს ჯამში 10%-იანი წილი უნდა მიეღო, 40000 ლარის ოდენობის დაკისრებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია. სსკ-ის 417-ე მუხლის დანაწესით, პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობაა, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. თუ ძირითადი ვალდებულების დარღვევა გამოირიცხებულია პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებით, მაშინ არ არსებობს არც პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

42. მეორე საკასაციო საჩივრის საფუძველები:

43. მეორე კასატორები (მოსარჩელები) მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სარულად დაკმაყოფილებას. კასატორები მიიჩნევენ, რომ უმართებულოდაა შემცირებული მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა. პირგასამტეხლოს თანხა, რომელიც მხარეთა მიერ განისაზღვრა, უზრუნველყოფდა მოსარჩელებისათვის ქონებრივი უფლებისა და ეკონომიკური ინტერესის კომპენსირებას, თუ მოპასუხე უარს განაცხადებდა წილის გასხვისების ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე. პირგასამტეხლოს თანხა – 10000000 ლარი რეალურად წარმოადგენდა გადასაცემი არამატერიალური აქტივის (წილის) ჩამნაცვლებელ ქონებრივ სიკეთეს, რითაც მოსარჩელებმა, როგორც კრედიტორმა, თანხმობა განაცხადეს სხვა შესრულების მიღებაზე. (სსსკ-ის 428-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში კი, პირგასამტეხლოს შემცირების მექანიზმის გამოყენება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საგნის, მიზნისა და შინაარსისადმი, არაგონივრული და არარელევანტური მიდგომაა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რაც პროცესუალურად გამოირიცხავდა პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას, რომ

მოპასუხემ შესაგებელში სადავო გახადა პირგასამტეხლო არა გონივრულობის კუთხით, არამედ, მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე მოსარჩელეთა მოთხოვნის პროპორციული ოდენობა მიიჩნია არასწორად და განმარტა, რომ ვინაიდან დადებული შეთანხმების ერთ მხარეს ოთხი პირი წარმოადგენდა, ხოლო მოცემულ საქმეზე მოსარჩელეებს მხოლოდ ორი მათგანი წარმოადგენდა, შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ფარგლებში მოსარჩელეთა მოთხოვნის მოცულობა მათი პროპორციული წილის მიხედვით უნდა გამოთვლილიყო. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა, რომ მოპასუხემ სადავოდ გახადა მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა, წარმოადგენს სსკ-ის მე-4, 219-ე მუხლებით, ასევე სსკ-ის 420-ე მუხლით დადგენილი დანაწესის უგულვებელყოფას.

44. საკასაციო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ორივე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მხარეთა მორიგების მიზნით საქმეზე სხდომა ჩატარდა 2021 წლის 11 ნოემბერს, სადაც საკასაციო სასამართლომ მხარეებს განუმარტა, რომ დავის მორიგებით ვერდასრულების შემთხვევაში, საკასაციო საჩივრების განხილვა მოხდებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. 2021 წლის 01 დეკემბერს მხარეებმა მომართეს საკასაციო სასამართლოს და განაცხადეს, რომ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას დავის მორიგებით დასრულების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

45. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარები ნაწილობრივ დასაბუთებულია, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

46. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

47. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

48. 29.06.2016წ.-ს მომზადებული ამონაწერის მიხედვით მხარეები არიან კომპანიის პარტნიორები წილობრივი მონაწილეობით: პირველი მოსარჩელე – 15%; მეორე მოსარჩელე – 5%; მოპასუხე – 55%.

49. 26.11.2011წ.-ს მოპასუხესა და საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებს შორის დაიდო კომპანიის კაპიტალში მოპასუხის კუთვნილი წილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს თავისი კუთვნილი წილიდან 7.5% უნდა გადაეცა პირველი მოსარჩელისათვის, ხოლო 2.5% მეორე მოსარჩელისათვის არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 400 ლარით.

50. 26.11.2011წ.-ს მხარეებს შორის გაფორმდა ცალკე შეთანხმება, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ნებისმიერი მიზეზით, უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს სახით 10 000 000 ლარის გადახდის ვალდებულება.

51. 26.11.2011წ.-ს წინარე ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმი. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მხარეთა შორის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება უნდა დადებულიყო არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა ან შპს „რ.მ.მ.კ-ასა“ და შპს „ს.მ-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში. ამდენად, მხარეთა შეთანხმებით ძირითადი ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული იყო ალტერნატიულად: არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა ან 2009 წლის 30 ნოემბრის კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში.

52. შპს „რ.მ.მ. კ-ასა“ და შპს „ს.მ-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება“ შეწყდა 2011 წლის 30 ნოემბერს, თუმცა, შპს „რ.მ.მ.კ-ის“ მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე, მათ შორის სამართლო დავა წარიმართა, რომლის ფარგლებშიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაედო შპს „ს.მ-ოს“ ყველა პარტნიორის წილს. ამ სამართალწარმოების ფარგლებში 2013 წლის 09 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ და გაუქმდა სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბა კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული განჩინებით, რომლითაც შპს „რ.მ.მ.კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

53. მოსარჩელებმა 2015 წლის 06 ნოემბერს წერილობითი განცხადებით მიმართეს მოპასუხეს და 2011 წლის 26 ნოემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოითხოვეს, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით უნდა გამოხატულიყო, რაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა.

54. პირველმა და მეორე მოსარჩელემ სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მათთვის მოპასუხის მხრიდან გადასაცემ წილებზე საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვეს, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №2/27197-2015) არ დაკმაყოფილდა. წინამდებარე სარჩელით კი, მოსარჩელები ითხოვენ მოპასუხეს დაეკისროს 26.11.2011წ. შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, რაც გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისათვის, თუ გამყიდველი ნებისმიერი მიზეზით, უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე.

55. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორების შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება კანონდარღვევას, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით;

56. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება

იქნა გამოტანილი.

57. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სისტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

58. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადანაცვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0- 31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუ-

კერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v, Armenia, საჩივარი no26986/0).

59. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა, გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

60. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

61. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღწერა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

63. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამომწებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემთხმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა

ნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმა-
ყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერი-
ალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სა-
სამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ
შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედე-
გად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული
გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სა-
მართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია,
თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვე-
ტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყ-
ვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღ-
ჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გაა-
უქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე
მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს
სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლები).

64. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საჩივრე-
ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გა-
არკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსაჩივრელის მოთხოვნის
სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთან-
ხმებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდ-
რებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

65. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით
გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს
ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამარ-
თლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის
განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფ-
ლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთი-
თებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პა-
სუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკით-
ხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ას-
პექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-
30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასა-
მართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არა-
მედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთე-
ბაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან
უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცი-
ლებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომ-
ლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვა-
რად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სა-
მართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო
პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა

იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანწყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21;).

66. საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაზე კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. კანონის ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა დადგა საქმეში *ALBU AND OTHERS v. ROMANIA* (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) §§: 34 (III, IV), რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც იმპლემენტირებულია კონვენციის ყოველ მუხლში და ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს. სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, დასახელდა სამართლებრივი სტაბილურობის *inter alia*, გარანტიად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას სასამართლოების მიმართ. სასამართლო გადანწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოსდგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. (მსგავს საკითხებზე აგრეთვე იხ., *Iordan Iordanov and Others*, §-47; *Ștefănică and Others*, §-31). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [GC]* (Application no. 13279/05), 21 ოქტომბერი, 2011 წელი, §§59-96) და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6

მუხლის მიზნებისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

67. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 417-ე მუხლი (პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის).

68. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

69. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს პირგასამტეხლოს თავისებურებაზე.

70. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „*pacta sunt servanda*-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლებამოვალეობები. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საწინააღმდეგო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (მდრ. სუსგ №ას-1079-2019, 30 სექტემბერი, 2019).

71. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის

ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებლობის ხანგრძლივობა (შდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018; №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016).

72. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016). პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

73. პირველი კასატორის (მოპასუხე) საკასაციო საჩივარი ეფუძნება იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება როგორც საქმეში არსებულ ფაქტებს, ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას მტკიცების ტვირთის

განაწილების და, ზოგადად, სსსკ-ის 106 და 266-ე მუხლებით დადგენილ მტკიცების სტანდარტს, რომლებიც ითვალისწინებენ დადგენილი გარემოებების და სამართლებრივი შეფასების პრეიუდიციულობას. სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორადაა შეფასებული კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/27197-2015), რომლითაც პირველი და მეორე მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მხრიდან გადასაცემ წილებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, არ დაკმაყოფილდა. პირველი კასატორი აღნიშნავს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადა გასულია, წინარე ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და დაუშვებელია სასამართლოს მიერ მხარის დავალდებულება დადოს ხელშეკრულება ამა თუ იმ პირობით, რომელი საფუძვლითაც იქნა უარყოფილი სარჩელი. მოსარჩელეთა მიერ წილის გადაფორმების მოთხოვნის დროისათვის, 2015 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით, გასული იყო წილის დათმობის ხელშეკრულების დადების ვადა. აღნიშნულზე მითითებით, ვინაიდან მოპასუხეს აღარ ჰქონდა ვალდებულება მოსარჩელეთა მიმართ, ამიტომაც მოპასუხემ უარი განაცხადა წილების გადაფორმებაზე. თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ იგნორირებული იქნა აღნიშნული გარემოებები და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეფასებული იქნა მხოლოდ იმ მსჯელობაზე დაყრდნობით, რომ დაუშვებელია იძულებითი კონტრაქტირება.

74. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო აკეთებს დასკვნას, მოსარჩელებისათვის 2012 წლის 5 დეკემბრისთვის ცნობილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, რომ მოსარჩელებს არ მიუძღრათ მოპასუხისათვის შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ცვლილება შეეტანათ წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში და მოეხდინათ ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის ცვლილება. ხელშეკრულების დადების ვადის გასვლის შემდეგ კი, ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება გაქარწყლებული იქნა.

75. პირველი კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, ადგილი ჰქონდა კასატორის მხრიდან ნებისმიერი მიზეზით ნასყიდობის

ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეებს შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულია და 2011 წლის 26 ნოემბრის წილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების ვადა გასულია. პირველი კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, თუ რატომ არ მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ისეთ ფაქტობრივ გარემოებად, რომელიც ასაბუთებს და ამართლებს სარეზოლუციო ნაწილს და შესაბამისად, წარმოადგენს პრეიუდიციული ძალის მქონეს განსახილველ შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ მითითება გააკეთა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე მხოლოდ იძულებით კონტრაპირების დაუშვებლობასთან მიმართებით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ის გარემოება, რომ გარდა აღნიშნული მსჯელობისა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ასევე დადგენილია გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არარსებობის ფაქტი. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულია სსკ-ის 106 ბ და 266-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით, რადგან კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/27197-2015, დადგენილია წინამდებარე საქმისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტები. სსკ-ის 417-ე მუხლის დანაწესით, პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობაა, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. თუ ძირითადი ვალდებულების დარღვევა გამოირიცხულია პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებით, მასში არ არსებობს არც პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

76. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი იქნა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძველით [სსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

77. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკ-

მარისი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადანყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ – *Carmel Saliba v. Malta*, N 24221/13, § 73, 29 ნოემბერი 2016; § 73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, *Hiro Balani v. Spain*, 9 დეკემბერი 1994, § 28, Series A N 303-B; § 28), შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ მხარეთა ძირითადი არგუმენტები (ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – *Buzescu v. Romania*, N 61302/00, § 67, 24 მაისი 2005, § 67. დონადე საქართველოს წინააღმდეგ – *Donadze v. Georgia*, N 74644/01, § 35, 7 მარტი, 2006.)

78. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი.

79. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

80. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებე-

ბის დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

81. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

82. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევაა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოიწურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს

შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

83. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მართივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

84. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

85. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომ-

ში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

86. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედეგებს. კვალიფიციური შედეგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედეგებას არსებით შედეგებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედეგება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედეგება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

87. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენი-

ლი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე ნესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

88. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწევეტი, შემადგენელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე.

89. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები და საბუთები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

90. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ამოწმებს რა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სისწორეს, წარმოდგენილი კასაციის ფარგლებში [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი] აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით. ამასთან, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა მიღება და შეგროვება უნდა განხორციელდეს განკუთვნიადობისა და დასაშვებობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა სახეებს, რომელთა შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის

მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

91. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გაანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

92. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

93. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დანტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგე-

ბელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

94. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

95. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

96. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ

მხარეთა მოვალეობა.

97. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

98. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევ: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“. (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძ-

ველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2004, გვ.64).

99. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

100. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყო-

ფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასაარწმუნოებას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

101. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, ალიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

102. თუ მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს სადავო (დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე) გარემოებებს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის წარმატება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირობების მითითება/დადასტურებაზეა დამოკიდებული, ასეთი შედავების დროს მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამორიცხავენ, საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამორიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას.

103. მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

104. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცე-

ბის სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

105. პირველი კასატორის საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს კანონიერ ძალაში შესულ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებას, სადაც მოსარჩელებს წარმოადგენდნენ მეორე კასატორები – მ. ლ-ი და ე. ა-ია, ხოლო მოპასუხეს – პირველი კასატორი გ. გ-ძე. მოსარჩელე მ. ლ-ის მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ს. მ-ოს“ კაპიტალში მოპასუხე გ. გ-ძის კუთვნილი წილიდან 7.5% წილის მესაკუთრედ აღიარება და ნასყიდობის ფასად 120 ლარის განსაზღვრა. მოსარჩელე ე. ა-ია კი ითხოვდა ზემოაღნიშნული საზოგადოების კაპიტალში მოპასუხის წილიდან 2.5% წილის მესაკუთრედ აღიარებას და ნასყიდობის ფასად 40 ლარის განსაზღვრას.

106. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელეთა მიერ აღნიშნული განხილული საქმის ფარგლებში, სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მიეთითა 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება და 2011 წლის 26 ნოემბრის შპს „ს. მ-ოს“ პარტნიორთა კრების ოქმი, რომლითაც მოპასუხეს წილის გასხვისების უფლება მიეცა. ამასთან, ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფდა 2011 წლის 26 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმებული საზოგადოების წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დამატება, რომლითაც განისაზღვრა 10 000 000 ლარი პირგასამტეხლო იმ შემთხვევისათ-

ვის თუ, გ. გ-ძე ნებისმიერი მიზეზით უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე.

107. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიხედვით დგინდება, რომ მხარეთა შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული არ არის, 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადა არის გასული და წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადანაცვეტილებით დადგენილია მ. ლ-ისა და ე. ა-იას მოთხოვნის უსაფუძვლობა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადანაცვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა წილებზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და მესაკუთრედ აღიარების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

108. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო გადანაცვეტილება ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი, რომელიც პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და რომლითაც საქმე არსებითად წყდება. გადანაცვეტილების კანონიერი ძალა ესაა გადანაცვეტილების თვისება, რომელსაც იგი იძენს გარკვეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების საფუძველზე. (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 377).

109. სასამართლო გადანაცვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის დანიშნულებაა მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის დავების გადანაცვეტა. გადანაცვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, იგი იძენს საბოლოო, სავალდებულო და შეუქცევად ხასიათს. სასამართლო გადანაცვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა უკავშირდება ორ პრინციპს: პირველი – „დავა გადანაცვეტილია“ (Res Juticata) და მეორე – ფაქტების პრეიუდიცია. (იხ. პაატა ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რჩეული მუხლების კომენტარი, მუხლი 266, თბილისი, 2020).

110. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებენ გადანაცვეტილების ფორმალურ და მატერიალურ ძალას. გადანაცვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა ესაა გადანაცვეტილების თვისება, რომლის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს. სასამართლო გადანაცვეტილების ფორმალური კანონიერი ძა-

ლა გათვალისწინებულია სსსკ-ის 264-ე მუხლით. „დავა გადაწყვეტილია“ პრინციპიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სსსკ-ის 265-ე და 421-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

111. სსსკ-ის 266-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, კერძოდ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. (იხ. პაატა ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რჩეული მუხლების კომენტარი, მუხლი 266, თბილისი, GIZ, 2020, გვერდი 998).

112. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელიც დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ საქმეში იგივე მხარეები მონაწილეობენ. ასეთი ფაქტები აღარ საჭიროებენ დამტკიცებას, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. (იხ. დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვერდი 216-217).

113. სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა და ისინი აღარ უნდა დამტკიცდეს ხელახლა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ. იგივე მხარეებში იგულისხმებიან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეში მონაწილე პირები, მიუხედავად იმისა, რა სტატუსით მონაწილეობენ ისინი სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, მაგალითად, ახალ დავაში მოსარჩელე შეიძლება მოპასუხე იყოს, ან პირიქით. მთავარია, რომ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე სუბიექტები მონაწილეობდნენ (იხ. პაატა ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რჩეული მუხლების კომენტარი, მუხლი 266, თბილისი, GIZ, 2020, გვ. 994).

114. საკასაციო პალატა პირველი კასატორის საკასაციო საჩივრის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხზე მსჯელობისას განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი ეფექტური სამართალწარმოების მიზნებისათვის ადგენს ფაქტებს, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. ნორ-

მის „ბ“ პუნქტის თანახმად ასეთია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. მითითებული ნორმის მიხედვით, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას (იხ. დამატებით: ქეთევან მესხიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რჩეული მუხლების კომენტარი, მუხლი 106, თბილისი, GIZ, 2020, გვერდი 574; ასევე სუსგ №ას-547-510-2017, 04.05.2018. პ.3.4; სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015;)

115. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), გამოტანილი იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში), არამედ მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებსაც (გადაწყვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს, რომელი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება) – იხ. პაატა ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რჩეული მუხლების კომენტარი, მუხლი 266, თბილისი, GIZ, 2020, გვერდი 999.).

116. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, პრეიუდიცია მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში შეიძლება მიენიჭოს ფაქტს, თუკი, სწორედ მას დაეყრდნო გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი (სარეზოლუციო ნაწილი). პრაქტიკულად, ეს უნდა იყოს იურიდიული შედეგის განმაპირობებელი აუცილებელი ფაქტი. მატერიალური ასპექტი ნათლად წარმოაჩენს, რომ სასამართლომ უპირობოდ არ უნდა მიიღოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მიჩნეული ფაქტები, როგორც პრეიუდიციული ძალის მქონე. სასამართლომ უნდა შეამოწმოს მისი მატერიალური მხარე და გამოარკვიოს ნამდვილად ამ ფაქტს ეყრდნობა თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება). შემომწმება უნდა განხორციელდეს როგორც პროცესუალური (პროცესუალური წინაპირობებია: (1) კანონიერ ძალაშია თუ არა შესული სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება); (2) გამოტანილია თუ არა იგი სამოქალაქო საქმეზე; (3) იგივე მხარეები მონაწილეობენ თუ არა განსახილველ საქმეშიც, რომელთა მიმართ გამოტანილია გადაწყვეტილება (განჩინება), ასევე, მატერიალური კომპონენტების კუთხით (ესაა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსი (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ე.ი. რაც გახდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი). მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მხარის მიერ მითითებული ფაქტი პრეიუდიციულად შეფასდეს და მტკიცების საგნიდან ამოირიცხოს. შესაბამისად, ფაქტის პრეიუდიციულად მიჩნევა სასამართლოს უფლებაა. სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება სწორედ ამ ფაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ წარმოადგენს პრეიუდიციულ ფაქტს და ჩვეულებრივ ექვემდებარება მტკიცებას ისევე, როგორც მხარეთა მიერ შედავებული დანარჩენი ფაქტები. ასეთი მიდგომა ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული სასამართლო აქტის სავალდებულო ძალის, ასევე, ამ აქტისადმი სანდოობის პრინციპის შენარჩუნებას და რაც მთავარია, განსაზღვრულობის პრინციპს. ივარაუდება, რომ იმ სასამართლომ, რომელმაც ერთხელ უკვე იმსჯელა მხარეებს შორის არსებულ სამართალურთიერთობაზე და დაადგინა გარკვეული ფაქტები, სასამართლოს დასკვნები ამ ფაქტებთან მიმართებაში ემყარება მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შემომწმების შედეგს. (საქმე №ას-1416-2020, 23.07.2021). შესაბამისად, თუ იგივე ფაქტები მათი შეფასება-დადგენის კუთხით კვლავ გახდებოდა სხვა სასამართლოს მიერ სხვა სამართალწარმოების პროცესში მსჯელობის საგანი, ამით სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა, როგორც დასახელებული პრინციპების დაცვას, ასევე, ზოგადად მართლმსაჯულების სტაბილურობას (იხ., ილონა გა-

გუა „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020 წელი, გვ: 193-196. რედაქტორები: ზ. ძლიერიშვილი, ნუნუ კვტალიანი; აგრეთვე შეად. სუსგები №ას-1190-2018, 12.04.2019 წ; №ას-578-2019, 28.06.2019წ; №ას-879-2018, 23.07.2019წ; №ას-1705-2019, 27.11.2020წ; №ას-1181-2018, 18.02.2021წ; №ას-1198-2019, 25.06.2021წ.).

117. პირველი კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, თუ რატომ არ მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ისეთ ფაქტობრივ გარემოებად, რომელიც ასაბუთებს და ამართლებს სარეზოლუციო ნაწილს და შესაბამისად, წარმოადგენს პრეიუდიციული ძალის მქონეს განსახილველ შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ მითითება გააკეთა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე მხოლოდ იძულებით კონტრაპირების დაუშვებლობასთან მიმართებით (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გვ.10, პუნქტი 4.5), თუმცა სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ის გარემოება, რომ გარდა აღნიშნული მსჯელობისა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ასევე დადგენილია გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არარსებობის ფაქტი (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გვ.8, მე-2 აბზაცი). გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულია სსსკ-ის 106 ბ და 266-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით, რადგან კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/27197-2015, დადგენილია წინამდებარე საქმისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტები. (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე განჩინების პ.40).

118. საკასაციო პალატა მიუთითებს, წინამდებარე საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, იგი წარმოადგენს სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას და ამ განსახილველ საქმეში მონაწილეობენ ზუსტად იგივე მხარეები. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხის მიერ მოსარჩელებისათვის 2011 წლის 26 ნოემბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებისა და მხარეთა შორის დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს-ში წილის გადაცემა. გადაწყვეტილების მატერიალური კომპონენტების თვალსაზრისით მისი სარეზოლუციო ნაწილის მიღების საფუძველი გახდა

მხარეთა შორის დადებული, 2011 წლის 26 ნოემბრის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი მოპასუხის ვალდებულების გაქარწყლება. ვალდებულების გაქარწყლების მიზეზად საქალაქო სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად უთითებს ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების ვადის გასვლას. უდავო ფაქტობრივ გარემოებად დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის 2013 წლის 25 ივნისის №ბ13063148/3 გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს „მ-ოს“ კაპიტალში მოპასუხის კუთვნილ წილზე რეგისტრირებული მ. ლ-ის (7.5%), გ. ე-ძის (7.5%), ლ. ჩ-ძის (7,5%) და ე. ა-იას (2.5%) წინასწარი საკუთრების უფლება, ასევე წილის მართვის შესახებ შეთანხმება. ცვლილების რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში – 2012 წლის 10 დეკემბრამდე, არ მოხდა ძირითადი ხელშეკრულების დადება, გავიდა წინასწარი საკუთრების უფლებისათვის განსაზღვრული ვადა (უდავო ფაქტობრივი გარემოება პ.3.1.6). მოპასუხემ უარი განაცხადა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე იმ საფუძვლით, რომ ვინაიდან წინარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებებში და ვადაში არ მიუღია მოსარჩელეებისაგან მოთხოვნა წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შესახებ, მოთხოვნის უფლება გაქარწყებული იყო (უდავო ფაქტობრივი გარემოება პ.3.1.7). საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „შ.პ.ს „მ-ოს“ კაპიტალში გ. გ-ძის კუთვნილ 25% წილზე მოსარჩელეთა წინასწარი საკუთრების უფლება სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებული არ არის და უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მოთხოვნა 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე წილის საკუთრებაში გადაცემის შესახებ დადგენილია, რომ მხარეთა შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული არ არის, 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადა არის გასული, წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული არ არის.“ შესაბამისად, სარჩელი შ.პ.ს „მ-ოს“ კაპიტალში გ. გ-ძის კუთვნილი წილიდან 7.5% წილის მესაკუთრედ მ. ლ-ის ცნობისა და ნასყიდობის საფასურის 120 ლარის განსაზღვრის და გ. გ-ძის კუთვნილი წილიდან 2.5% წილის მესაკუთრედ ე. ა-იას ცნობისა და ნასყიდობის საფასურის 40 ლარით განსაზღვრის შესახებ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

119. სააპელაციო სასამართლოს შეაფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის

18 აპრილის გადაწყვეტილება არ წარმოადგენს პრეიუდიციული ძალის მქონე გადაწყვეტილებას იმიტომ, რომ ამ გადაწყვეტილებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მითითებულია კონტრაპირების იძულების აკრძალვა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ კონტრაპირების იძულების აკრძალვა მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველად, ანუ კონტრაპირების იძულების აკრძალვა წარმოადგენს სამართლებრივ არგუმენტაციასა და დასაბუთებას განხილულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის.

120. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარის მითითების საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ გამოკვლეულ იქნეს, თუ რა ლოგიკურ კავშირშია სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამდგარი ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი სხვა საქმესთან და მასში მონაწილე მხარეებთან.

121. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის თაობაზე.

122. საკასაციო პალატა მიუთითებს, მოსარჩელები მოითხოვენ მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას იმ საფუძველით, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის დამატებითი შეთანხმებით, მოპასუხემ (გამყიდველი) იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა იმ შემთხვევისათვისაც, თუ ნებისმიერი მიზეზით, უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე.

123. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მოპასუხემ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მხარეებს შორის წილის დათმობის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო არაუგვიანეს 2011 წლის 7 დეკემბრისა, თუმცა, აღნიშნულ ვადაში მოპასუხეს არ მიუღია მოსარჩელეთაგან მოთხოვნა წილის დათმობის ხელშეკრულების დადების თაობაზე. იმავდროულად, მოპასუხემ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ და-

ადგინა, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადა გასულია, წინარე ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და დაუშვებელია სასამართლოს მიერ მხარის დავალდებულება დადოს ხელშეკრულება ამა თუ იმ პირობით, რომელი საფუძვლითაც იქნა უარყოფილი სარჩელი. (იხ. წინამდებარე განჩინების პ. 29). იმ პირობებში, როდესაც წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი ხელშეკრულების დადების საბოლოო ვადა იყო „არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა“ და 2012 წლის 05 დეკემბრიდან 2015 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდში, მოპასუხეს აკრძალული ჰქონდა მისი კუთვნილი წილის განკარგვა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მითითება, რომ მათ ყადაღის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ანუ, შესაბამის ვადაში გამოხატეს ნება ხელშეკრულების დადებაზე, რაზეც მოპასუხემ უარის განაცხადა, კერძოდ, დადგენილია, რომ მოსარჩელებმა 06.11.2015წ. წერილობითი განცხადებით მიმართეს მოპასუხეს და 2011 წლის 26 ნოემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოითხოვეს, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით უნდა გამოხატულიყო, რაზედაც მოპასუხემ უარი განაცხადა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ღ-ის და ე. ა-იას სარჩელი წილებზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ადგილი ჰქონდა გამყიდველის მიერ ნებისმიერი მიზეზით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევას, რასაც შეთანხმების მხარეები უკავშირებდნენ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.34).

124. პირველი კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, ადგილი ჰქონდა კასატორის მხრიდან ნებისმიერი მიზეზით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეებს შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულია და 2011 წლის 26 ნოემბრის წილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების ვადა გასულია. პირველი კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, თუ რატომ არ მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის

გასვლასთან დაკავშირებით ისეთ ფაქტობრივ გარემოებად, რომელიც ასაბუთებს და ამართლებს სარეზოლუციო ნაწილს და შესაბამისად, წარმოადგენს პრეიუდიციული ძალის მქონეს განსახილველ შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ მითითება გააკეთა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე მხოლოდ იძულებითი კონტრაპირების დაუშვებლობასთან მიმართებით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ის გარემოება, რომ გარდა აღნიშნული მსჯელობისა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ასევე დადგენილია გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არარსებობის ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს მიერ იგნორირებული იქნა აღნიშნული გარემოებები და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეფასებული იქნა მხოლოდ იმ მსჯელობაზე დაყრდნობით, რომ დაუშვებელია იძულებითი კონტრაპირება. სააპელაციო სასამართლო აკეთებს დასკვნას, მოსარჩელებისათვის 2012 წლის 5 დეკემბრისთვის ცნობილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, თუმცა, სასამართლოს არ უმსჯელია, რომ მოსარჩელებს არ მიუმართავთ მოპასუხისათვის შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ცვლილება შეეტანათ წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში და მოეხდინათ ძირითადი ხელშეკრულების დადების ვადის ცვლილება. ხელშეკრულების დადების ვადის გასვლის შემდეგ, ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება გაქარწყლებული იქნა. სსკ-ის 417-ე მუხლის დანაწესით კი, პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობაა, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. თუ ძირითადი ვალდებულების დარღვევა გამორიცხულია პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებით, მაშინ არ არსებობს არც პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

125. საკასაციო პალატა პირველი კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურობდეს ამ კანონის მიზანს. საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლე-

ბამოსილებები ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახუროდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

126. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ, კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „გრამატიკული“ ინტერპრეტაციის მიზანია, დაადგინოს, ენობრივი თვალსაზრისით, რა მნიშვნელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა მნიშვნელობით იყენებს მათ კანონმდებელი. კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა ინვესტირდეს.

127. საკასაციო პალატა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ პირგასამტეხლოზე უფლება აქცესორული უფლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე. პირგასამტეხლო ძირითადი უფლების სამსახურშია. ამიტომაც დაუშვებელია პირგასამტეხლოს მოთხოვნის განხორციელება ძირითადი უფლების გარეშე. (იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 89). პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნება განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ მისი დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეულად დარღვევა. პირგასამტეხლო უსაგნო იქნება, როცა მოვალის ბრალის გარეშე ვალდებულება ვერ შესრულდება ან ხელშეკრულება გაუქმდება. პირგასამტეხლოთი ვალდებულების უზრუნველყოფა სულაც არ ცვლის პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს. ამი-

ტომაცაა, რომ თუკი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, მაშინ მას არც პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრება. (იხ. ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 417, თბილისი, 2001, გვ. 489-490; ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 89).

128. პირგასამტეხლოს მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის საკითხი წინასწარაა განსაზღვრული, კერძოდ ვალდებულების დარღვევის როგორც იდენტიფიცირება, ისე მისი დადგენა უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო ასეთი მოთხოვნის დაყენება კი არ უნდა მოდიოდეს შეუსაბამობაში საკანონმდებლო დანაწესებთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ყურადსაღებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საკითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შესრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა-საც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26).

129. პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას, სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, როგორც ვალდებულების არაჯეროვნად, არასრულად შესრულება, ასევე მისი შეუსრულებლობაც. (მდრ: სუსგ №ას-1432-1351-2012, 20 მაისი, 2013 წელი.) პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების დარღვევისას. (იხ. გიორგი ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, გვერდი. 232). მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან მისი ბრალეულო-

ბის გამოორიცხვა. იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 93).

130. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში განთავსებულ საკუთრების მინდობისა (წილის მართვისა) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების 2011 წლის 26 ნოემბრის დამატებაზე. აღნიშნული დამატების 1.1 პუნქტის თანახმად, მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ნებისმიერი მიზეზით უარს განაცხადებს ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით, მას დაეკისრება პირგასამტეხლო 10000000 ლარის ოდენობით, რაც გადახდელი უნდა იქნეს დაუყოვნებლივ.

131. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ხელშეკრულების (გარიგების) განმარტების მნიშვნელობაზე სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის საკითხში, რაც ხაზგასმულია საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში.

132. ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა. ამგვარად, ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხა-

რე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემცენების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

133. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის დამატებითი შეთანხმება უნდა განიმარტოს არა დამოუკიდებლად, არამედ 2011 წლის 26 ნოემბრის საკუთრების მინდობისა (წილის მართვისა) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებასთან ერთობლიობაში.

134. როგორც პირველი კასატორი (მოპასუხე), ასევე მეორე კასატორი (მოსარჩელეები) სადავოდ ხდიან გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობასთან მიმართებით.

135. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა არაგონივრულია. იმ ვითარებაში, როდესაც ნასყიდობის ფასი 160 ლარია და ორივე მოსარჩელეს ჯამში 10%-იანი წილი უნდა მიეღო, 40000 ლარის ოდენობის დაკისრებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია.

136. მეორე კასატორები (მოსარჩელეები) მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას. მეორე კასატორები მიიჩნევენ, რომ უმართებულოდაა შემცირებული მოპასუხისათვის დაკისრებული

პირგასამტეხლოს თანხა. პირგასამტეხლოს თანხა, რომელიც მხარეთა მიერ განისაზღვრა, უზრუნველყოფდა მოსარჩევეებისათვის ქონებრივ უფლებისა და ეკონომიკური ინტერესის კომპენსირებას, თუ მოპასუხე უარს განაცხადებდა წილის გასხვისების ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე. პირგასამტეხლოს თანხა – 10000000 ლარი რეალურად წარმოადგენდა გადასაცემი არამატერიალური აქტივის (წილის) ჩამნაცვლებელ ქონებრივ სიკეთეს, რითაც მოსარჩევეებმა, როგორც კრედიტორებმა, თანხმობა განაცხადეს სხვა შესრულების მიღებაზე. (სსსკ-ის 428-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში კი, პირგასამტეხლოს შემცირების მექანიზმის გამოყენება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საგნის, მიზნისა და შინაარსისადმი, არაგონივრული და არარელევანტური მიდგომაა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რაც პროცესუალურად გამორიცხავდა პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას, რომ მოპასუხემ შესაგებელში სადავო გახადა პირგასამტეხლო არა გონივრულობის კუთხით, არამედ, მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე მოსარჩელეთა მოთხოვნის პროპორციული ოდენობა მიიჩნია არასწორად და განმარტა, რომ ვინაიდან დადებული შეთანხმების ერთ მხარეს ოთხი პირი წარმოადგენდა, ხოლო მოცემულ საქმეზე მოსარჩევეებს მხოლოდ ორი მათგანი წარმოადგენდა, შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ფარგლებში მოსარჩელეთა მოთხოვნის მოცულობა მათი პროპორციული წილის მიხედვით უნდა გამოთვლილიყო. გასაჩივრებულ გადანაცვეტილებაში განვითარებული მსჯელობა, რომ მოპასუხემ სადავოდ გახადა მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა, წარმოადგენს სსსკ-ის მე-4, 219-ე მუხლებით, ასევე სსკ-ის 420-ე მუხლით დადგენილი დანაწესის უგულებელყოფას.

137. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი და დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს“.

138. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს ისეთ ორ ძირითად პრინციპს, როგორიცაა ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების თავისუფლების პრინცი-

პის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპების დაცვის მიზნით, არსებობს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობაც. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს იმპერატიული ხასიათის ნორმებით. იმპერატიული ხასიათის ნორმები ორ ძირითად მიზანს ემსახურება: ა) მხარეთა მიერ განსაზღვრული პირობები შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, თუ მათი შინაარსი ეწინააღმდეგება სამართლებრივ მართლწესრიგს; ბ) იმპერატიული ნორმები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს და უზრუნველყოფენ, რომ ხელშეკრულების დადება კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდეს.

139. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგჯერ თავად ნორმის მიზნიდან გამომდინარე დგინდება მისი იმპერატიული ხასიათი. ნორმისათვის გვერდის ავლას, სწორედ ამ ნორმის მიზანი შეიძლება კრძალავდეს. მაგალითის სახით გამოდგება სსკ-ის 420-ე მუხლი, რომლის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ აუცილებელია მხარეები გონივრული ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ.

140. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, შესაძლებელია ისინი იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდევინებაც შემდგომ მძიმე ტვირთად დაანგება მოვალეს. სასამართლო ასეთ შემთხვევაში ახდენს პირგასამტეხლოს „სამართლიან“ შემცირებას ანუ სასამართლოს ამოცანაა მხარეები დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, სსკ-ის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად, რადგან პირგასამტეხლოს უმთავრესი მიზანი კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენაა და არა მისი უსაფუძვლო გამდიდრება მოვალის ხარჯზე.

141. ამდენად, კანონმდებელმა დააწესა მექანიზმი, რომელიც სასამართლოს ალჭურვავს უფლებამოსილებით, დააკორექტიროს პირგასამტეხლოს ოდენობა და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე იმ შემთხვევაში, როდესაც პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულ და სამართლიან ფარგლებს სცდება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგულისხმოა პირგასამ-

ტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, არაერთ სამოქალაქო დავაზე განმარტა საკასაციო სასამართლომ: „მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონის მიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და რაც მთავარია ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ. (იხ. სუსგ-ები: №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი; №ას-708-662-2017, 11.01.2017 წელი);).

142. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. პირგასამტეხლოს ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება.

143. სსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. (იხ. ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წელი, გვ. 800). კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო

არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. მნიშვნელობა ენიჭება ნაკისრი ვალდებულების დარღვევაში მოვალის ბრალის ხარისხსაც, აგრეთვე გასათვალისწინებელია მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი შეამცირებს მას იმ ოდენობამდე, რომელსაც ვალდებულების დარღვევის თანაზომიერად და სამართლიანად მიიჩნევს. (შდრ. ირ. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თანავეტორობით, თბილისი, 2014, გვ. 604, 605.).

144. კანონის მითითებული დანაწესი განპირობებულია იმითაც, რომ ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია, უფრო ძლიერმა ხელშემკვრელმა მხარემ ისარგებლოს მეორე მხარის სურვილით, გააფორმოს ხელშეკრულება და უკარნახოს შეთანხმების არახელსაყრელი პირობები, განსაზღვროს გონივრულზე უფრო მაღალი პირგასამტეხლო. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა დაანესა დაცვის მექანიზმი, რომელიც სასამართლოს აღჭურვავენ უფლებამოსილებით, დააკორექტიროს პირგასამტეხლოს ოდენობა და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანევს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცევს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასა-

მართლმ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვება.

145. იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, კრედიტორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდაზე წარმოშობილი უნდა იყოს, ე.ი. ძირითადი ვალდებულება უნდა იქნეს დარღვეული. პირგასამტეხლოს შემცირება მის წარმოშობამდე ანუ ძირითადი ვალდებულების დარღვევამდე, დაუშვებელია (შდრ. Frießcke, in Palandt, BGB Komm., 78 Aufl., 2018., §343, Rn.5). სწორედ დარღვევის მომენტიდან ეკისრება მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი შესასრულებლად მძიმე ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. გარდა ამისა, სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო არ უნდა იყოს უკვე გადახდილი მოვალის მიერ. უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, გამორიცხულია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნას ეფუძნება სწორედ იმას, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო შესასრულებლად მძიმეა მოვალისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით იხდის პირგასამტეხლოს, ამ გადახდით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირგასამტეხლო მას შეუსაბამოდ მაღლად არ მიაჩნია (შდრ. სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი).

146. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულია, შესაბამისად, მხარეებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, თავიანთი შეთანხმებით გამორიცხონ იგი. სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება, არ გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით.

147. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, მოპასუხის მიერ დაყენებული მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება მითითებული იქნეს, როგორც შესაგებელში, ასევე პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დამთავრებამდე მოპასუხის მიერ აღძრულ შუამდგომლობაში. ცალკეულ შემთხვევებში ასეთი მოთხოვნის დაყენება სარჩელითაცაა შესაძლებელი, მაგალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა (პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება). პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა, ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს) (იხ. სუსგ №ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020).

148. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიაქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 26 ნოემბრის შეთანხმება გაფორმდა იმ მიზნით, რომ თუკი გ. გ-ძე ნებისმიერი მიზეზით უარს განაცხადებდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით, მას პირგასამტეხლოს სახით დაეკისრებოდა ათი მილიონი ლარის გადახდა. (იხ. სარჩელის მე-3 ფაქტობრივი გარემოება; წინარე ხელშეკრულების დამატება). ამდენად, პირგასამტეხლოზე დამატებითი ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 26 ნოემბრის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

149. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადანყევტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადანყევტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადანყევტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყევტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

150. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განსახილველ საქმეზე სრულად არ გამოუკვლევიდა და შეუფასებია მხარეთა მიერ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით წარმოდგენილი მტკიცებულებები, საკასაციო პალატა სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს საქმეზე გადანყევტილება. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყევტილება (განჩინება) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, უნდა შეამოწმოს მოსარჩელეთა მოთხოვნის წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად, განსაზღვროს უფლების საკითხი.

151. ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ (სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), რომ ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯა-

მებელი გადანყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით, 408-ე
მუხლის მე-3 ნაწილით და,

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. მ. ღ-ის და ე. ა-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმა-
ყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ივნისის განჩინება და საქმე
ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასა-
მართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-
რდება.

ბე

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ას-259-259-2018

30 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. ზ. მ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, პარტნიორი ან გამყიდველი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს

„რ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, მონინალმდეგე მხარე ან კომპანია) მიმართ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის – 800 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მოსარჩელე კომპანიის საწესდებო კაპიტალის 39% წილის მფლობელი პარტნიორია. მას და ო. ს-ს (შემდგომში – მყიდველი) შორის 2013 წლის 8 თებერვალს გაფორმდა წინარე ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მხარეებმა აიღეს ვალდებულება, 2013 წლის 31 ოქტომბრამდე გაეფორმებინათ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ, ქ.თბილისში, ... ს. უ-სა (ნაკვეთი ..., დაზუსტებული ფართობი – 7 000.00 კვ.მ, ს/კ: ...) და ქ. თბილისში, ... ქ№5-ში, მე-4 სართულზე მდებარე 143.86 კვ.მ (ს/კ: ...) ფართის თაობაზე. ამავე დღეს მხარეებმა გააფორმეს ბეს ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მყიდველმა ... მდებარე უძრავ ქონებაზე ბეს სახით გადაიხადა 700 000 აშშ დოლარი, ხოლო ქ. თბილისში, ... ქ№5-ში მდებარე ქონებაზე – 100 000 აშშ დოლარი. ნასყიდობის ფასი ... მდებარე ქონებაზე შეადგენდა 3 000 000 აშშ დოლარს, ხოლო, ქ. თბილისში არსებულ უძრავ ქონებაზე – 200 000 აშშ დოლარს.

2013 წლის 5 აპრილს კომპანიამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს პარტნიორის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით 5 143 808.43 ლარისა და 47 072.52 აშშ დოლარის დაკისრება. აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, 2013 წლის 12 აპრილის განცხადებით კომპანიამ მოითხოვა ყადაღის დადება პარტნიორის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე (ს/კ №... და ს/კ №... უძრავ ქონებაზე, ასევე, კომპანიაში პარტნიორის კუთვნილ 39%-იან წილზე). უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება გაასაჩივრა პარტნიორმა, თუმცა, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ვინაიდან კომპანიის მიერ აღძრული სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო პარტნიორის კუთვნილ უძრავ ქონებას, 2013 წლის 12 ოქტომბერს მყიდველმა შეადგინა უთანხმოებათა შესახებ ოქმი, რომლითაც შეატყობინა გამყიდველს, რომ 2013 წლის 31 ოქტომბრამდე აძლევდა ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოითხოვდა გადახდილი ბეს – 800 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნებას ორმაგი ოდენობით. პარტნიორმა ხსენებულის თაობაზე აცნობა რწმუნებულს, რომელმაც კომპანიის სარჩელის განმხილველ სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბერს მიმართა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყო-

ფის შესახებ განცხადებით და მოითხოვა სადეპოზიტო ანგარიშზე 800 000 აშშ დოლარის განთავსება, წინააღმდეგ შემთხვევაში – უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით მას უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ხელშეკრულებების არსებობის თაობაზე გაჟღერებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 17 ოქტომბრის და 2013 წლის 13 დეკემბრის, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში – 2015 წლის 27 იანვრის სხდომაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიისათვის ცნობილი გახდა მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი ისედაც უსაფუძვლო იყო, მხარემ მაინც უარი განაცხადა სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსებაზე.

ზემოხსენებულ მიზეზთა გამო, ვერ მოხდა მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება მყიდველის მიერ დათქმულ დრომდე, რის გამოც, კვლავ შედგა ოქმი უთანხმოებათა შესახებ. ზეპირი მოლაპარაკების შედეგად, 2014 წლის 18 იანვარს კიდევ ერთხელ შედგა ოქმი, რითაც საბოლოოდ, ხელშეკრულების გაფორმების თარიღად განისაზღვრა 2014 წლის თებერვალი. სხვა შემთხვევაში კვლავ იყო ბეს ორმაგად დაბრუნების პირობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ კომპანიის სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რის გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ვერ მოხდა. კომპანიის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოშიც, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დატოვა განუხილველად. იმის გათვალისწინებით, რომ ვერ მოხდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, ნოტარიუს ე. ყ-ის თანდასწრებით მოსარჩელემ მყიდველს დაუბრუნა გადახდილი ბე ორმაგი ოდენობით (1 600 000 აშშ დოლარი), რაზეც გაფორმდა ფულის მიღებისა და გადაცემის შესახებ სანოტარო აქტი. ამდენად, გადახდილი თანხიდან 800 000 აშშ დოლარი (მიღებული ბეს ორმაგი ოდენობის დასაბრუნებლად), წარმოადგენს მიყენებულ ზიანს. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხემ ასევე უნდა აუნაზღაუროს მოსარჩელეს საადვოკატო მომსახურების ხარჯი – 5 000 ლარი და მყიდველისათვის ბეს ორმაგად დაბრუნებისას გაფორმებული სანოტარო აქტის საზღაური – 3 042 ლარი (რაც სასამართლო ხარჯებთან ერთად 11 042 ლარს შეადგენს).

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი

არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. უძრავი ქონებისა და არამატერიალური აქტივის დაყადაღების ფაქტი მოპასუხეს სადავო არ გაუხდია, თუმცა, რაც შეეხება მოსარჩელესა და მყიდველს შორის გაფორმებულ წინარე ნასყიდობისა და ბეს ხელშეკრულებებს, მოპასუხემ მიუთითა, რომ მისთვის უცნობი იყო აღნიშნული გარემოების თაობაზე. მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე 2013 წლის 17 ოქტომბერს წარდგენილ შუამდგომლობაში პარტნიორის რწმუნებულმა მიუთითა ზემოთ მითითებულ ფაქტებზე, თუმცა, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები არ ყოფილა წარდგენილი, რაც შუამდგომლობის უარყოფის საფუძველი გახდა. მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში, კომპანიისათვის უცნობი იყო რა ვალდებულებები ჰქონდა ალბულის მითითებულ უძრავ ქონებაზე მოსარჩელეს. სასამართლოს არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოსარჩელეს არც ზემოაღნიშნული განჩინების მიღების შემდგომ წარუდგენია თბილისის საქალაქო ან/და სააპელაციო სასამართლოსთვის რაიმე მტკიცებულება მოსალოდნელ ზიანთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე თითქმის ერთი წელი იხილებოდა. მოპასუხემ ეჭვქვეშ დააყენა 2013 წლის ხელშეკრულებათა ნამდვილობა, მისი ვარაუდით, შესაძლოა, არავითარი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და მათი შემდგომი გაფორმება ემსახურება მხოლოდ მოთხოვნის უფლების წარმოშობას. აღნიშნულ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ არარეალურია როგორც ხელშეკრულებაში მითითებული ქონებების ღირებულება, ისე – ანგარიშსწორების ფორმა – 1 600 000 აშშ დოლარის უნაღდო ანგარიშსწორებით დაბრუნება. მოპასუხის განმარტებით, უძრავი ქონების წინარე ხელშეკრულება და ბეს ხელშეკრულება არ არის გაფორმებული სანოტარო წესით და არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, მხარეებს დოკუმენტებზე ნებისმიერი თარიღის მითითება შეეძლოთ. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში 28.06.2013 წელს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რომც არ ყოფილიყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული, მოსარჩელე მაინც ვერ მოახერხებდა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დანესებული მორატორიუმის გამო ქონების გასხვისებას მყიდველზე.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პარტნიორმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გაუმართლებელი ღონისძიების შედეგად მიადგა თუ არა მხარეს ზიანი და არსებობს თუ არა ამ ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), წინამდებარე განჩინებით საკასაციო სასამართლო შეამოწმებს კასატორის შემდეგი პრეტენზიების საფუძვლიანობას:

– პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის უარყოფა დაუკავშირა კომპანიის მხრიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების კანონიერად გამოყენებასა და დამდგარ ზიანში მისი ბრალის არარსებობას, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, რითაც სრულებით უარყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-

მოყენება წარმოადგენს მოსარჩელის კანონით მინიჭებულ უფლებას, რომლის რეალიზაცია არ გამოირიცხავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.3 მუხლის გამოყენებას, პირიქით, სარჩელის უზრუნველყოფით მინიჭებული უფლების გამოყენებამ, კანონით დადგენილ შემთხვევებში (სსსკ-ის 199.3. მუხლი) შეიძლება განაპირობოს მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. განსახილველი ურთიერთობა წესრიგდება სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის წინაპირობებიც განსხვავდება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის წინაპირობებისგან (მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა (შედეგი) წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა (წინაპირობა)). კანონი განმარტავს, თუ რა იგულისხმება ტერმინში „გაუმართლებელი გამოდგა“:

i მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ან/და

ii იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

– ინგლისის საპროცესო სამართალი ითვალისწინებს სასამართლო აკრძალვების (სარჩელის უზრუნველყოფის) მაგივრად მატერიალური კომპენსაციის დანიშვნას. ამ შემთხვევაში ინგლისის სასამართლო ითვალისწინებს გარკვეული წინაპირობების არსებობას. სასამართლო აკრძალვის ნაცვლად მატერიალური კომპენსაციის გამოყენება შესაძლებელია, თუ მოსარჩელის ამა თუ იმ უფლების დარღვევა მიჩნეულია ნაკლებად მნიშვნელოვნად. აგრეთვე, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსარჩელის უფლებით მიყენებული ზიანი უნდა ექვემდებარებოდეს ფულად შეფასებას და შესაძლებელი იყოს მისი ანაზღაურება თანხით. ინგლისის სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმასაც, რომ სასამართლო აკრძალვა არ უნდა იყოს მოპასუხისათვის მეტისმეტად მძიმე, ანუ ის არ უნდა იყოს უსამართლო, არაკეთილგონიერი“ (Романов А. К. Правовая система Англии. М. 20026 стрю 121). ინგლისის პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება განპირობებულია „ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის“ სასამართლოში წარდგენით. ეს გარკვეულწილად წარმოადგენს მოსარჩელის ვალდებულებას, უზრუნველყოს მოპასუხის მოთხოვნა თუ სარჩელის უზრუნველყოფა გაუმართლებელი გამოდგება. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება გამომდინარეობს არა კანონიდან, არამედ – სა-

სამართლო პრეცედენტიდან (American Cyanamid Co против Ethicon Ltd [1975]). ინგლისის სასამართლო პრაქტიკაც მიუთითებს იმაზე, რომ თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდება, მოპასუხეს ეძლევა უფლება, სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანი მოითხოვოს თუ დაამტკიცებს ზიანის ფაქტს. ამ შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს ზიანის ოდენობას (Сравнительный анализ законодательства и практики Англии, Казахстана и России по вопросам принятия мер по обеспечению иска /<https://www.zakon.kz/4698896-sravnitelnyj-analiz-zakonodatelstva-i.html>).

გერმანიის სამოქალაქო პროცესის 945-ე პარაგრაფის თანახმად, თუ უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგება ამავე კანონის შემთხვევებში მხარეს, რომლის ინტერესებშიც შედიოდა უზრუნველყოფის გატარება, ვალდებულია მოწინააღმდეგე მხარეს აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი (Гражданское процессуальное уложение Германии. WoltersKluwer, 2006, п. 945). ანალოგიურ წესს ითვალისწინებს რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლი და მოპასუხეს ეძლევა უფლება, მოითხოვოს მოსარჩელისგან სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება თუ სარჩელი გაუმართლებელი აღმოჩნდება და გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში (Волченко О., статья «Защита прав ответчика при принятии мер по обеспечению иска в гражданском судопроизводстве России и Германии.», Труды Института государства и права Российской академии наук #5.2011, стр. 203).

– სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.3 მუხლი და ზიანის მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 327.3, 477-ე, 421-ე და 423.2 მუხლები, რადგან უდავოა, რომ კომპანიის სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ყადაღა გამოდგა გაუმართლებელი, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამის გამო პარტნიორმა ვერ გაყიდა ყადაღადღებული უძრავი ქონება და შედეგად მან ბე ორმაგად დაუზრუნა სავარაუდო მყიდველს 1 600 000 აშშ დოლარის ოდენობით. ბეს ორმაგად დაბრუნების შეთანხმება დამოწმდა სანოტარო წესით. დაბრუნებული თანხიდან 800 000 აშშ დოლარი წარმოადგენს იმ დანაკლისს რაც გამომწვეული იყო ვალდებულების შეუსრულებლობით.

– განსახილველ შემთხვევაში, 2013 წლის 8 თებერვალს გამყიდველსა და მყიდველს შორის წერილობით გაფორმდა წინარე ხელშეკრულება (სკ-ის 327.3 მუხლი), რაც მიუთითებს გამყიდველის

ვალდებულებაზე, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიჰყიდოს უძრავი ქონება მყიდველს (სკ-ის 477-ე მუხლი). ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მხარეთა შორის დაიდო წერილობითი ბეს ხელშეკრულება (სკ-ის 421-ე მუხლი), რომლის თანახმად მყიდველმა გამყიდველს გადასცა ბე – 800 000 აშშ დოლარი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების უზრუნველსაყოფად. გამყიდველის მიერ წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (რასაც წინ უსწრებდა უთანხმოებათა შესახებ შეთანხმებები), მან მყიდველს დაუბრუნა ბეს – 800 000 აშშ დოლარის ორმაგი ოდენობა – 1 600 000 აშშ დოლარი (სკ-ის 423.2 მუხლი). ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად მითითებულია გაუმართლებელი სარჩელის უზრუნველყოფა, რაც გამომდინარეობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან სარჩელის უარყოფის თაობაზე. მითითებული გარემოება შეესაბამება სსსკ-ის 199.3. მუხლის ნორმატიულ აღწერილობას. გადახდილი ბეს ორმაგი ოდენობიდან – 1 600 000 აშშ დოლარიდან 800 000 აშშ დოლარი შეიძლება შეფასდეს როგორც ზიანი, რადგან ეს ის თანხაა რომლითაც შემცირდა კასატორის აქტივი და გაიზარდა მისი პასივი, რაც განპირობებულია გაუმართლებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით (სსსკ-ის 199.3 მუხლი).

– სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოტანილია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევებით. საერთოდ არ არის შეფასებული საოქმო განმარტებები, რომლითაც დასტურდება ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების წარდგენა, ასევე მოპასუხის უარი ამ ხელშეკრულებების ნამდვილობასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. არ არის სწორად შეფასებული ბეს ხელშეკრულება, წინარე ხელშეკრულება, ბეს ორმაგად დაბრუნების ხელშეკრულება.

– სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი, მან მხოლოდ ფორმალურად მიუთითა მასზე. ამავე დროს, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 327.3 და 421-ე მუხლები. სასამართლომ არასწორად იმსჯელა ხელშეკრულების ნამდვილობის ინსტიტუტზე. ზიანის არარსებობას სასამართლო ასაბუთებს იმით, რომ მისთვის არ არის სარწმუნო მითითებული ხელშეკრულებები, მაგრამ შემოიფარგლება მოსაზრებით ყოველგვარი ფაქტებისა და მტკიცებულებების გარეშე. სასამართლო არასწორად განმარტავს მიზეზობრივი კავშირის ინტიტუტს, რადგან მიზეზობრივი კავშირის არარსებობას დაუკავშირა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი „მორატორიუმი.“ ყოვლად დაუსაბუთებელია სასამართლოს ეს მსჯელობა, რადგან ამ ცვლილებებით

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ აეკრძალათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, არამედ დროებით შეჩერდა, მით უმეტეს, რომ ეს შეჩერება ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ეს ნიშნავს იმას, რომ ო. ს-ს ყოველთვის გარანტირებული ჰქონდა საკუთრების მიღებაზე კონსტიტუციური უფლება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „მორატორიუმის“ გამო უძრავი ქონებების ნასყიდობის ხელშეკრულების არ დადების გამო, პასუხს არ აგებდა კასატორი, რადგან „მორატორიუმი“ წარმოადგენს ფორსმაჟორულ მდგომარეობას. სასამართლოს ეს მსჯელობა ალოგიკურია, რადგან საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, 2013 წლის 12 აპრილს გამოყენებული ყადაღის გამო ხელშემკვრელ მხარეთა შორის შედგა უთანხმოების ოქმი და გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა 2014 წლის თებერვლით განისაზღვრა. თუკი დავუშვებთ, რომ მითითებული „მორატორიუმი“ გახდა გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი, მაშინ ეს ფაქტი უფრო მიუთითებს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, ვიდრე პირიქით. სასამართლოს აღრეული აქვს წინარე და ბეს ხელშეკრულებების ინსტიტუტები, იგი არასწორად ასკვნის, რომ ბეს ხელშეკრულება არ უნდა იქნეს გამოყენებული წინარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად.

– სასამართლომ უგულვებელყო საქმეში არსებული მტკიცებულებები, მიიჩნია, რომ გამყიდველს პირველ ინსტანციაში არ ჰქონდა წარდგენილი ბეს ხელშეკრულებისა და წინარე ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მან არასწორად შეაფასა გამყიდველის ელექტრონული წერილი, ბეს ხელშეკრულება, წინარე ხელშეკრულება, საერთოდ არ შეაფასა მხარეთა ახსნა-განმარტებები, რომელიც მიცემული ჰქონდათ პირველ ინსტანციის სასამართლოში და სხვა მასალები, რაც კავშირში იყო სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების განხილვასთან. პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო ჩანაწერებით დასტურდება (რაც უგულვებელყო სასამართლომ), რომ მოპასუხის ერთადერთი პრეტენზია ამ ხელშეკრულებებთან მიმართებაში იყო და არის ძველი თარიღით ხელმოწერის თაობაზე მოსაზრება. მოპასუხის შუამდგომლობაზე ამ ხელშეკრულებების ნამდვილობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მხრიდან თანხმობის გაცხადების შემდეგ, თავად მოპასუხემ თქვა უარი ექსპერტიზის ჩატარებაზე, შესაბამისად, არც ამ დოკუმენტების წარდგენის საჭიროება აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ წარადგინა ხელშეკრულებების დედნები პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამდენად, ყოვლად უსაფუძვლოა იმაზე მსჯელობა, რომ

კომპანიისათვის უცნობი იყო ამის შესახებ და ის, რომ მოსარჩელე არ უთითებდა ამ ხელშეკრულებების თაობაზე.

– სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილების ყველა წინაპირობა:

i ნასყიდობის წინარე და ბეს ხელშეკრულებების დადების ფაქტი;

ii ხელშემკვრელ მხარეთა დათქმა იმის შესახებ, რომ თუკი უახლოეს პერიოდში ვერ მოახერხებდა ქონების მყიდველისათვის გაფორმებას, გამყიდველს მოუწევდა ბეს ორმაგი ოდენობით დაბრუნება;

iii კომპანიის მიერ პარტნიორის წინააღმდეგ 2013 წლის 5 აპრილს სარჩელის აღძვრა და ამ სარჩელის უზრუნველსაყოფად პარტნიორის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასა და არამატერიალურ სიკეთეებზე, მათ შორის ზემოთ მითითებულ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნა, რაც დააკმაყოფილა საქმის განმხილველმა სასამართლომ. ხსენებული განჩინება გასაჩივრდა პარტნიორის მხრიდან, თუმცა განცხადება არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ. 2014 წლის 17 ოქტომბერს პარტნიორის მხრიდან მოთხოვნილ იქნა მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა და კომპანიის დავალდებულება, სადეპოზიტო ანგარიშზე განეთავსებინა 800 000 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში – უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, რასაც შეენიშნაღმდეგა იმჟამინდელი მოსარჩელე, ხოლო სასამართლომ პარტნიორის მოთხოვნა არ გაიზიარა;

iv გაუმართლებელი ყადაღის გამო, გამყიდველმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ქონების გასხვისების ვალდებულება, მათ შორის დამატებით მიცემული ვადის განმავლობაში, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ იყო გაუქმებული, ნოტარიუსის თანდასწრებით ამჟამინდელმა მოსარჩელემ ბე დააბრუნა ორმაგად, რის თაობაზეც გაფორმდა ფულის მიღებისა და გადაცემის შესახებ სანოტარო აქტი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსად არ არის ნახსენები იმის თაობაზე, რომ წინარე ხელშეკრულება, ბეს ხელშეკრულება და ბეს ორმაგად დაბრუნების ხელშეკრულება არ არის ნამდვილი, არის კანონსწინააღმდეგო და ა.შ. პირიქით, ამ გარემოებების არარსებობა და, შესაბამისად, მათზე სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მსჯელობის არარსებობა მიუთითებს მათ ნამდვილობაზე და კანონშესაბამისობაზე. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც გამოიხატა უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ მოპასუხე არც შესაგებელში და არც ზეპირ თუ წერილობით განმარტებაში არ უთითებდა არცერთ ფაქტზე, რაც

შეიძლება მიუთითებდეს ამ ხელშეკრულებების არანამდვილობაზე. მოპასუხის ყველა პოზიციის დაჯამების შედეგად ის ამახვილებდა ყურადღებას მხოლოდ იმაზე, რომ: მითითებული ხელშეკრულებები ყალბია, შესაძლებელია ხელშეკრულების მხარეებს ისინი გაეფორმებინათ „უკანა რიცხვით“. მოპასუხის მითითება სიყალბეზე შემოიფარგლება მხოლოდ ტერმინით „ყალბია“, რაც წარმოადგენს სამართლებრივ შეფასებას, ხოლო ამასთან დაკავშირებული ფაქტები, არ აქვს მითითებული. რაც შეეხება მოსაზრებას „უკანა რიცხვით“ მათი გაფორმების თაობაზე, ეს მოსაზრება არ არის დადასტურებული არცერთი მტკიცებულებით.

– არასწორია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, თითქოს მოწინააღმდეგე მხარისათვის უცნობი იყო სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ოდენობა. სინამდვილეში კომპანიის, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების, ასევე – დომინანტი და არადომინანტი პარტნიორებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ აღნიშნული უძრავი ქონებები ჯერ კიდევ 2008 წელს იპოთეკით იქნა დატვირთული კასატორის მიერ სს „რ. ბ-ის“ სასარგებლოდ კომპანიის სესხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოებას არ გააჩნდა ფულადი სახსრები და დასახული მიზნების მისაღწევად სესხი უზრუნველყოფილ იქნა პარტნიორის პირადი ქონებით, შესაბამისად, კომპანიის მხრიდან იმის განცხადება, რომ სადავო ქონების ღირებულების შესახებ არაფერი იცოდა, ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია.

– სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავას იწვევს ზიანის ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი. ხსენებული მსჯელობა ალოგიკური და ურთიერთსაწინააღმდეგოა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განჩინებით არ არის უარყოფილი ხელშეკრულებების ნამდვილობა, სასამართლო ფიქრობს, რომ ეს ხელშეკრულებები არ არის სარწმუნო, რადგან ისინი არ იყო წარდგენილი სასამართლოში კომპანიის სარჩელის განხილვისას და ამ პერიოდის მანძილზე პარტნიორის წარმომადგენელს არც უხსენებია მათ შესახებ. ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ უგულებელყოფილია საქმეში არსებული მასალები: კომპანიის სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის განხილვის ყველა ეტაპზე პარტნიორის წარმომადგენელი ამ ხელშეკრულებების საფუძველზე უთითებდა იმ სავარაუდო ზიანზე, რომლის წინაშეც აღმოჩნდა კასატორი. წარდგენილ იქნა პარტნიორის ელექტრონული წერილი ხსენებული ფაქტების თაობაზე, რაც შეეხება ხელშეკრულებების წარდგენის ფაქტს, თავად კომპანიის შედავების გათვალისწინებით, როგორც უკვე ითქვა, მათი წარდგენის აუცილებლობა არ წარ-

მოშობილა.

– გაუგებარია სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სადავო თანხის გადახდილად მიჩნევის შემთხვევაშიც, არ იარსებებდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. მით უფრო გაურკვეველია სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც გამყიდველსა და მყიდველს შორის არ წარმოშობილა ბეს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რადგან მხარეებს გაფორმებული არ ჰქონდათ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და აქედან გამომდინარე, ბეს ორმაგად დაბრუნება მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სააპელაციო პალატის დასკვნით:

1.2.1. 2013 წლის 5 აპრილს კომპანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში აღძრო სარჩელი ამჟამინდელი მოსარჩელის წინააღმდეგ, თანხის დაკისრების მოთხოვნით. ხსენებული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის 2013 წლის 12 აპრილის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ 2013 წლის 15 აპრილს მიიღო განჩინება და ყადაღა დაედო პარტნიორის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასა (მდებარე ქ. თბილისი, ... ქ №5, ს/კ №...; ქ.თბილისში, ... ს. უ-სი, ს/კ №...) და კომპანიაში პარტნიორის კუთვნილ 39% წილს;

1.2.2. კომპანიის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა პარტნიორმა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა;

1.2.3. 2013 წლის 17 ოქტომბერს, ამჟამინდელი მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. წარმომადგენელმა განცხადებას დაურთო პარტნიორის 2013 წლის 14 ოქტომბრის ელექტრონული წერილი, საიდანაც იკითხებოდა, რომ არსებობდა ბეს ხელშეკრულებები დაყადაღებულ უძრავ ქონებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით განმცხადებელს უარი ეთქვა ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებაზე იმ დასაბუთებით, რომ განმცხადებელმა ვერ წარუდგინა სასამართლოს უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც პირდაპირ დაადასტურებდა ზარალის მოლოდინის გარდაუვალობას;

1.2.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით კომპანიის სარჩელი პარტნიორის მიმართ არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, გაუქმდა მოცემულ საქმეზე მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც. სარჩელის უარყოფის თაობაზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის განჩინებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 აგვისტოს განჩინებით, თუმცა, კომპანიის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომი წესით გასაჩივრების გამო, პარტნიორის ქონებაზე გამოყენებული ყადაღის გაუქმება ვერ მოხერხდა;

1.2.5. 2013 წლის 8 თებერვალს მოსარჩელესა და მყიდველს შორის გაფორმდა ე.წ წინასწარი ხელშეკრულება, რომლის პირველი და მე-8 პუნქტებით მხარეებმა აიღეს ვალდებულება, 2013 წლის 31 ოქტომბრამდე დაედოთ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (უძრავ ქონებაზე: მდებარე ქ.თბილისში, ... ქ№5-ში, მე-4 სართულზე არსებულ 143,86 კვ.მ ფართსა ს/კ №...; და ქ.თბილისში, ... ს. უ-სი, ნაკვეთ №...-ზე, დაზუსტებული ფართობი: 7000.00 კვ.მ, ს/კ №...). ამავე დღეს, 2013 წლის 8 თებერვალს ზ. მ-სა და ო. ს-ს შორის გაფორმდა ბეს ხელშეკრულება, რომლის 1.1 და 1.2 პუნქტების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბეს მიმცემი (ო. ს-ი) ბეს მიმღებს (ზ. მ-ი) გადასცემს ფულად თანხას, ერთ შემთხვევაში (უძრავ ქონებაზე, ს/კ ...) 700 000 აშშ დოლარს, ხოლო, მეორე შემთხვევაში (უძრავ ქონებაზე, ს/კ ...) – 100 000 აშშ დოლარს. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თანხის გადაცემას ესწრებოდნენ ო. უ-ძე და დ. ა-ი. ბეს გადაცემასთან დაკავშირებით რაიმე დამატებითი წერილობითი დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ არის;

1.2.6. კომპანიის საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიება მართალია, გაასაჩივრა პარტნიორმა, თუმცა, ნასყიდობის წინარე და ბეს ხელშეკრულებების თაობაზე საჩივრის ავტორს არ მიუთითებია. მხოლოდ ამის შემდგომ, როდესაც მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სასამართლოს მხარემ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა, სადაც მხოლოდ სიტყვიერად მიუთითა განსახილველ დავაში შესაფასებელი ხელშეკრულებების თაობაზე, თუმცა, მათი რეალურად არსებობის დასადასტურებლად დაურთო არა პირდაპირი მტკიცებულებები, არამედ, კომპანიის პარტნიორის ელექტრონული წერილი, სადაც ეს უკანასკნელი წარმომადგენელს ატყობინებდა ნასყიდობის წინარე და ბეს ხელშეკრულებების დადებისა და ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე. სწორედ პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობა გახდა შუამდგომლობის უარყოფის საფუძველი. საგულისხმოა, რომ სანოტარო წესით ბეს ორმაგად დაბრუნების აქტი შედგა 2014 წლის 18 ივნისს (სადაც მითითებულია, რომ ნოტარიუსის თანდასწრებით 1.6 მლნ აშშ დოლარი, როგორც ბეს ორმაგი ოდენობა გადასცა ზ. მ-მა ო. ს-ს), მაშინ, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ იქნა 2014 წლის 7 აპრილს, თითქმის ორი თვით ადრე, ვიდრე მოხდებოდა თანხის დაბრუნება ნებაყოფლობით;

1.2.7. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 28 ივნისს შეტანილი ცვლილებით ე.წ მორატორიუმი გამოცხადდა და 2014 წლის 31 დეკემბრამდე დროებით შეჩერდა უცხოელებზე, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების მინიჭება. ეს შეზღუდვა ძალაში იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 24 ივნისის განჩინების მიღებამდე. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ მყიდველი იყო რუსეთის მოქალაქე და მოსარჩელე, ყადაღის არარსებობის პირობებშიც კი, ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ვერ გაყიდდა.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმებამდე ყურადღებას გაამახვილებს მოცემული საქმის არსებითად განსახილველად დაშვების საკითხზე, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტის 2018 წლის 18 დეკემბრის განჩინების თანახმად, საჩივრის განსახილველად მიღების წინაპირობას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი წარმოადგენდა, შესაბამისად, წინამდებარე განჩინებაში საკასაციო პალატა იმსჯელებს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის საკითხსა და მათ არსებითობაზე საქმეზე მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიმართ, კერძოდ, არსებობს თუ არა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, ასევე, 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

1.3.2. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების სპეციალურ სახეს წარმოადგენს და იგი არა ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესებით, არამედ – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგულირდება (თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად), რაც იმას ნიშნავს, რომ:

ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის გამოყენებული უნდა იყოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება;

ეს ღონისძიება უნდა იყოს გაუმართლებელი;

უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად უნდა არსებობდეს ზიანი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

ამ ფაქტების მითითება და მტკიცება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება მოსარჩელეს. ის გარემოება, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად გვევლინება საპროცესო სამართლის ნორმა, არსებითად არ ცვლის ვითარებას. აღნიშნული საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია და სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების მხოლოდ მასზე დამყარება არ ეწინააღმდეგება მართლწესრიგის პრინციპებს. ეს ნორმა მნიშვნელოვანია იმ კონტექსტშიც, რომ იგი ერთი მხრივ, მოსამართლეს აძლევს პრევენციული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას – ზიანის აშკარა საფრთხის შემთხვევაში, მხარეს შეიძლება

დაეკისროს მისი უზრუნველყოფა, ამასთანავე, პირს, რომლის ინტერესების დაცვასაც ემსახურება უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, განემარტება ამ ღონისძიებების გაუმართლებლობის გამო შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა.

1.3.3. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მიერ წარმოდგენილ სასამართლო მეგობრის დასკვნაში გადმოცემულ მსჯელობას ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადებისა და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ბეს ხელშეკრულებით უზრუნველყოფის შესაძლებლობის თაობაზე და ამ საკითხთან მიმართებით ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ გარემოებაზე, რომლის თანახმადაც 2013 წლის 8 თებერვალს მოსარჩელესა და მყიდველს შორის გაფორმდა ე.წ წინასწარი ხელშეკრულება, რომლის პირველი და მე-8 პუნქტებით მხარეებმა აიღეს ვალდებულება, 2013 წლის 31 ოქტომბრამდე დაედოთ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხსენებული გარიგება დადებულია წერილობითი ფორმით. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ სამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება (წინარე ხელშეკრულება). ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დაფალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად (არარად) ჩაითვლება. წინარე ხელშეკრულება კონტრაპირების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე. მითითებული სპეციფიკის გარდა, წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება წერილობითია, მასში მოცემულია გარიგების საგანი, ფასი, ძირითადი ხელშეკრულების დადების პირო-

ბა და ვადა (სკ-ის 477-ე მუხლით განსაზღვრული არსებითი პირობები), რაც იმას ნიშნავს, რომ გარიგება ფორმალური თვალსაზრისით აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნას. საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკით დადგენილია ისიც, რომ გარიგების ფორმის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 68-ე-71-ე მუხლებში. 68-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. გარიგების ძირითადი ფორმებია ზეპირი და წერილობითი ფორმა, ხოლო წერილობითი გარიგება, თავის მხრივ შეიძლება იყოს მარტივი ან რთული (სანოტარო) სახის. სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის გადაცემისათვის ადგენს მხოლოდ წერილობით ფორმას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, 9 დეკემბერი, 2013 წელი). რაც შეეხება სსკ-ის 183-ე მუხლში ასახულ მითითებას წერილობითი გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული არ უკავშირდება გარიგების ფორმას, არამედ მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით წერილობით გაფორმების შემდეგ, მოპოვებული საკუთრების უფლების აღრიცხვა პუბლიცირებულ უფლებათა ანუ საჯარო რეესტრში უნდა მოხდეს (იხ. სუსგ №ას-202-191-2017, 27 სექტემბერი, 2017 წელი, პ.პ. 31). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოსარჩელის მიერ დადებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება ფორმალური თვალსაზრისით სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

1.3.4. რაც შეეხება ბეს ხელშეკრულებას, საკასაციო პალატამ უკვე აღნიშნა, რომ თეორიული თვალსაზრისით ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა დასაშვებია ბეს ხელშეკრულებით. თუმცა, ბეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების წარმატებისათვის სავალდებულოა თავად ამ ხელშეკრულების ნამდვილობის შემოწმება. ამ მხრივ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დარღვევის თაობაზე და განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც სასამართლო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, იკვლევს მოთხოვნის წინაპირობის ნამდვილობას, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების საფუძ-

ვლიანობის დადგენისას, იქნება ეს შესრულება თუ მეორადი მოთხოვნები, სასამართლო ვალდებულია, პირველ რიგში დაადგინოს ხელშეკრულების არსებობა, ხოლო, ამ საკითხის გადანყვევების შემდგომ გადაჭრას საკითხი სახელშეკრულებო, კანონისმიერი თუ რომელი საფუძვლით შეიძლება იყოს გამართლებული მოსარჩელის პრეტენზია დარღვეული უფლების რესტიტუციის თაობაზე.

1.3.5. ხსენებული განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მხედველობაში იღებს ბეს ხელშეკრულების დადების მარეგულირებელ სამართლის დანაწესებს. სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, ბე წარმოადგენს არა დამოუკიდებელ გარიგებას, არამედ, იგი უზრუნველსაყოფი ვალდებულების ნაწილი, აქცესორული უფლებაა, რომელიც არსებობს ძირითად ვალდებულებასთან ერთად და ემსახურება ამ ვალდებულების არსებობის დადასტურებას/შესრულებას. სწორედ მისი აქცესორული ბუნება და სამართლებრივი დატვირთვა განაპირობებს იმას, რომ ბეზე შეთანხმებისას მხარეები ამავდროულად ათანხმებენ ხელშეკრულების არსებობის პირობებს. სამართლის თეორიაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ბეს ლეგალურ დეფინიციაში მითითებულია, რომ მისი მთავარი ფუნქციაა ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურება (მტკიცების ფუნქცია), თუმცა, მხოლოდ აღნიშნული არ არის ბეს ფუნქცია; მას აქვს კიდევ 2 მნიშვნელოვანი ფუნქცია: ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისა და საგადამხდელო ფუნქციები. პირველი ფუნქციის სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს და ბეს თანხა ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში; ხოლო თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მაშინ მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, არ გამოირიცხება ბეს მიმცემის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (423). მეორე ფუნქციის სამართლებრივი შედეგი კი მდგომარეობს იმაში, რომ ბეს თანხა, როგორც წესი, ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში (422) (იხ. <http://www.gccc.ge/>).

1.3.6. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ბეს ხელშეკრულების დადების თაობაზე კასატორის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს მეგობრის დასკვნაში გადმოცემულ თეორიულ მსჯელობას, თუმცა, თავად სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ბეს ხელშეკრულების დადებულად მიჩ-

ნებისათვის სავალდებულოა არა მხოლოდ ხელშეკრულების წერილობით დადების ფაქტის დადასტურება, არამედ – ბეს თანხის გადაცემის დამტკიცება. როგორც მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური, ისე – საპროცესო ნორმებიდან გამომდინარე (სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები), თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მოპასუხემ ეჭვქვეშ დააყენა ხელშეკრულების დადება მათ შორის თანხის რეალურად გადაცემის თვალსაზრისით და ამ გარემოებას არც კასატორი უარყოფს საკასაციო საჩივრით, შესაბამისად, სადავო ფაქტს წარმოადგენს და მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა ბეს რეალურად მიღება. ამ მხრივ, მართალია, თავად სადავო ხელშეკრულება შეიცავს დათქმას თანხის მოწმეთა დასწრებით გადაცემის თაობაზე, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც მოთხოვნის წარმატებას თავად თანხის რეალურად გადაცემის ფაქტი განაპირობებს, ხოლო, გადაცემა შედაგებულია მესამე პირის მიერ, ხელშეკრულების ზემოხსენებული ჩანაწერი და თანხის გადაცემის თაობაზე მოწმის ჩვენება არასაკმარისია ფაქტის მტკიცებისათვის, ამ შემთხვევაში მოსარჩელე, როგორც მტკიცების ტვირთის მატარებელი მხარე, ვალდებულია სასამართლოს შესთავაზოს უფრო სარწმუნო მტკიცება იმგვარად, რომ წარდგენილი თუნდაც არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოშობდეს სასამართლოს შინაგან რწმენას თანხის რეალურად გადახდის თაობაზე. ამ მხრივ, მართალია, კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს საოქმო ჩანაწერების არასაკმარისი შეფასების თაობაზე, თუმცა, კასატორის შედაგებათა გაზიარების შემთხვევაშიც კი, განსახილველი სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შედაგება არ ამსუბუქებს მოსარჩელის მტკიცებას სარწმუნოდ დაადასტუროს ბეს თანხის რეალურად მიღების ფაქტი. უდავოა, რომ ამგვარი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება და ვერც კასატორი მიუთითებს მასზე.

1.3.7. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის თაობაზე, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 28 ივნისს შეტანილი ცვლილებით გამოცხადებული ე.წ მორატორიუმი 2014 წლის 31 დეკემბრამდე აფერხებდა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ასევე აბრკოლებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შესრულების ბეს ხელშეკრულებით უზრუნველყოფის ფაქტის დამტკიცების შემთხვევაში, შეფასება უნდა მიეცეს არა ზემოხსენე-

ბულ საკანონმდებლო შეზღუდვას, არამედ იმას, რომ ვალდებულების შესრულება გამოიწვია სარჩელის გაუმართლებელმა უზრუნველყოფამ, ამ შემთხვევაში უმთავრესია ის, რომ: ზემოხსენებული კანონი აჩერებდა და არ უარყოფდა სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისების შესაძლებლობას; შეზღუდვა შეეხებოდა წინარე ხელშეკრულების ერთ-ერთ და არა ორივე საგანს; ბეს ორმაგად დაბრუნება ვალდებულების არა ნებისმიერი, არამედ ბრალეული შეუსრულებლობის შემთხვევაშია დასაშვები (სკ-ის 423.2 მუხლი).

1.4. გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების პროცესუალური დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობით გამოწვეული მოთხოვნის წინაპირობები ნაწილობრივ დასტურდება, თუმცა, კასატორი ვერ ამტკიცებს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ბეს ხელშეკრულების რეალურად დადების ფაქტს (ბეს მიღება), ასეთ შემთხვევაში კი, შეუძლებელია მსჯელობა ბეს ორმაგად დაბრუნების ფაქტსა და ამ მხრივ თანხის ნახვევრის ოდენობით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების თაობაზე. ვინაიდან განსახილველი სარჩელის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა – ზიანის თვალსაზრისით საკასაციო საჩივარი არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ დასაბუთებულ შედეგებს, პალატა უარყოფს მხარის მოთხოვნას და ამავე კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს ერთვის იპოთეკის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც მხარეს სურს ზიანის თაობაზე მოპასუხის ინფორმირების ფაქტის მტკიცება. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენს, ამ ინსტანციაში მტკიცებულებათა წარმოდგენა ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნებას. შემოწმების ფაქტობრივი საფუძვლები, საკასაციო წარმოებისას შემოიფარგლება ქვემდგომ სასამართლოებში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების სისწორითა და გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში გადმოცემული მოსაზრებებით. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ კასატორს უარი უნდა ეთქვას დოკუმენტების მიღებაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-

ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უნდა დაუბრუნდეს ისინი.

3. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, ის უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 407-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. ზ. მ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 14 (თოთხმეტი) ფურცლად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-410-2021

29 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2018 წლის 21 აგვისტოს სამკვიდრო მონუმობის თანახმად, ნ. ჯ-ლი (შემდეგში – მოსარჩელე, კასატორი ან მემკვიდრე) ლ. კ-ის (შემდეგში – მამკვიდრებელი, გამყიდველი ან კრედიტორი) ერთადერთი კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილადა ცნობილი შემდეგი გარემოებები:

2013 წლის 5 ნოემბერს, მამკვიდრებელსა და თ. ა-ლს (შემდეგში – მყიდველი, მოვალე ან მოპასუხე, რომელმაც შემდეგში გვარი შეიცვალა და ამჟამინდელი გვარით, ტ-ია) შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდეგში – ნასყიდობის ხელშეკრულება ან სადავო ხელშეკრულება) დაიდო, რომლითაც, მყიდველმა, გამყიდველისგან, 25 000 აშშ დოლარად იყიდა, ამ უკანასკნელის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება – ქ. თბილისში, ...-ის დასახლებაში, მე-... მ/რ-ის მე-... კორპუსში მდებარე №...-ე ბინა (შემდეგში – უძრავი ნივთი, ნასყიდობის საგანი ან სადავო ბინა).

3. უძრავი ქონებაზე მყიდველის საკუთრების უფლებაა დარეგისტრირებული.

4. 2018 წლის 21 აგვისტოს სამკვიდრო მონუმობის შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრემ (მეუღლე), 2018 წლის 17 იანვარს გარდაცვლილი მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონება მიიღო.

5. მოგვიანებით, მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მოპასუხის წინააღმდეგ, რომლითაც ამ უკანასკნელისათვის, მის

სასარგებლოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის – 25 000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 17 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

8.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის 25 000 აშშ დოლარის მიკუთვნების საფუძველი არ არსებობდა.

ზემომოთხილებული დასკვნის ჩამოყალიბებისას, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმეზე დადგენილად მიჩნეული კიდევ რამდენიმე გარემოება, კერძოდ:

1). გამყიდველსა და მყიდველს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება 2013 წლის 5 ნოემბერს დაიდო, რაც სანოტარო წესით დამოწმდა. სანოტარო აქტში მითითებულია, რომ მხარეებს ხელშეკრულება ნოტარიუსმა წაუკითხა, იგი თავადაც წაიკითხეს და ნოტარიუსის თანდასწრებით მასზე ხელმოწერის ნება გამოხატეს.

2) 2018 წლის 17 იანვარს გამყიდველი გარდაიცვალა. ხელშეკრულების დადებიდან მის გარდაცვალებამდე, გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულება საცილოდ არ გაუხდია, საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც გამყიდველის მიერ მყიდველის წინაშე რაიმე სახის პრეტენზიის წარდგენა დადასტურდებოდა.

3) თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის კანონიერ ძალაში შესული განჩინების (რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა) მიხედვით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გამყიდველის გარდაცვალებამდე მყიდველი სადავო ქონებას არ დაუფლენია, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ერთადერთი საფუძველი ვერ გახდებოდა. ამასთან, დასახელებულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთის ნათესავები იყვნენ, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხულმა პირებმა ნათესავების/ახლობლების მხრიდან მამკვიდრებლის, როგორც ხანდაზმული, ავადმყოფი ნათესავის მიმართ მზრუნველობაზე მიუთითეს, რაც მისი მხრიდან საკვებით თუ სხვა

საყოფაცხოვრებო საჭიროებებით უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. განსახილველი საქმის მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო გარიგება თვალთმაქცური გარიგებების რიგს მიეკუთვნებოდა, ვინაიდან მხარეთა გამოვლენილი ნება ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას არ მიემართებოდა, არამედ ხელშეკრულების მიზანი სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების შედგენა იყო.

4) მხარეები არ დავობდნენ და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებითაც დგინდებოდა, რომ მამკვიდრებელი (გამყიდველი) სოციალურად დაუცველი პირების ერთიან ბაზაში ირიცხებოდა, შემოსავალი არ გააჩნდა, მისი მეუღლე (მოსარჩელე) დღეის მდგომარეობითაც სოციალურად დაუცველ პირთა რეესტრში ირიცხება. გარდა ამისა, მამკვიდრებელს ონკოლოგიური დაავადება ჰქონდა, რის გამოც ძვირადღირებულ მკურნალობას, მოვლას და პატრონობას საჭიროებდა.

5) საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ე. კ.-ის განცხადების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება კანონის შესაბამისად გაფორმდა, სანოტარო ბიუროში გამყიდველი თავად იმყოფებოდა და მან ნება გამოხატა, რომ უძრავი ქონება მყიდველისათვის მიეყიდა. მოწმის ჩვენებით, გამყიდველს თანხა სადავო ბინაში გადაეცა, რაც თავად გამყიდველის სურვილი იყო, თანხის გადაცემის ხელწერილი საქმეში არ მოიპოვება, თუმცა, როგორც მოწმე აცხადებს ხელწერილის ჩამორთმევის არანაირი წინაპირობა მხარეთა შორის არ ყოფილა, რადგან ისინი ერთმანეთისადმი ნდობით სარგებლობდნენ. რაც შეეხებოდა გადაცემული თანხის მახასიათებლებს, მოწმემ განაცხადა, რომ, რთულია, აღდგენა – რა კუპიურები გადაეცა 2013 წელს მამკვიდრებელს, დაახლოებით განაცხადა, რომ გადაცემული თანხიდან უმეტესობა 100 დოლარიან კუპიურებს შეადგენდა.

8.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო იმ გარემოების დასადგენად, რომ მყიდველმა ნასყიდობის საფასური გადაიხადა, თუმცა მიმდინარე დავასა და მხარეთა შორის სამოქალაქო წესით წარმოებულ სხვა დავებში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მყიდველის მიერ თანხის საფასურის გადახდა/არგადახდის საკითხი სამართლებრივ მნიშვნელობას კარგავდა, შემდეგი მოტივაციის გათვალისწინებით:

მესაკუთრის მფლობელობიდან სადავო უძრავი ნივთის ნების საწინააღმდეგოდ გასვლის ფაქტი არც სადავო არ გამხდარა და არც სასამართლოში აქამდე წარმოებულ დავებში არ დადგენილა. ამასთან, საქმის მასალებში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ იკვეთებოდა, რომ, გამყიდველს, მის სიცოცხლეში, მყიდველისთვის უძრავი ქონების გადაცემის სურვილი/ნება არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მამკვიდრებელს თავისი საკუთრების განკარგვა სხვადასხვა ფორმით შეეძლო, როგორცაა უსასყიდლოდ გადაცემა (ჩუქება) ან ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა, თუმცა შემდგომ საფასურის პატიება (ვალის პატიება); ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და შემდგომ სხვა შესრულების მიღება (ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულებით).

ამდენად, მართალია, თანხის გადაცემის თაობაზე მოპასუხეს რელევანტური მტკიცება არ წარუდგენია, თუმცა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მტკიცების ნაკლი, გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, საქმის შედეგის მიმართ არარელევანტურად ჩათვალა.

რაკი საქმეზე დადგინდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება 2013 წელს დაიდო, გამყიდველი 2018 წელს გარდაიცვალა, ხოლო მყიდველი გამყიდველზე სიცოცხლის განმავლობაში ზრუნავდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ გამყიდველმა ფულადი თანხის შესრულების სანაცვლოდ სხვა შესრულება – სიცოცხლის განმავლობაში უძრავ ქონებაში ცხოვრების უფლება და სიცოცხლის მანძილზე მოვლა-პატრონობა მიიღო, რითიც 2013 წლის 5 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით მოპასუხისთვის წარმოშობილი ვალდებულება შესრულებით შეწყდა. აღნიშნული გარემოება კი, წინამდებარე სარჩელს სამართლებრივ საფუძველს აცლიდა და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ-ის 477-ე, 427-ე მუხლები).

8.3. ამავდროულად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო; კერძოდ, სსკ-ის 129.1 მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია, ხოლო ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველი დავა შეეხებოდა არა უძრავი ქონებიდან წარმოშობილ მოთხოვნას, არამედ სახელშეკრულებოსამართლებრივი საფუძველიდან წარმოშობილ მოთხოვნას ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე. ამდენად, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად (ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად) 2013 წლის 5 ნოემბერი უნდა მიჩნეულიყო.

ვინაიდან სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია, უნდა დავასკვნათ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2016 წლის 5 ნოემბრის შემდეგ უკვე ხანდაზმული იყო, სარჩელი

კი, მოსარჩელემ 2019 წლის 31 ივლისს აღძრა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განსჯით, მოპასუხის მიერ მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენის პირობებში, მოსარჩელის მოთხოვნა განუხორციელებელი უნდა დარჩენილიყო.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ საკასაციო საჩივარი შემოიტანა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგი დასაბუთებით:

9.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 428-ე მუხლი. ამ მუხლის გამოყენების საფუძველი მაშინ იარსებებდა, თუკი საქმეზე უტყუარად დადგინდებოდა, რომ ნასყიდობის მხარეები სხვა შესრულებაზე შეთანხმდნენ ან აღნიშნული გარემოება კონკლუდენტური მოქმედებით გამოიხატებოდა. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხულმა პირებმა (ნათესავები/ახლობლები) მიუთითეს მამკვიდრებლის (როგორც ხანდაზმულისა და ავადმყოფის) მიმართ მზრუნველობაზე, მაგრამ მოწმე ე. კ-ის ჩვენების მიხედვით, გამყიდველს ნასყიდობის საფასური სადავო ბინაში გადაეცა, თუმცა მხარეთა შორის ნათესაური კავშირისა და ურთიერთნდობის გამო, ხელწერილის ჩამორთმევის წინაპირობა არ არსებობდა.

9.2. სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლებით განსაზღვრულია ამა თუ იმ ფაქტის დადასტურებისათვის განკუთვნილი მტკიცებულების სახეები, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ამასთან, არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი თავად უთითებს მხარეს, რომ კონკრეტული ფაქტის დასადასტურებლად წარადგინოს მატერიალური კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული მტკიცებულება, ამის მაგალითია სსკ-ის 429.1 მუხლი. იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის თანხის გადახდის დამადასტურებელი გარემოების მტკიცების ტვირთი მყიდველს ეკისრება, შესაბამისი მტკიცებულება შეიძლება იყოს, მის მიერ გამყიდველისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება კანონსაწინააღმდეგოა.

9.3. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობის ნაწილიც, რასაც ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე მიღებული განჩინება (სუსგ, №ას-1344-2018, 5.04.2019).

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 მაისის განჩინებით, საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საკასაციო პალატის განხილვის საგანი შემდეგია: რამდენად კანონიერია მოსარჩელის მოთხოვნა მისი, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის (მყიდველი) ნასყიდობის საფასურის დაკისრების თაობაზე.

12. სააპელაციო სასამართლომ, ზემოთითთქებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა, რაც ორი ძირითადი მოსაზრებით დაასაბუთა, კერძოდ:

1). მართალია, თანხის გადაცემის თაობაზე მოპასუხეს (მყიდველი) სათანადო მტკიცება არ წარმოუდგენია, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მტკიცების ნაკლი, გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, საქმის შედეგის მიმართ არარელევანტურად ჩათვალა. რაკი საქმეზე დაადგინა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება 2013 წელს დაიდო, გამყიდველი 2018 წელს გარდაიცვალა, ხოლო მყიდველი გამყიდველზე სიცოცხლის განმავლობაში მზრუნველობდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ გამყიდველმა ფულადი თანხის შესრულების სანაცვლოდ სხვა შესრულება – სიცოცხლის განმავლობაში უძრავ ქონებაში ცხოვრების უფლება და მოვლა-პატრონობა მიიღო, რითაც 2013 წლის 5 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით მოპასუხისათვის წარმოშობილი ვალდებულება შესრულებით შეწყდა;

2). განსახილველი დავა შეეხებოდა არა უძრავი ქონებიდან წარმოშობილ მოთხოვნას, არამედ სახელშეკრულებოსამართლებრივი საფუძვლიდან წარმოშობილ მოთხოვნას, ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე, რაზეც სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება (სსკ-ის 129.1 მუხლის პირველი წინადადება). მოცემულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის წარმოშობის მომენტად (ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად) 2013 წლის 5 ნოემბერი (ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თარიღი) უნდა მიჩნეულიყო. ვინაიდან, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2016 წლის 5 ნოემბრის შემდეგ უკვე ხან-

დაზმული იყო.

13. საკასაციო პალატა, სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილ მსჯელობას ვერ გაიზიარებს, რასაც შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებს:

13.1. სსკ-ის 427-ე მუხლი, რომელიც სხვა შესრულების მიღებით ვალდებულების შეწყვეტის წესს ითვალისწინებს, ასეთი შინაარსისაა: ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას. ამ მუხლის შინაარსი იმის მაუწყებელია, რომ შესაბამისი საფუძვლით ვალდებულების შეწყვეტის აუცილებელი წინაპირობაა – მოვალის მიერ გარკვეული ვალდებულების შესრულება, რომელიც, ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულება არ არის, თუმცა, კრედიტორი, მას, ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების სა-ნაცვლოდ იღებს.

ზემოხსენებული ნორმის ანალიზისას, ერთი გარემოებაა საყურადღებო, შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებით ვალდებულებით შეწყვეტაზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ, ასეთი სახის შეთანხმებას დამხმარე ხასიათის გარიგებას უწოდებენ. ამასთან, მხარეთათვის პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება, რომ წერილობით დეტალურად შეთანხმდნენ ვალდებულების თავდაპირველი შესრულების სანაცვლო შესრულების პირობებზე, რათა სამომავლოდ, ვალდებულების შეწყვეტის სადავოობისას, თავიდან იქნეს არიდებული უთანხმოებები (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2019).

13.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც ვალდებულების თავდაპირველი შესრულების სანაცვლო შესრულებაზე შეთანხმების არსებობა საქმეზე არ დგინდება, ხოლო განსახილველი სარჩელით მოვალის (მყიდველი) მხრიდან ვალდებულების შესრულება კრედიტორის მემკვიდრის მიერ შედავებულია, დღის წესრიგში შემდეგი საკითხების გამორკვევის მიზანშეწონილობა დგება: 1). არსებობდა თუ არა სანაცვლო შესრულებაზე შეთანხმება, სადავო ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს შორის; 2). არის თუ არა, „სხვა შესრულება“, მოვალის მიერ „შესასრულებელი ვალდებულების“ შესატყვისი.

უფრო კონკრეტულად, რომ ითქვას: სიცოცხლის განმავლობაში უძრავ ქონებაში ცხოვრების უფლებისა და ამავე პერიოდში მოვლა-პატრონობის მოსარჩელის მემკვიდრეობის მიერ მიღება, შესაძლებელია, თუ არა, შეფასდეს, როგორც მოპასუხის მიერ შესასრულებელი ვალდებულების (ნასყიდობის საფასურის, 25 000 აშშ დოლარის) ტოლფასი ქმედება; თუკი ეს ასეა, მაშინ რა გარემოებე-

ბი განაპირობებს იმ მოსაზრებას, რომ მოვალის „სხვა შესრულება“, მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების თანაბარღირებულის ქმედებაა.

13.3. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა კრედიტორის მიერ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტის თაობაზე, თუმცა, არ გამოურკვევია, შესასრულებელ ვალდებულებასთან მისი ტოლფასობის საკითხი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტის შესახებ დაფუძნებულია გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მყიდველი გამყიდველზე სიცოცხლის განმავლობაში ზრუნავდა.

მითითებული დასკვნის გაკეთებისას, სააპელაციო სასამართლო, ძირითადად, მოწმეთა ჩვენებებს დაეყრდნო.

ამავდროულად, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმეზე წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებით (რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება) დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთის ახლო ნათესავები იყვნენ და კრედიტორი მოვალეზე, როგორც ხანდაზმულ ავადმყოფზე, მზრუნველობდა.

მოცემული საკითხის შეფასებისას, გასათვალისწინებელია ხსენებული განჩინების ის ნაწილიც, სადაც აღნიშნულია, რომ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს, გამყიდველზე მყიდველის ოჯახიც და სხვა ნათესავებიც ზრუნავდნენ, მათ შორის, მისი დაკრძალვის ხარჯები ნათესავებმა/ახლობლებმა გაიღეს.

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ სანაცვლო შესრულებაზე შეთანხმების არსებობის ფაქტზე თავად მოპასუხეს თავის შესაგებელში არ მიუთითებია. მისი განმარტებით, გამყიდველის მხრიდან უძრავი ქონების მოპასუხეზე გასხვისება მიზნად იმას ისახავდა, რომ ეს უკანასკნელი გამყიდველს სიცოცხლის ბოლომდე სადავო ბინაში ცხოვრების უფლებას მისცემდა, რის შემდეგაც მოსარჩელე (გამსხვისებლის მეუღლე, რომელთანაც, მოპასუხის მითითებით, გამყიდველს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა) თავის შვილებთან წავიდოდა.

პალატის მოსაზრებით, შექმნილ ფაქტობრივ მოცემულობაში სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელახალ გამოკვლევასა და შე-

ფასებას საჭიროებს, თუ რა მტკიცებულებებსა და გარემოებებზე დაყრდნობით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მოპასუხის მიერ გამოცხადებულზე განუთლი ზრუნვა, მის მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდის ნაცვლად განუთლი ზრუნვაა, რომელიც გამოცხადებულმა სწორედ ამ ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ მიიღო.

13.4. გარდა ამისა, საქმის გარემოებების ხელახალ დადგენასა და შეფასებას საჭიროებს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ნაწილი. ამ კუთხით, საყურადღებოა, შემდეგი საკითხი:

სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სსკ-ის 129.1 მუხლითაა მოწესრიგებული. ამ ნორმის პირველი წინადადება სახელშეკრულებო მოთხოვნების სტანდარტულ სამწლიან ვადას განსაზღვრავს, რომელიც ყველა იმ სახელშეკრულებო მოთხოვნისთვისაა დადგენილი, რომლისთვისაც კანონი სპეციალურ ვადას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება ნორმის მეორე წინადადებას, მის შესაბამისად, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა ექვს წელს შეადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, შემდეგ მოსაზრებას ემყარება: განსახილველი დავა შეეხება არა უძრავი ქონებიდან წარმოშობილ მოთხოვნას, არამედ სახელშეკრულებოსამართლებრივი საფუძვლიდან წარმოშობილ მოთხოვნას, ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე, რაზეც სსკ-ის 129.1 მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება.

საკასაციო პალატა, სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რამდენადაც სსკ-ის 129.1 მუხლის მეორე წინადადების შინაარსის სადავო შემთხვევასთან ერთობლიობაში განხილვა, საკითხის ამგვარად განმარტების შესაძლებლობას გამორიცხავს.

შემოსენებული მუხლით, კანონმდებელმა, პირველ წინადადებაში მითითებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისგან გამიჯნა იმ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა, რომლებიც უძრავ ნივთებთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებებს და აქედან წარმოშობილ მოთხოვნებს უკავშირდება.

ეს გარემოება იმის მაუწყებელია, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა, მათ შორის, მოთხოვნა ასეთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სსკ-ის 129.1 მუხლის მეორე წინადადების რეგულირების ქვეშ მოექცა.

უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება (რომლის ნასყიდობის ფასის მოპასუხისათვის დაკისრებასაც მემკვიდრე განსახილ-

ველი სარჩელით მოითხოვს) ორმხრივმავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რადგან ხელშეკრულების თითოეულ მხარეს (როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს) გააჩნია უფლება-მოვალეობები, ანუ ნასყიდობაში ადგილი აქვს, მხარეთა შემხვედრი ვალდებულებების არსებობას: გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთისა და ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა და მყიდველის მიერ შეთანხმებული ფასის გადახდა.

ეს ორი ვალდებულება ერთმანეთს განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდა, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. შესაბამისად, მასზე სსკ-ის 129.1 მუხლის ის მოწესრიგება უნდა გავრცელდეს, რომელიც სწორედ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ექვსწლიან ვადას განსაზღვრავს.

13.5. ზემომითითებულ საკითხს ეხმიანება, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თავის ერთ-ერთ განჩინებაში, სადაც განმარტებულია, რომ: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა მოთხოვნებთან დაკავშირებით (მყიდველისათვის ნაყიდი ნივთისა და ამ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა, ხოლო მყიდველის მიერ შეთანხმებული ფასის გადახდა) ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის დაწყებისათვის დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 130-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესები (სუსგ, №ას-1344-2018, 5.04.2019).

საკასაციო სასამართლოს ხსენებული განმარტება, წინამდებარე განჩინებაში განვითარებულ მსჯელობასთან თანხვედრაშია. ამასთან, საკითხისადმი საწინააღმდეგო მიდგომის გავრცელების პირობებში, სსკ-ის 129.1 მუხლის მეორე წინადადების მოწესრიგების სფერო მნიშვნელოვნად დავინროვდება, რაც მართებული არ იქნება.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების შესრულების მიღება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1965-2018

23 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ბ. ი-ისა“ (შემდეგში: მოპასუხე, მენარდე, აპელანტი ან კასატორი) და ს.ს.გ.დ-ტს (შემდეგში: შემკვეთი ან შემსყიდველი) შორის 2015 წლის 23 სექტემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების №122-15 ხელშეკრულება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-20) ბ-ბ-ა-ის საავტომობილო გზის კმ11+000-კმ13+200 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოებზე, ხელშეკრულების ღირებულება 853 977 ლარით განისაზღვრა.

2. ხელშეკრულების 2.13 პუნქტის თანახმად, ანაზღაურებული იქნებოდა მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის, შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე უშუალოდ შემსყიდველისა და საამისოდ შერჩეული პირის (შპს „გ-ი“, შემდგომში: ს. ო-ა) მიერ დადასტურებული აქტი იარსებებდა.

3. ხელშეკრულების 10.2 პუნქტის თანახმად მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებდნენ თავიანთი სახელით, ხარ-

ჯებითა და რისკით.

4. მენარდესა და შპს „ა-ი“-ს (შემდეგში: მოსარჩელე, ქვემენარდე) შორის, 2015 წლის 25 სექტემბერს, დაიდო მომსახურების ხელშეკრულება NBI-S-009 შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-20) ბ-ბ-ა-ის საავტომობილო გზის კმ11+000-კმ13+200 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების განხორციელების შესახებ, ხელშეკრულების ღირებულება 500 000 ლარით განისაზღვრა.

5. ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების ვადა 23.09.2015წ–30.11.2015წ. პერიოდით განისაზღვრა; 07.12.2015წ. შეთანხმებით ვადამ გადაინა 2016 წლის 10 მარტამდე, ხოლო 10.03.2016 წლის შეთანხმებით კი აღნიშნული ვადა 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით განისაზღვრა.

6. ამავე ხელშეკრულების 2.6 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო ქვემენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ შეადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, მენარდე (განსახილველი დავის მოპასუხე – იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) ქვემენარდეს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას აუნაზღაურებდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად.

7. ამავე ხელშეკრულების 2.8 პუნქტის თანახმად, სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით მენარდის (მოპასუხის) მიერ ყოველთვიურად დაკავებული იქნებოდა შესრულებული სამუშაოების ღირებულების 15%, საიდანაც 5%-ის დაბრუნება მოხდებოდა სამუშაოს სრული დასრულებისა და მენარდის (მოპასუხის) მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულების 10%-ის ანაზღაურება საგარანტიო ვადის 2.5 წლის გასვლის შემდეგ მოხდებოდა.

8. ამავე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, ქვემენარდის (მოსარჩელის) მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობების მიღების აქტი) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდეგ. 4.3 პუნქტის თანახმად კი, შესრულებული სამუშაოების შემონმებასა და მიღება-ჩაბარებას განახორციელებდა უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირი – ს. ო-ა (შპს „გ-ი“ – იხ. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტი), რომელიც ადგილზე შეამოწმებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასა და ხარისხს.

9. ამავე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრუ-

ლების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის დამრღვევი მხარე ვალდებული იყო, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე, გადაეხადა პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 1% არა უგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყო დარღვეული უფლებების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

10. მოსარჩელესა (ქვემენარდესა) და მოპასუხეს (მენარდეს) შორის, 2016 წლის 30 ივნისს, გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება NBI-S-009, ბს მუნიციპალიტეტში გზა №1: სოფელ ...-დან სამონასტრო კომპლექსამდე და გზა №2 სოფლის ცენტრიდან წალვერისკენ მიმავალი მონაკვეთის 7 060 კვ/მ საავტომობილო გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების განხორციელებაზე, ხელშეკრულების ღირებულება 261 220 ლარით განისაზღვრა.

11. ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტის თანახმად, ანგარიშსწორება მოხდებოდა ეტაპობრივად ან ერთიანად, დადასტურებული მოცულობების და ხელშეკრულების 4.2 მუხლით განსაზღვრული პროცესების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და ამის შედეგად გამოწერილი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურის გაფორმების საფუძველზე, ამ უკანასკნელის წარდგინიდან 14 დღის განმავლობაში.

12. ამავე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, მომსახურების დასრულების ან/და შემსრულებლის მიერ ეტაპობრივად წარმოდგენილი სამუშაოების შემდგომ, მხარეთა შორის მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტში გაწეულ მომსახურებას უნდა დაეკმაყოფილებინა დამკვეთისა (ამ შემთხვევაში მენარდის, რომელიც მოპასუხეა) და პროექტის მოთხოვნები. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მენარდის (მოპასუხის) მიერ წარდგენილი სამუშაო შემოწმდებოდა და მიღებულად ჩაითვლებოდა მაკონტროლებელი კომპანია (ILF) (რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დაქირავებულ საინჟინრო კომპანიას წარმოადგენს) მიერ. ქვემენარდის (მოსარჩელის) მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ შესაბამისი მაკონტროლებელი კომპანიის მიერ გამოშვებული აქტის და შემდგომ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდეგ.

13. მოსარჩელესა (ქვემენარდესა) და მოპასუხეს (მენარდეს) შორის, 2016 წლის 30 ივნისს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების 5.1 „ა“ პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო

02.07.2016წ-18.07.2016წ. (ჩათვლით) პერიოდის განმავლობაში.

14. ამავე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის დამრღვევი მხარე ვალდებული იყო, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე, გადაეხადა პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 1% არა უგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყო დარღვეული უფლებების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

15. მენარდესა (მოპასუხესა) და შპს „ა-ი“-ს (შემდეგში: მოსარჩელე, ქვემენარდე) შორის, 2015 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულებით (იხ. წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტი) გათვალისწინებული სამუშაოების კომისიის მიერ მიღება-ჩაბარება მოხდა 2016 წლის 17 ივნისს ღირებულებით – 853473.58 ლარი.

16. მენარდესა (მოპასუხესა) და ქვემენარდეს (მოსარჩელეს) შორის 2015 წლის 25 სექტემბერს დადებული მომსახურების ხელშეკრულების NBI-S-009 მიხედვით (შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-20) ბ-ბ-ა-ის საავტომობილო გზის კმ11+000-კმ13+200 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების განხორციელების შესახებ), 2017 წლის 17 ივნისის მდგომარეობით, მენარდეს ქვემენარდის მიმართ 390 775.08 ლარის დავალიანება გააჩნდა.

17. მოპასუხემ (მენარდემ) სოფელ ...დან სამონასტრო კომპლექსის მიმართულებით 1.2 კილომეტრი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა 2016 წელს. ამ სამუშაოების სრული ღირებულება – 433 201,60 ლარი მოპასუხეს აუნაზღაურდა იმავე წლის 31 ივლისს.

18. სასარჩელო მოთხოვნა

18.1. ქვემენარდემ 2016 წლის 30 დეკემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს მენარდის წინააღმდეგ და მოითხოვა, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 390 775 ლარის გადახდა დაეკისროს, ასევე მიეყენებული ზიანის – 40 000 ლარის, პირგასამტეხლოს – 200 000 ლარისა და უსაფუძვლო გამდიდრებიდან მიღებული სარგებლის 75 000 ლარის გადახდა.

19. მოპასუხის შესაგებელი

19.1. მოპასუხემ (მენარდემ) წერილობით წარდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო.

20. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

20.1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქვემენარდის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მის სასარგებლოდ მოპასუხეს (მენარდეს) 390 775 ლარისა და პირგასამტეხლოს – 3907.75 ლარის გადახდა დაეკისრა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

21. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

21.1. მოპასუხემ (მენარდემ) სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

21.2. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ შეაფასა საქმის მსვლელობისას წარდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ მენარდემ ქვემენარდის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვა 24 000 ლარის ოდენობით, ასევე, 2017 წელს აპელანტმა (მენარდემ) ქვემენარდეს 25 000 ლარი გადაურიცხა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში ვერ მოხერხდა. რაც შეეხება, საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის გასაჩივრებულ განჩინებას (ამ განჩინებით არ დაკმაყოფილდა მენარდის შუამდგომლობა ქვემენარდე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ), აპელანტს მიაჩნია, რომ ვინაიდან, სარჩელი წარდგენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, ის განუხილველად უნდა დაეტოვებინა სასამართლოს.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

22.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 ნოემბრის განჩინებით მენარდის (მოპასუხის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

22.2. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნისა და მოპასუხის მიერ წარდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, მსჯელობის საგანს წარმოადგენდა შესრულდა თუ არა მოვალის (ქვემენარდის) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ისე, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის /შემდეგში: სსკ/ 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე განჩინების 1-17 პუნქტები).

22.3. სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის 1 ნოემბერს გამართულ სხდომაზე აპელანტის (მენარდის) წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსარჩელის (ქვემენარდის) მიმართ არსებული დავალიანების ოდენობა 397 775 ლარია. ამდენად, დასახელებული ფაქტი შეფასებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 131-ე მუხლის საფუძველზე: ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკ-

მარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. აღიარებისას კი სასამართლო უფლებამოსილია, მასზე დააფუძნოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილოს ან უარი თქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოპასუხემ (მენარდემ) აღიარა დავალიანების არსებობა, რაც იმას გულისხმობს, რომ მან ქვემენარდისაგან მიიღო შესაბამისი მომსახურება.

22.4. მიუხედავად იმისა, რომ, სსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი იურიდიული ძალა და ისინი ფასდება ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე, სსკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულების წარდგენისას მოვალის პოზიციის დასაბუთებულობის ხარისხი ძალიან მაღალია. მეორე მხრივ, დასახელებული ნორმა ზღუდავს მოვალეს და ავალდებულებს, სადავო შესრულება დაადასტუროს სწორედ მითითებული სახის მტკიცებულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი უფლების განუხორციელებლობა მხარისათვის არახელსაყრელ სამართლებრივ შედეგს უკავშირდება. მოპასუხეს (მენარდეს) არ წარუდგენია თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება (სსკ-ის 429-ე, 386-ე მუხლები) და კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, არც აღნიშნული ვალდებულების არარსებობის ან/და გათავისუფლების შესახებ მიუთითებია. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემენარდის სარჩელი მართებულად იქნა დაკმაყოფილებული.

22.5. პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 417-ე, 418-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა შესრულებულიყო დარღვეული ვალდებულება ამ ვალდებულების შესრულებამდე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით მხარეები პირგასამტეხლოს გადახდაზე შეთანხმდნენ.

22.6. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ როგორც თავად მოსარჩელე კომპანიის 100 %-იანი წილის მესაკუთრე და იმავდროულად დირექტორი ო. თ-ი, ასევე მხარის წარმომადგენელი - ვ. გ-ი თითქმის ყველა სასამართლო პროცესში მონაწილეობდნენ, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა - ო. თ-მა გამოავლინა ნება, რომ მოსარჩელის ინტერესები (მათ შორის, სარჩელის აღძვრა), შესაბამისად მისი, როგორც კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრის ინტერესებიც ამ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით სწორედ ვ. გ-მა დაიცვას. ამდენად, აპელანტის მოთხოვნა გაუქმდეს სარჩელის განუხილველად დატოვების

შესახებ უარის თქმის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის განჩინება (იხ. წინამდებარე განჩინების 21.2 ქვეპუნქტი) უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

23. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

23.1. კასატორმა (მოპასუხემ) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

23.2. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ ყუ-რადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ აპელანტის მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარს თან ერთვოდა აპელანტის მიერ მონინალმდეგე მხარისათვის დავალიანების დაფარვის მიზნით თანხის ჩარიცხვის ქვითრები, კერძოდ, 25 000 ლარი, რაც სააპელაციო საჩივარში მითითებული იყო საქმის ახალი ფაქტობრივი გარემოებების გრაფაში. აღნიშნული თანხა აპელანტმა (მენარდემ) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაიხადა. სააპელაციო სასამართლოს ამ საკითხზე არ უმსჯელია და არ შეუმცირებია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა, რასაც აპელანტი ითხოვდა.

23.3. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მხარეთა შორის არსებულ წერილობით ხელშეკრულებებს, რამაც დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

23.4. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მონინალმდეგე მხარის დირექტორის ო. თ-ის მიერ მინდობილობა გაცემული იყო არა როგორც მოსარჩელე კომპანიის დირექტორის, არამედ როგორც ფიზიკური პირის მიერ. სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ დაინტერესებული პირის სახელით სარჩელი შეიტანა პირმა, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე. სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განსახილველად დატოვებს (სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები).

24. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

24.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოპასუხის (მენარდის) საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემონმებისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

25. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორებს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვთ წარმოდგენილი.

26. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], პარ. 81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

27. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორედ ამ ფარგლებში არსებითად განიხილავს და ამონმებს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

28. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა მის მიერ საკვლევ ძირითად გარემოებაზე, კერძოდ, შეასრულა თუ არა

ქვემენარდემ (მოსარჩელემ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ისე, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი). დადგენილია, რომ მენარდესა (მოპასუხესა) და ქვემენარდეს (მოსარჩელეს) შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა, რაც სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გულისხმობს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში ქვემენარდის მიერ, რისთვისაც შემკვეთი (ამ შემთხვევაში მენარდე, მოპასუხე) ვალდებულია გადაუხადოს მოსარჩელეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაური.

29. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყევტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს ორმხრივ, კონსესუალურ და სასყიდლიან ხელშეკრულებას, სადაც თითოეულ მხარეს გააჩნია უფლება-მოვალეობები. ამ შემთხვევაში მენარდეს, როგორც შემკვეთს, ეკისრება ქვემენარდის წინაშე, ამ უკანასკნელის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება. მოსარჩელემ (ქვემენარდემ) იმ ფაქტობრივ გარემოებებს დააფუძნა თავისი სასარჩელო მოთხოვნა, რომ მენარდესთან შეთანხმდა არსებით პირობებზე, ამ პირობათა შორის არის ქვემენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შინაარსი და მოცულობა, რაც მან შეასრულა, შესაბამისად, მენარდეს, როგორც შემკვეთს, წარმოეშვა მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება (იხ. წინამდებარე განჩინების 18.1 ქვეპუნქტი).

30. წინამდებარე განჩინების 22.3 ქვეპუნქტში მითითებული ალიარების გარდა, როდესაც მენარდემ (მოპასუხემ) დაადასტურა ქვემენარდისადმი დავალიანების არსებობა, ასევე, საკვებით გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სსკ-ის 429-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესის თაობაზე, რომ: კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. განსახილველ შემთხვევაში მენარდეს სასამართლოსათვის უნდა წარედგინა დოკუმენტი მის მიერ ქვემენარდისათვის, ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის გადახდილი ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურის გადახდის შესახებ, რაც მტკიცების ტვირთის ფარგლებში იმ მოვალეობის შესრულებას ნიშნავს, რომელიც მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის სახელითაა ცნობილი.

31. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები

და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

32. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძველიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული განაწილება მოდავე მხარეებს შორის.

33. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესე-

ბის შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავ კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

34. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარ-

კვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64) – იხ. შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ.

35. სსკ-ის 429-ე მუხლის გამოყენების თაობაზე საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება (იხ. სუსგ-ები №ას-1432-1352-2017, 16.03.2018წ; №ას-856-800-2017, 20.10.2017წ.), რაც მოცემულ შემთხვევაში მენარდემ წარმატებით ვერ დაძლია.

36. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით (რომელიც უკავშირდება მის მიერ სააპელაციო საჩივარზე დართულ კვითრებს, რომლითაც, მისი მტკიცებით, დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, მენარდემ ქვემენარდეს გადაურიცხა თანხის ნაწილი, თუმცა, ამ საკითხზე არც კი უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს და მოპასუხის მიერ უკვე გადახდილი თანხის ფარგლებში არ შეუმცირებია მოვალის მიერ კრედიტორისათვის (მოსარჩელისათვის) გადასახდელი თანხა) საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარის მიერ შესრულებული ვალდებულების ნაწილის თაობაზე შესაბამისი მტკიცებულებების სააღსრულებო ეტაპზე წარდგენის გზით მოპასუხე შეძლებს საკუთარი უფლების დაცვას, რაც საჭიროებს იმის დადასტურებას, რომ კონკრეტული თანხა სწორედ იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებშია გადახდილი, რაც მხარეთა შორის სადავოა, ამდენად, მხარის უფლება არ შეილახება.

37. კასატორის პრეტენზიის პასუხად, რომელიც სარჩელის არა-

უფლებამოსილი პირის მიერ აღძვრას უკავშირდება, საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის განჩინების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მენარდის (მოპასუხის) განცხადება ქვემენარდის მიერ აღძრული სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე, ამიტომ აღარ გაიმეორებს იმ დასაბუთებას, რომელიც გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული (იხ. წინამდებარე განჩინების 22.6 ქვეპუნქტი; ასევე – სააპელაციო სასამართლოს).

38. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (Ruiz Torija v. Spain, Application no. 18390/91; §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

39. საკასაციო სასამართლოს შეფასებით მენარდის (მოპასუხის)

საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი არც ერთი არგუმენტი არ განაპირობებს მისთვის სასარგებლო სამართლებრივი შედეგის დადგომას, სარჩელის უარყოფას. აღნიშნული კი მოპასუხის საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

40. სსსკ-ის 55.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ.ი-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პალატების შემადგენლობა

გადამწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-507-2019

31 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასამართლოში სარჩელი შეიტანა კ. რ-ემ (შემდეგში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) მ. ს-ას (შემდეგში – პირველი მო-

პასუხე ან პირველი კასატორი), მ. ნ-სა (შემდეგში – მეორე მოპასუხე ან მეორე კასატორი) და ვ. ქ-ას (შემდეგში – მესამე მოპასუხე) წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა: პირველი და მეორე მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, 25 355.53 აშშ დოლარის, ხოლო მესამე მოპასუხისათვის – 33 315.38 აშშ დოლარის დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 მაისის საოქმო განჩინებით, სს „... ბანკი“ საქმეზე ჩაება მესამე პირად, და მოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით:

- მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა,

- გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა;

- პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაკისრათ 25 355.53 აშშ დოლარის გადახდა;

- მესამე მოპასუხეს, მოსარჩელის მიმართ დაეკისრა, 33 315.38 აშშ დოლარის ანაზღაურება.

5.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- 2014 წლის 25 ივნისს, მოსარჩელეს, ლ. ლ-სა და პირველ მოპასუხეს შორის ხელშეკრულება (შემდეგში – ხელშეკრულება) დაიდო. ხელშეკრულების საგანი იყო, ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ-ში ბაგაბალის მიმდებარედ არსებული 354 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მესაკუთრეები: პირველი მოპასუხე – 106.20კვ.მ, მესამე მოპასუხე – 70.80კვ.მ, მოსარჩელე და ლ. ლ-ლი – 177.00კვ.მ).

- ხელშეკრულების მიხედვით, მისი ხელმოწერის დროისათვის შენობის 4 სართული (თავისი სარდაფით) შავი კარკასის მდგომარეობაში იყო აშენებული. მიწის შეძენაში, პროექტსა და მშენებლობაში 190 000 აშშ დოლარი დაიხარჯა.

- ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე და ლ. ლ-ლი მიმდინარე მშენებლობას დაასრულებდნენ, ხოლო, საინაცვლოდ, პირველი მოპასუხე შეასრულებდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთისა და შენობის 50%-ის მოსარჩელესა და ლ. ლ-ზე გადაფორმებას.

- 2014 წლის 24 ნოემბერს, სს „... .. ბანკსა“ და მოსარჩელეს შო-

რის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (შემდეგში – პირველი საკრედიტო ხელშეკრულება) დაიდო, რომლითაც მოსარჩელის სახელზე კრედიტი გაიცა (კრედიტის თანხა – 200 000 აშშ დოლარი, ვადა – 72 თვე, საპროცენტო განაკვეთი – წლიური 14%).

– საკრედიტო ხელშეკრულება უზრუნველყოფილ იქნა, 2014 წლის 24 ნოემბერს სს „... ბანკსა“ და პირველ მოპასუხეს შორის დადებული თავდებობის ხელშეკრულებით (შემდეგში – თავდებობის ხელშეკრულება). თავდებობის ხელშეკრულების 2.2 პუნქტით თავდებობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა 307 773.39 აშშ დოლარით განისაზღვრა.

– 2015 წლის 6 აგვისტოს, სს „... ბანკსა“ და მოსარჩელეს შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (შემდეგში – მეორე საკრედიტო ხელშეკრულება) გაფორმდა (კრედიტის თანხა – 30 000 აშშ დოლარი, ვადა – 63 თვე, საპროცენტო განაკვეთი – წლიური 14%).

– 2015 წლის 2 სექტემბრის გარიგების (შემდეგში – სადავო გარიგება ან სადავო შეთანხმება) მიხედვით, სს „... ბანკში“ საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოსარჩელის სახელზე არსებული სესხი – 348 331 000.00 აშშ დოლარი, შემდეგნაირად გადაანაწილდებოდა: მოსარჩელე – 97 299 აშშ დოლარი, აქედან ყოველთვიურად გადასახდელი 1 390 აშშ დოლარი; მეორე მოპასუხე – 123 170 აშშ დოლარი, აქედან ყოველთვიურად გადასახდელი 1 970 აშშ დოლარი; მესამე მოპასუხე – 30 562 აშშ დოლარი, აქედან ყოველთვიურად გადასახდელი 492 აშშ დოლარი; ლ. ლ-ლი – 97 300 აშშ დოლარი, აქედან ყოველთვიურად გადასახდელი 1 390 აშშ დოლარი.

– 2017 წლის 4 იანვარს, სს „... ბანკს“, პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება დაიდო (შემდეგში – მესამე საკრედიტო ხელშეკრულება), რომლითაც მოპასუხეებზე კრედიტი გაიცა (კრედიტის თანხა – 60 000 აშშ დოლარი, ვადა – 60 თვე, პროცენტი – წლიური 11.5%).

– მესამე საკრედიტო ხელშეკრულების 3.13 პუნქტის თანახმად, კრედიტის მიზანი, მოსარჩელის პირველი საკრედიტო ხელშეკრულებით აღებული კრედიტის დაფარვა იყო. ამასთან, მესამე საკრედიტო ხელშეკრულების დადების შემდეგ, პირველ მოპასუხესა და სს „... ბანკს“ (ყოფილი სს „... ბანკი“) შორის დადებული თავდებობის ხელშეკრულება გაუქმდა და მოსარჩელის სესხზე თავდებობის ვალდებულებებისგან პირველი მოპასუხე გათავისუფლდა.

– კრედიტორის მიმართ მეორე საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება, სრულადაა შესრულებული.

– კრედიტორის მიმართ პირველი საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის დავალიანება შემდეგია: ძირი თანხა – 20 687.04 აშშ დოლარი, პროცენტი – 3 606.74 აშშ დოლარი,

ჯარიმა – 5 774.48 აშშ დოლარი.

– სადავო გარიგებიდან გამომდინარე, პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ 89 290 აშშ დოლარი აქვთ გადახდილი, რაშიც, 2017 წლის 4 იანვრის ხელშეკრულებით მოსარჩელის სესხიდან ცალკე გამოყოფილი 60 000 აშშ დოლარიც შედის.

5.2. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, სადავო შეთანხმება (რომლითაც მხარეებმა მოსარჩელის სახელზე დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სესხის ურთიერთშეთანხმებული ოდენობით გადახდა იკისრეს) იძულებით დადებულ გარიგებად ვერ შეფასდებოდა, რადგან საქმის მასალებით არ დგინდებოდა იძულების ფაქტი. შესაბამისად, მოპასუხეთა მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილი, ხოლო ხელშეკრულება კანონშესაბამისი იყო. გადანაცვებილების მოცემული ნაწილის დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 50-ე, 85-ე, 86.1 და 86.2 მუხლებით.

5.3. ამავდროულად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა პირველი და მეორე მოპასუხისათვის 25 355.53 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი, შემდეგი გარემოებების გამო:

5.3.1. 2015 წლის 2 სექტემბრის ნოტარიულად დამოწმებული შეთანხმებით დგინდებოდა, რომ პირველმა მოპასუხემ და მეორე მოპასუხემ, სესხის, ჯამურად 348 331 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება სოლიდარულად იკისრეს, აღნიშნული სესხის საბოლოოდ დაფარვამდე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2017 წლის 4 იანვარს, პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის მიერ სს „... ბანკიდან“ 60 000 აშშ დოლარის სესხად აღებით, 2015 წლის 2 სექტემბერს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება შეწყდა, რადგან მხარეებმა ახალი შეთანხმება დადეს, რომლითაც მათ შორის არსებული ვალდებულებების მოცულობა ხელახლა განისაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2015 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარე, მოპასუხეებთან ერთად, მოსარჩელეც იყო, მაშინ, როდესაც 2017 წლის 4 იანვრის ხელშეკრულებაში მოსარჩელე მხარედ არ გვევლინებოდა. ამდენად, ცალსახა იყო, რომ სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს ნება არ გამოუვლენია, რაც პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის მიმართ ნაკისრი ვალდებულების განსხვავებული მოცულობით განსაზღვრის შესაძლებლობას გამოორიცხავდა.

5.3.2. ფულადი ვალდებულების მოცულობაზე გავლენას ვერც ის გარემოება ვერ მოახდენდა, რომ 2017 წლის 4 იანვრის ხელშეკ-

რულებით პირველი მოპასუხის მიერ 2014 წლის 24 ნოემბერს ნაკისრი თავდებობის ვალდებულება შეწყდა. მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ 2017 წელს მოპასუხეთა მიერ სს „... ბანკში“ სესხის აღებისას, პირველი მოპასუხის თავდებობისგან განთავისუფლებაზე მან თანხმობა განაცხადა, რომელსაც ბანკის წარმომადგენელიც დაეთანხმა, თუმცა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს მოსარჩელესა და მოპასუხეებს (პირველი მოპასუხე და მეორე მოპასუხე) შორის ამ დღეს ახალი გარიგება დაიდო და ვალდებულებები განსხვავებულად განისაზღვრა, უსაფუძვლო იყო. მოსარჩელის მიერ ვალდებულების ფორმირების შესახებ ნება/თანხმობა არც საქმის მასალებით და არც მისი კონკლუდენტური მოქმედებებით არ დასტურდებოდა.

5.3.3. სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას მოსარჩელემ მიუთითა და პირველმა მოპასუხემაც დაადასტურა, რომ, შენობა, რომლის დამთავრებაც მოსარჩელემ ივალდებულა და შესაბამისი სახსრებიც მოიძია, დასრულებულია და წილები შეთანხმებული პროცენტულობით მხარეებმა გადაინაწილეს.

უდავო იყო ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მიერ ნაკისრი 150 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება სწორედ შენობის დამთავრების მიზანს ისახავდა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა უძრავი ქონების 50%-ის მოსარჩელისთვის, ხოლო დარჩენილი 50%-ის მოპასუხეთათვის გადანაწილება. ზემოთითხებული გარემოება ამყარებდა სასამართლოს რწმენას იმის თაობაზე, რომ, მოსარჩელეს, 2015 წლის 2 სექტემბერს მოპასუხეთა მიერ ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ჰქონდა.

5.3.4. მოსარჩელემ, დაზუსტებულ სარჩელში, მოპასუხეთა ვალდებულების შესრულების გრაფიკი წარმოდგინა და აღნიშნა, რომ პირველმა მოპასუხემ და მეორე მოპასუხემ, ნაკისრი ვალდებულებიდან, 91 794.21 აშშ დოლარი გადაიხადეს, ხოლო გადასახდელი ოდენობა 25 355.53 აშშ დოლარს შეადგენდა. მოპასუხეებს ეს გარემოება სადავოდ არ გაუხდიათ.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის ძირითადი სესხის თანხა 89 290.336 აშშ დოლარს შეადგენდა, ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მათ შეთანხმებული პროცენტულობით 22 022.04 აშშ დოლარისა და საბანკო ჯარიმის, 466 773 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება დაეკისრათ. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული თანხებიდან მოპასუხეებმა 91 794.21 აშშ დოლარი გადაიხადეს, ხოლო 25 355.53 აშშ დოლარი გადასახდელი ჰქონდათ.

რაც შეეხებოდა მოსარჩელეს, მან, როგორც სოლიდარულმა მოვალემ, ბანკის წინაშე ვალდებულება სრულად შეასრულა, რაც სსკ-

ის 361-ე და 463-ე მუხლების საფუძველზე, მას პირველი და მეორე მოპასუხისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნის საფუძველს უქმნიდა.

6. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

6.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მესამე მოპასუხის საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა, ამ უკანასკნელის მიერ ხარვეზის შეუესებლობის გამო.

6.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისისა და 12 სექტემბრის განჩინებებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

კასატორთა საკასაციო საჩივრის დასაბუთება ასეთია:

6.2.1. მცდარია სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ, თითქოს პირველმა მოპასუხემ და მეორე მოპასუხემ, მოსარჩელეს, მხოლოდ 89 000 აშშ დოლარი გადაუხადეს. მოსარჩელის დაზუსტებული გაანგარიშება არასწორია, რადგან კასატორებს 123 909 აშშ დოლარი აქვთ გადახდილი.

6.2.2. არასაკმარისადაა დასაბუთებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც მიჩნეულია, რომ მოსარჩელის მხრიდან კასატორთა მიმართ იძულებას ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელე ვერ მიუთითებს, თუ რატომ უნდა გადაეხადათ კასატორებს მის მიერ გადახდილი სესხი, მაშინ როცა თავდაპირველი ხელშეკრულებით, მათ შენობის დასრულებისათვის ხარჯი არ უნდა გაენიათ.

6.2.3. 2015 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულებისა და 2014 წლის 25 ივნისის ხელშეკრულების ურთიერთშედარების შედეგად ირკვევა, რომ, 2015 წლის 2 სექტემბრამდე, კასატორებს არ ევალუბოდათ შენობის დასრულებისათვის დამატებითი თანხის გაღება. ასეთი ვალდებულება ეკისრებოდათ მოსარჩელესა და ლ. ლ-ლს. ამდენად, ცხადია, რომ 2015 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულებით, კასატორთა მდგომარეობა გაუარესდა. მოცემული საკითხის შეფასებისას, საყურადღებოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება (საქმე №ას-664-635-2016, 2.03.2017), სადაც განმარტებულია, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. შესაბამისად, სასამართლოს ევალუბა, შეაფასოს ორი ხელშეკრულება და გამოკვეთოს, იძულებისა და მუქარის შიშის არარსებობის პირობებში, კასატორები რამდენად ხელს მოაწერდნენ 2015 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულებას და იკისრებდნენ იმ თანხის გადახდას, რომლის ანაზ-

ლაურების ვალდებულებაც მათ არ ჰქონდათ.

6.2.4. კონკრეტულ შემთხვევაში, 2015 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულების დადებიდან მუქარა განუწყვეტილად გრძელდებოდა. მოგვიანებით, მოსარჩელისა და ლ. ლ-ის მიერ მუქარა გაგრძელდა კასატორის ქალიშვილის მიმართ გაგზავნილ შეტყობინებებში. ამის გამო, 2016 წლის 14 ნოემბერს კასატორებმა თავიანთი უფლებების დასაცავად პოლიციას მიმართეს. აღნიშნული განცხადებით, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, ხანდაზმულობის ვადა უკვე შეწყვეტილი იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული მუქარა რეალურად უნდა შეფასდეს, ხოლო 2015 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულება, იძულებით გარიგებად უნდა ჩაითვალოს.

6.2.5. 2015 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულება წინა ხელშეკრულებასთან სრულიად შეუსაბამოა, განერილი არ არის, თუ რატომ ეკისრებათ კასატორებს სესხის გადახდა. მოსარჩელემ ბოროტად გამოიყენა თავისი მდგომარეობა, მას შენობა უნდა დაესრულებინა და მისი გაყიდვით იმუქრებოდა. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ერთ-ერთ საქმეზე თავის გადანაცვეტილებაში განმარტავს, რომ სადავო გარიგების ბათილად ცნობისათვის საჭიროა, ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობა, დისპროპორცია, გარიგება დადებული უნდა იყოს იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაგენტის მიმე მდგომარეობით. მოცემულ საქმეზე, სწორედ ასეთი ფაქტობრივი მოცემულობა გამოიკვეთა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საკასაციო პალატის განხილვის საგანი შემდეგია: რამდენად კანონიერია მოსარჩელის მოთხოვნა, პირველი და მეორე მოპასუხისათვის (კასატორები), მოსარჩელის სასარგებლოდ, 25 355.53 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი ისაა, რომ სადავო გარიგე-

ბით კასატორებმა (გარიგების სხვა მონაწილეებთან ერთად) მოსარჩელის სესხის გადახდის ვალდებულება სოლიდარულად იკისრეს (სესხის საბოლოოდ დაფარვამდე), თუმცა ნაკისრი ვალდებულებიდან 91 794.21 აშშ დოლარი გადაიხადეს და 25 355.53 აშშ დოლარი გადასახდელი დარჩათ.

9. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო გარიგებაზე დაყრდნობით არსებობს პირველი მოპასუხისთვის თანხის დაკისრების საფუძველი.

9.1. სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება და მხარის პოზიციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უტყუარად შეძლებს იგი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურებას. ამის ნათელი დადასტურებაა სსსკ-ის მე-4 (სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები) და 102-ე (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით) მუხლები.

ამდენად, სასამართლოში წარმატების მომტანი არა მხოლოდ მოთხოვნის დამასაბუთებელ არგუმენტზე (არგუმენტებზე) მითითება, არამედ მისი ნამდვილობის სათანადო მტკიცებულებით (მტკიცებულებებით) დადასტურება. საქმის გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ სწორი დასკვნა სასამართლოს მიერ სწორედ მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას შეიძლება დაეფუძნოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა; სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებე-

ბის არსებობის ან არარსებობის შესახებ; მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანაცვეტილებაში).

9.2. წარმოდგენილი სასარჩელო პრეტენზიის ფარგლებში, პირველი მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის წარმატება დამოკიდებული იყო სარწმუნო და უტყუარი მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარდგენით თანხის დაკისრების საფუძვლის არსებობის დასაბუთებაზე. ასეთ საფუძვლად მოსარჩელემ მხარეთა შორის დადებული სადავო გარიგება დაასახელა, რომელიც საქმეზე მტკიცებულების სახით წარმოადგინა.

10. მოცემულ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იმის დადგენა – სადავო შეთანხმებით, იკისრა თუ არა პირველმა მოპასუხემ, მოსარჩელის სესხის გადახდის ვალდებულება. მითითებულ შეკითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რამდენადაც ხსენებული შეთანხმების შინაარსი ასეთ გარემოებაზე მითითებას არ შეიცავს.

სადავო გარიგების მიხედვით, მოსარჩელის სესხის (348 331 000.00 აშშ დოლარი) გადახდის ვალდებულება იკისრა: მეორე მოპასუხემ (123 170 აშშ დოლარი), მესამე მოპასუხემ (30 562 აშშ დოლარი), ლ. ლ-მა (97 300 აშშ დოლარი) და მოსარჩელემ (97 299 აშშ დოლარი).

დასახელებული თანხების გადახდა საქმეში არსებული მტკიცებულების შინაარსობრივი, გრამატიკული და ლოგიკური კვლევის შედეგად მხოლოდ აღნიშნულმა პირებმა ივალდებულეს და, არა – პირველმა მოპასუხემ, რომლის მეორე და მესამე მოპასუხესთან ერთად პასუხისმგებლობის მოთხოვნითაც განსახილველი სარჩელია აღძრული.

ზემოაღნიშნულ მსჯელობას ვერ გააქარწყლებს ამავე გარიგებაზე პირველი მოპასუხის ხელმოწერის არსებობა, რამდენადაც თანხის გადახდის საფუძველს მასში აღბეჭდილი შინაარსი წარმოქმნის, სადაც ვალდებულების შემსრულებელ სუბიექტებს შორის მოპასუხე დასახელებული არაა. შესაბამისად, პირველ მოპასუხეს თანხის გადახდის ვალდებულება გარიგების შინაარსის გათვალისწინებით ვერ დაეკისრება.

11. სსკ-ის 317.1 მუხლის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი მოპასუხის მიმართ სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან სადავო გარიგების შინაარსი ამ უკანასკნელის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის. რაკი პირველი მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის და-

კისრების საფუძველი მოსარჩელემ სასამართლოს ვერ დაუმტკიცა, ამიტომ აღნიშნულ ნაწილში სარჩელი წარუმატებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, მითითებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და პირველი მოპასუხის მიმართ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

12. რაც შეეხება მეორე მოპასუხისათვის (მეორე კასატორი) 25 355.53 აშშ დოლარის დაკისრების მართლზომიერებას, მოცემულ ნაწილში საყურადღებოა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად ცნობილი შემდეგი გარემოებები:

1) სადავო გარიგებით, მეორე მოპასუხემ (გარიგების სხვა მონაწილეებთან, მათ შორის, მოსარჩელესთან ერთად) მოსარჩელის სესხის გადახდის ვალდებულება სოლიდარულად იკისრა (სესხის საბოლოოდ დაფარვამდე), თუმცა ნაკისრი ვალდებულებიდან 91 794.21 აშშ დოლარი გადაიხადა და 25 355.53 აშშ დოლარი გადასახდელი დარჩა.

2) მოსარჩელემ, როგორც სოლიდარულმა მოვალემ, სასესხო ვალდებულება სრულად შეასრულა.

ზემოთითებული გარემოებები მეორე კასატორს დასაბუთებული შედავების (პრეტენზია) გზით არ გაუქარწყლებია, ამიტომ ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407.2 მუხლი).

ამავდროულად, ეს გარემოებები იმის მაუწყებელია, რომ მეორე მოპასუხე, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდაზე ვალდებული პირია (სსკ-ის 316.1, 317.1, 623-ე, 361-ე, 463-ე, 473-ე მუხლები).

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი წინადადებით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

13.1. მოცემულ შემთხვევაში, მეორე კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია ისაა, რომ არსებობს სადავო გარიგების, როგორც იძულებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი, რასაც პალატა ვერ გაიზიარებს და საპასუხოდ განმარტავს შემდეგს:

13.1.1. სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან.

13.1.2. „სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკი-

ცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“ (იხ. სუსგ: №ას-89-83-2015, 23.10.2015).

ამრიგად, ამ საფუძვლით გარიგების საცილობისას, ამა თუ იმ კონტრაჰენტი მხარის მიმართ გარიგების დადების იძულების საკითხი სასამართლომ უნდა შეაფასოს სამართლებრივად. სამართლებრივი შეფასების პროცესში პირზე განხორციელებული ზემოქმედების სსკ-ის 85-ე მუხლის კონტექსტით იძულებად შეფასებისთვის, განმსაზღვრელია იძულების ფაქტზე მიმთითებელი პირის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სამართალწარმოების პროცესში გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები, რამდენად ქმნის იძულების რაიმე ფორმის გამოყენების გარეშე, ხელშეკრულების დაუდებლობაზე დასაბუთებულ ვარაუდს (იხ. სუსგ: №ას-1475-2018, 30.04.2020).

კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო გარიგების იძულების ზემოქმედებით დადების ფაქტი მხარემ ვერ დაადასტურა, რაც მისი მტკიცების ტვირთში შედიოდა, კერძოდ, გარიგების დადების მიზნით მის მიმართ ძალადობის ან მუქარის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსათვის წარმოდგენილი ვერ იქნა. ამ კუთხით არც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას. ამდენად, საკასაციო საჩივრის დასახელებული არგუმენტი გაზიარებული ვერ იქნება.

13.2. მეორე კასატორისათვის თანხის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ამ უკანასკნელის მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ 2015 წლის 2 სექტემბრის სადავო გარიგება მხარეთა შორის 2014 წლის 25 ივნისს დადებულ ხელშეკრულებასთან შეუსაბამოა. კერძოდ, 2015 წლის 2 სექტემბრამდე კასატორებს შენობის დასასრულებლად დამატებითი თანხის გადახდა არ ევალებოდათ, რაც 2015 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებით სხვაგვარად განისაზღვრა. პალატას მიაჩნია, რომ ეს გარემოება მეორე კასატორის მხრიდან სადავო გარიგების იძულებით დადების ფაქტის დასამტკიცებლად ვერ გამოდგება, რამდენადაც თავდაპირველ შეთანხმებაში კონკრეტული ქმედების შესრულებაზე ვალდებულ პირად მოსარჩელის დასახელება იმას არ გამოირიცხავს, რომ, მოგვიანებით, ამავე პირის მიერ შესასრულებელი მოვალეობის მოცულობა მხარეებმა განსხვავებულად დაადგინეს. აღნიშნული არ გამოირიცხება მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ სესხის აღების მიზანი შენობის დასრულება იყო, რომლის 50% მოპასუხეებს შორის უნდა გადანაწილებულიყო.

13.3. მეორე კასატორი სადავოდ ხდის იმ თანხის ოდენობასაც, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირველმა მო-

პასუხემ და მეორე მოპასუხემ მოსარჩელეს გადაუხადეს. საკასაციო პალატა მეორე კასატორის ვერც აღნიშნულ პრეტენზიას ვერ გაიზიარებს და განმარტავს შემდეგს:

ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთზე არსებობს საკასაციო სასამართლოს არაერთი განჩინება თუ გადანყვეტილება.

დასახელებული საქმეებიდან ერთ-ერთზე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: სსკ-ის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნა, რაც სწორედ ისაა, რომ მას, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში, ეკისრება ამგვარი დოკუმენტის გაცემის ვალდებულება. ამ შემთხვევაში, კანონმდებლის პრინციპული დამოკიდებულება იმითაა განპირობებული, რომ მაქსიმალურად აღმოიფხვრას ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა არაკეთილსინდისიერება, თუმცა კანონი ასეთივე მომთხოვნი არ არის მოვალის მიმართ, კერძოდ, რაიმე ვალდებულება მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით მოვალეს ამგვარი საბუთის გამოთხოვაზე არ ეკისრება. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება კი, განპირობებულია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესით, რაც ისაა, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება. შესაბამისად, სადავოობის შემთხვევაში, მოვალემ ამ დოკუმენტით შეიძლება, დაადასტუროს ვალდებულების შესრულების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე – რომელსაც არ აქვს რაიმე საჭიროება, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც პროცესუალური და არც მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებით, მოვალე აღჭურვილია უფლებებით, რომ შეძლოს ვალდებულების შესრულებისა და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა კი, რისკს ქმნის და, შესაძლოა, აისახოს ზემოთ მითითებული გარემოების დაუდასტურებლობაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების სადავოობის პირობებში კანონით უზრუნველყოფილია მოვალის შესაძლებლობა, ამტკიცოს ვალდებულების შესრულება. ამავდროულად, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი მხოლოდ მოვალეს შეიძლება დაეკისროს.

ამავე განჩინებაში, საკასაციო პალატამ კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია წერილობით საბუთი (მაგ: ვალის მიღების შესახებ კრედიტორის მიერ გაცემული დოკუმენტი; გადარიცხვის ქვითარი; სალაროს შემოსავლის ორდერი) (იხ. სუსგ №ას-1152-1072-2017, 29.12.2017).

კიდევ ერთ საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: სსკ-ის 429.1 მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, მისცეს მოვალეს მის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს, თუმცა კანონმდებელი ასეთივე მომთხოვნის არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ მოითხოვოს ხსენებული საბუთი კრედიტორისაგან. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. დოკუმენტის (ვალის გადახდის თაობაზე საბუთის) ფლობა აუცილებელია მოვალისათვის, რადგან მას მხოლოდ ასეთი დოკუმენტით შეუძლია იმის დადასტურება, რომ ვალი გადაიხდა, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე კრედიტორისაგან არ ითხოვს საბუთს ვალდებულების შესრულების შესახებ, უნდა ითქვას, რომ ამით ის იჩენს გარკვეულ წინდაუხედაობას ან ზედმეტ ნდობას კრედიტორის მიმართ. საბოლოოდ, ეს ფაქტორი მთლიანად უკავშირდება მის რისკს და განაპირობებს მისი მხრიდან ვალდებულების არსებობა-არარსებობის ფაქტს. იმავე შინაარსს აყალიბებს კანონმდებელი სსკ-ის 431-ე მუხლშიც, რომლის თანახმად, მოვალეს შესრულების მიღების შესახებ დოკუმენტთან ერთად შეუძლია, კრედიტორისაგან მოითხოვოს სავალო საბუთის დაბრუნება ან გაუქმება, შეუძლებლობის შემთხვევაში კი-ვალდებულების შეწყვეტის შესახებ ნოტარიულად დამოწმებული ცნობა.

ამავე განჩინებაში საკასაციო პალატამ ხაზგასმით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტში ყოველთვის იგულისხმება წერილობითი საბუთი, შესაბამისად, მარტოოდენ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით თანხის გადახდის ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება შეუძლებელია (იხ. სუსგ №ას-194-2019, 27.05.2019).

განსახილველ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით მეორე მოპასუხეს ეკისრებოდა, რომელმაც აღნიშნული ტვირთის წარმატებით რეალიზება ვერ შეძლო. მან ვერ წარმოადგინა საწინააღმდეგო მტკიცებულება ფულადი ვალდებულების მის მიერ მითითებული ოდენობით შესრულების შესახებ და ვერ დაადასტურა, რომ სააპე-

ლაციო სასამართლომ არასწორი ოდენობის თანხა დააკისრა.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე მოპასუხესთან მიმართებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა გასაზიარებელია, რის გამოც მოცემულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

15. სსსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღო ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის განაწილების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, შემდეგი გარემოების გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 25 355.53 აშშ დოლარის გადახდა; დასახელებული გადაწყვეტილების ეს ნაწილი პირველმა მოპასუხემ და მეორე მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს და საკასაციო საჩივარზე ერთიანი სახელმწიფო ბაჟი გადაიხადეს; საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ, კერძოდ, იმგვარად შეიცვალა, რომ სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მეორე მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 25 355.53 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში. შექმნილ ფაქტობრივ მოცემულობაში პალატას მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მოგებული მხარის (პირველი კასატორი) სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება აღარ უნდა დაევალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე,
408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე წ ვ ი ტ ა:

1. მ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მ. ს-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის
გადაწყვეტილების მე-4 და მე-6 პუნქტების ნაწილობრივ შეცვლით
მოცემულ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტი-
ლება;
4. კ. რ-ს სარჩელი მ. ს-ას მიმართ არ დაკმაყოფილდეს;
5. დანარჩენ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარ-
ჩეს უცვლელად;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ
საჩივრდება.

ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო

გ ა ნ ე წ ე ბ ა საქართველოს სახელით

№ას-426-426-2018

18 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:

1.1. სს „თ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი
ან კომპანია) სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ ადამიანით ვაჭ-

რობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – მოპასუხე ან მონინალმდევე მხარე ან ფონდი) მიმართ ელექტრო ენერგიის დავალიანების – 4 287,56 მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მხარეები იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 დეკემბრის №428/6 ბრძანების („საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრის სისტემაში არსებული ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების, პანსიონატების, დაწესებულებებისა და დღის ცენტრების) რეორგანიზაციისა და მათ უფლებამონაცვლედ სსიპ – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს“ დაფუძნების შესახებ“), 2010 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებისა („საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების, პანსიონატების, დაწესებულებებისა და დღის ცენტრების) რეორგანიზაციისა და მათ უფლებამონაცვლედ სსიპ – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს“ დაფუძნების შესახებ“ 2009 წლის 25 დეკემბრის №428/6 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ) და 2012 წლის 27 დეკემბრის №01-73/6 („საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ რეორგანიზაციის შესახებ) ბრძანების თანახმად სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლესა და №3342332 აბონენტთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მოპასუხე. აღნიშნულ აბონენტს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, ერიცხება დავალიანება 4 287,56 ლარის ოდენობით. სააგენტო არ იხდის დავალიანებას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი/მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მისთვის გაურკვეველია, რა დავალიანების ანაზღაურებას მოითხოვს მოსარჩელე, რადგანაც არც მოპასუხის და არც მისი წინამორბედი დაწესებულების აბონენტის ნომერზე – 3342332 დავალიანება არ დარიცხულა. დავალიანების აღრიცხვა ხდებოდა აბო-

ნენტის ნომერზე – 3388765. მოპასუხის აბონენტის ნომერზე კი, არც დავალიანება დარიცხულა და არც ანგარიშ-ფაქტურა ყოფილა წარდგენილი. ამგვარი დოკუმენტი არ ერთვის არც სარჩელს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორიის თანახმად, ელ.ენერგიის მოხმარება ნაჩვენებია 2002-2008 წლებში, მაშინ, როდესაც არც მოპასუხე ფონდი და არც მისი წინამორბედი იურიდიული პირი არ იყო დაარსებული. სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“ შეიქმნა 2009 წელს. ასეც რომ არ იყოს, 2002-2008 წლების დავალიანება ხანდაზმულია. იმ ფაქტზე, რომ ფონდი ყოველთვის ასრულებდა ვალდებულებებს და არ გააჩნია დავალიანება, მეტყველებს შედარების აქტები, სადაც მოსარჩელის მიერ მითითებული აბონენტის ნომერი საერთოდ არ ფიქსირდება. 2015 წლის 26 ნოემბრის ბოლო შედარების აქტის თანახმად, ფონდის (აბ. №55444) დავალიანება შეადგენდა 5 114,89 ლარს. აქტის დანართში მითითებული ის სტრუქტურული ერთეულები, რომელთა მიერ მოხმარებულმა ელ. ენერგიამაც შეადგინა ხსენებული დავალიანება, მათ შორის №3342332 აბონენტი არ ფიქსირდება. ხსენებული დავალიანება მოპასუხემ 2015 წლის 16 ოქტომბერს დაფარა სრულად. გარდა ამისა, მოსარჩელემ 2015 წლის ოქტომბერ-ნოემბრის დავალიანების ამსახველი ანგარიშ-ფაქტურებიც წარუდგინა მხარეს და არც ამ დოკუმენტებში არ ფიქსირდება აბონენტის ნომერი 3342332. სადავო მისამართზე სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ შექმნამდე არსებობდა სს „ქ.თ.ჩ.ბ.ს-ი“, რომელიც რეორგანიზაციის შედეგად შეერწყა შპს „ს-ს“ და მის უფლებამონაცვლეს მოპასუხე არ წარმოადგენს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასა-

მართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოხმარებული ელექტროენერგიის აბონენტისათვის დაკისრების წინაპირობების არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), წინამდებარე განჩინებით საკასაციო სასამართლო შეამოწმებს კასატორის შემდეგი პრეტენზიების საფუძვლიანობას:

– სასამართლოებმა არასწორად გამოიყენეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი, ამასთან, არასათანადოდ გამოიყენეს და შეაფასეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და არასწორად განმარტეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 20 სექტემბრის №10 დადგენილებისა და 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მთელი რიგი მუხლები. სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებაში მიუთითებს, რომ სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“ დაფუძნდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 ივლისის №585 ბრძანებულებისა და მის საფუძველზე 2009 წლის 24 თებერვალს გამოცემული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №90/ნ ბრძანების შესაბამისად, თუმცა, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, აღნიშნული ორგანიზაცია დაფუძნდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 ივლისის №585 ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 27 მარტის №272 ბრძანების საფუძველზე, სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 თებერვლის №51 ბრძანებულებით 2005 წლის 12 ივ-

ლისის №585 ბრძანებულების მე-5 პუნქტში შეტანილ იქნა ცვლილება და საჯარო სამართლის იურიდიული პირების, მათ შორის სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ სახელმწიფო კონტროლი დაევალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხოლო, ამავე ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, მინისტრს დაევალა დამტკიცებინა ბრძანებულების მე-5 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებები და დაენიშნა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები. გამომდინარე აქედან, მინისტრის 2009 წლის 24 თებერვლის №90/წ ბრძანებით დამტკიცდა სსიპ თ.ჩ.ბ.ს-ის დებულება. მაკონტროლებელი ორგანოს შეცვლის მიუხედავად, ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი (20..) არ შეცვლილა და არ არსებობს ზემოთ მითითებული ორი სამინისტროს მიერ დაფუძნებული ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ერთი და იმავე დასახელებით, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობდა მოპასუხე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სხვა რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა;

– 2008 წლის 10 ივლისს სს თ-ს №95 წერილით მიმართა სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ დირექტორმა ი. ბ-ძემ, რომელშიც მითითა, რომ დაწესებულებას დავალიანება აქვს დენის ორ წყაროზე, კერძოდ: აბონენტი №33423..., რომელზეც რიცხული დავალიანება შეადგენს 3 409,76 ლარს და აბონენტი №406..., რომელზეც რიცხული დავალიანება შეადგენს 3 999,09 ლარს. ამასთან, სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ზე“ რიცხულ დავალიანებათა დაფარვის მიზნით მოითხოვა აღნიშნულ თანხაზე შედარების აქტების მიწოდება. წერილზე დართული იყო სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ზე“ გაცემული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა (№00150), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 27 მარტის №272 ბრძანებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 ივლისის №585 ბრძანებულების ასლები. აღნიშნული წერილისა და მასზე დართული დოკუმენტების საფუძველზე ცხადი იყო, რომ მოცემულ ობიექტზე შეიცვალა მომხმარებელი, კერძოდ სს „თ.ჩ.ბ.ს-ს“ ჩაენაცვლა სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“ და შემდგომში №3342332 და №4061525 სააბონენტო ნომრებით ელექტროენერგიის მიწოდება მოხდებოდა სწორედ სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ისათვის“ (მოცემული პერიოდში №3388765 სააბონენტო ბარათზე დავალიანება არ ირიცხებოდა, კერძოდ 2006 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივლისამდე აღნიშნულ აბონენტზე დაფიქსირებულია ნულოვანი ხარჯი). ამავე დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა კასატორის მიერ შიდა სამსახურეობრივი წერილით აბონენტის დასახელების ცვლილება, რაც თვითონ სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ს“ სადავოდ არ გაუხდია და აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე

მტკიცებულება საქმეში არ არის. შესაბამისად, სრულიად გაუგებარია თუ რატომ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლო, რომ განსახილველ შემთხვევაში აბონენტად რეგისტრირებული პირის არაუფლებამოსილი პირით შეცვლა მოხდა. მით უმეტეს, მაშინ როდესაც სასამართლო განმარტავს იმ დროს მოქმედ სემეკ-ის №10 დადგენილებას და აღნიშნავს, რომ „2008 წლამდე მოქმედი სემეკ-ის №10 დადგენილებით სავალდებულო არ იყო ელექტროენერგიის მიწოდებისათვის და აბონენტად აღრიცხვისათვის უძრავი ქონების საკუთრებაში ან მართლზომიერ სარგებლობაში არსებობა, საკმარისი იყო მხოლოდ ელექტროენერგიის მიმწოდებლის წინაშე ელექტროენერგიის მიღებისათვის ნების გამოვლენა“. წინააღმდეგობრივია სასამართლოს განმარტებანი სემეკ-ის №20 დადგენილების მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, კერძოდ სასამართლო, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ თუ ახალი მესაკუთრე ელექტროენერგიას ღებულობს ძველი ქონების მესაკუთრის სახელით, უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ წარმოშობილ დავალიანებაზე ახალ მესაკუთრეს ეკისრება მიმწოდებლის მიმართ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა, მომდევნო აბზაცში განმარტავს, რომ სემეკ-ის №20 დადგენილების მუხლების ანალიზის საფუძველზე მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად უნდა მივიჩნიოთ აბონენტი, რომელიც რეგისტრირებულია მოსაჩეღესთან ელექტროენერგიის მიმღებ პირად და არა ფაქტობრივი მოსარგებლე, რომელიც შეიძლება სარგებლობდეს უძრავი ქონებით რაიმე სამართლებრივი საფუძველით. არასწორია სასამართლოს რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ აბონენტის იდენტიფიცირების მიზნით უნდა მოხდეს მისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა. სემეკ-ის №20 დადგენილების მე-2 პუნქტში ამომწურავადაა ჩამოთვლილი ის გარემოებები, რომელთა არსებობისას განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ან/და უფლებამოსილია შეუწყვიტოს მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდება. მაკონტროლებელი ორგანოს – სემეკ-ის მიერ არაერთხელ იყო გაფრთხილებული კასატორი იმის თაობაზე, რომ დავალიანების არმქონე აბონენტისთვის ჩამოთვლილთაგან სხვა მიზეზით ელექტროენერგიის შეწყვეტა ჩაითვლებოდა სალიცენზიო პირობების დარღვევად და გამოყენებული იქნებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 92¹-ე მუხლით გათვალისწინებული სახდელი. სემეკ-ის №20 დადგენილების მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, საცხოვრებელი ბინის, საწარმოს ან სხვა ობიექტის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ახალი მესაკუთრე ვალდებულია, საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად დაუყოვნებლივ წარადგი-

ნოს ამ მუხლით გათვალისწინებული განაცხადი შესაბამის განაწილების ლიცენზიატთან. პირის მიერ უძრავი ქონების დროებით სარგებლობისას ამ უძრავი ქონების მესაკუთრის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, უფლება აქვს, მოითხოვოს აბონენტად რეგისტრაცია, ხოლო განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ამ მისამართზე დაარეგისტრიროს იგი აბონენტად. გამომდინარე აღნიშნულიდან ცხადია, რომ თუ პირმა შეიძინა ან სარგებლობაში გადაეცა ესა თუ ის ობიექტი და ამ ობიექტზე ელექტროენერგიის მიწოდება ხდება მაგალითისათვის სამი აბონენტის (სააბონენტო ხაზის) მეშვეობით, აღნიშნული პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს აბონენტად სამივე სააბონენტო ნომერზე, თუმცა მას შეუძლია არ აღიაროს რომელიმე სააბონენტო ნომერზე დარჩენილი ძველი მესაკუთრის ვალი და მოითხოვოს მისი ჩამოწერა სააბონენტო ბარათიდან ან ძველი მესაკუთრის სხვა სააბონენტო ბარათზე გადატანა, დადგენილების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად. სურვილის შემთხვევაში ახალ მესაკუთრეს (ან მოსარგებლეს) შეუძლია მოითხოვოს რომელიმე სააბონენტო ხაზის გაუქმებაც. დადგენილების მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული აბონენტად რეგისტრაციის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ამავე დადგენილებით პირის მიმართ რაიმე პასუხისმგებლობა გათვალისწინებული არ არის;

– შესაგებელში მოპასუხე აღნიშნავდა, რომ იგი წარმოადგენს სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლეს, თუმცა არც მას და არც სხვა წინამორბედ უფლებამონაცვლე ორგანიზაციებს, მიუხედავად იმისა, რომ სარგებლობაში გადაეცათ იგივე ობიექტი, რომელშიც განთავსებული იყო სს „თ.ჩ.ბ.ს-ი“ დავალიანების არსებობის გამო სს „თ-ისათვის“ №3342... აბონენტზე დასახელების შეცვლის მოთხოვნით არ მოუმართავთ, ხოლო სს „თ-ი“ გამომდინარე იმავე №20 დადგენილების მე-4 და მე-5 პუნქტებიდან, მოკლებული იყო შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით შეეცვალა აბონენტის დასახელება;

– საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 დეკემბრის №428/ნ ბრძანებით სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“ რეორგანიზებულ იქნა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოდ“, მინისტრის 2010 წლის 18 ოქტომბრის №339/ნ ბრძანების საფუძველზე აღნიშნულ სააგენტოს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“. ეს უკანასკნელი 2012 წლის 27 დეკემბრის №01-73/ნ ბრძანებით რეორგანიზებულ იქნა სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სა-

ხელმწიფო ფონდთან“ მიერთების გზით. იმ გარემოებას, რომ ფონდი წარმოადგენს სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლეს, შესაგებელში ადასტურებს თავად მოპასუხე. სს „თ.ჩ.ბ.ს-ი“, რომლის ადგილიც დაიკავა სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-მა“, განთავსებული იყო ქ.თბილისი, ... და წარმოადგენდა ამავე მისამართზე უძრავი ქონების მესაკუთრეს (მინის საკადასტრო კოდი №01...). შემდგომში უძრავი ქონების მართლზომიერ მოსარგებლედ შესაბამისი თანმიმდევრობით რეგისტრირდება ყველა მითითებული უფლებამონაცვლე ორგანიზაცია და მათ შორის მოპასუხეც;

– როგორც მოპასუხე, ისე – ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები მიუთითებენ, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ არცერთ შედარების აქტში აბონენტი №334... არ ფიგურირებს, მოპასუხეზე ამოწერილ კომპიუტერულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში ასევე არ ფიგურირებს სადავოდ გამხდარი აბონენტი. მოპასუხემ აბონენტის დასახელების ცვლილების თაობაზე განაცხადით მომართა სს „თ-ს“ (განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების დართვაზე სააპელაციო სასამართლომ განაცხადა უარი) და მოცემულ მისამართზე, შეიცვალა დასახელება სამიდან მხოლოდ ორ აბონენტზე (№3388... და №406...), შესაბამისად, სადავო აბონენტზე დასახელება დარჩა უცვლელი (სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“). იმისათვის, რომ გაიცეს ანგარიშ-ფაქტურები, შედგეს შედარების აქტი და სადავო აბონენტიც შეყვანილ იქნეს საერთო ქვითარში, სადაც მხოლოდ მოპასუხის საიდენტიფიკაციო კოდზე რეგისტრირებული აბონენტებია შეყვანილი, პირველ რიგში უნდა შეცვლილიყო აბონენტის დასახელება (უნდა მოემართა განცხადებით, რაც არ გაუკეთებია) და შემდგომ უკვე მისივე განცხადების საფუძველზე შედგებოდა როგორც შედარების აქტები, ასევე გაიცემოდა ანგარიშ-ფაქტურებიც. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის მხრიდან არ მომხდარა სადავო აბონენტზე დასახელების ცვლილება, რაც კანონის თანახმად მისი ვალდებულებაა, ობიექტის მისამართზე ყოველთვიურად იბეჭდება და იგზავნება შესაბამისი ქვითრები, მათ შორის სადავო აბონენტზე №334...;

– სემეკ-ის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად, მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა და საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად (საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის შესაბამისად), ამასთან, საცალო მომხმარებელმა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადოს ქვითარში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამავე მუხლის მე-5¹ პუნქტის თანახმად, ქვითარი საცალო მომხმარებელს უნდა მიენოდოს ყოველთვიურად შეძლების-

დაგვარად ერთსა და იმავე დროს. ქვეთრის არმილება მომხმარებელს არ ათავისუფლებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან (№554... არ წარმოადგენს სააბონენტო ნომერს, აღნიშნული ნომერი წარმოადგენს ე.წ შიდა მოხმარების კოდს და მის ქვეშ იგულისხმება მოპასუხეზე რიცხული ყველა სააბონენტო ნომერი სს „თ-ის“ მოქმედების არეალში);

– სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ 2008 წლის 10 ივლისის წერილით სსიპ „თ.რ.ბ.ს-მა“ აღიარა მონოდებული ელექტროენერგიის დავალიანება ორ წყაროზე, მათ შორის №33423... აბონენტზე და მოითხოვა შედარების აქტები. პალატამ მიუთითა, თითქოს აპელანტის განმარტების თანახმად, წერილში შეცდომით იყო მითითება №3342... წყაროზე, რაც გაირკვა ამ აბონენტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღების შემდეგ, შესაბამისად, აღნიშნულ აბონენტზე სს „თ-ის“ მიერ 2008 წლის 14 ივლისს მიწოდებული №002451 შედარების აქტი ხელმოწერილი და და ბეჭედდასმულია მხოლოდ სს „თ-ის“ მიერ, ხოლო მეორე მხარის მიერ იგი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული არ არის“. ამგვარი განმარტება კომპანიას არ გაუკეთებია. 2008 წლის 10 ივლისის სსიპ „თ.რ.ბ.ს-ის“ წერილის, მასზე დართული სსიპ „თ.რ.ბ.ს-ზე“ გაცემული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის (№00150), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 27 მარტის №272 ბრძანებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 ივლისის №585 ბრძანებულების, ასევე, ხელმოწერული შედარების აქტის თაობაზე უნდა ითქვას, რომ სსიპ „თ.რ.ბ.ს-ის“ დირექტორმა მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის წარმოშობა დაუკავშირა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობაში დაფიქსირებულ თარიღს – 20.05.2008წ. (საგადასახადო რეგისტრაციას) და არა ორგანიზაციის დაფუძნების თაობაზე მინისტრის №272 ბრძანების გამოცემის თარიღს – 27.03.2008წ. (მიუხედავად იმისა, რომ ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე), რის გამოც უარი განაცხადა №3342... აბონენტზე რიცხული დავალიანების გადახდაზე იმ საფუძვლით, რომ დავალიანება წარმოიშვა 2008 წლის მაისამდე, ხოლო №4061... სააბონენტო ბარათზე რიცხული დავალიანება გადაიხადა და ხელი მოაწერა შედარების აქტს, ვინაიდან ვალი წარმოიშვა მაისი-ივლისის პერიოდში. აღნიშნული კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ „თ.რ.ბ.ს-ს“ ელექტროენერგია მიეწოდებოდა ორივე წყაროთი, ხოლო მას შემდეგ №3342332 აბონენტი არ გაუქმებულა და აღნიშნულის თაობაზე კომპანიაში არავითარი განაცხადი არ შესულა;

– სააპელაციო პალატის დასკვნით, №3342... აბონენტზე კ 409,76

ლარის ოდენობით დავალიანება წარმოიშვა 2008 წლის მარტი-ივნისის პერიოდში, ხოლო 877,80 ლარის ოდენობით – 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში. 2008 წელს ელექტროენერგიას მოიხმარდა სს „თ.ჩ.ბ.ს-ი“, ხოლო 2014 წელს – სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლე შპს „ს-ი“. გაუგებარია, რომელი მტკიცებულების საფუძველზე ასკვნის სასამართლო, რომ 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ელექტროენერგიას მითითებულ სააბონენტო მისამართზე ...) მოიხმარდა შპს „ს-ი“. სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლე შპს „ს-ი“, რომლის იურიდიული მისამართიც იყო ქ. თბილისი, ... და რომელსაც 2012 წლის სექტემბერში შეერწყა სს „თ.ჩ.ბ.ს-ი“ ვერ იქნება პასუხისმგებელი №3342... სააბონენტო ბარათზე რიცხულ დავალიანებაზე, განსაკუთრებით კი დავალიანების იმ ნაწილზე, რომელიც დაფიქსირდა 2014 წლის 3 ოქტომბერს. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი 2014 წლის 15 ოქტომბრის მოვალის გაკოტრებულად გამოცხადების და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ კანონიერ ძალაში შესული განჩინების თანახმად, შპს „ს-ი“ არ ფუნქციონირებს, მას ბალანსსა და საკუთრებაში უძრავი ქონება არ ერიცხება, ხოლო შპს მომსახურების სააგენტოს წერილის თანახმად, სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“ სახელზე რეგისტრირებულია „მერსედეს – ბენც ვიტო“, რაც შპს „ს-ის“ ერთადერთ საკუთრებას წარმოადგენს. ის განცხადება, რომ 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოცემულ მისამართზე ელექტროენერგიას უშუალოდ მოიხმარდა სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლე შპს „ს-ი“ მონინალმდევე მხარემ გააკეთა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, ფაქტიურად სხდომის ბოლოს (მანამდე და საქალაქო სასამართლოშიც მიუთითებდა, რომ შპს ს-ი პასუხისმგებელი იყო დავალიანების გადახდაზე, როგორც სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლე), თუმცა, მტკიცებულებაზე ვერ მიუთითა. სასამართლომ კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლების დარღვევით გაიზიარა ხსენებული განცხადება და დადგინდა ფაქტად მიიჩნია;

– სს „თ-ის“ ბიზნეს-ცენტრი „ს-ოს“ უფროსის №0216/824 სამსახურეობრივი წერილის თანახმად, ობიექტი მარაგდებოდა სამი დამოუკიდებელი დენის წყაროს (№3388..., №4061... და №3342... აბონენტების) მეშვეობით. №3342... აბონენტი წარმოადგენს სარეზერვო აბონენტს და აბონენტი №338...-დან კვების შეწყვეტის შემთხვევაში, ობიექტის ტერიტორიაზე არსებული გადამრთველის მეშვეობით შესაძლებელი იყო სარეზერვო აბონენტიდან კვების მიღება. გადამრთველი დამონტაჟებული იყო აბონენტის ტერიტორიაზე და მისი მომსახურება და გადართვა ხდებოდა აბონენტის მიერ დამოუკიდებლად (დასაშვებია დავის არსებობის პირობებში აღნიშნული გადამრთველი მოხსნილიც იყოს მოპასუხის მიერ და

ამ შემთხვევაში, ფაქტის კონსტატაციასაც ვერანაირი შედეგი ვერ გამოელა. ამ მტკიცებულებაზე საქალაქო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლებზე, განმარტა, რომ მოპასუხე უარყოფდა არა თუ სათადარიგო წყაროს გამოყენებას, არამედ ასეთი წყაროს არსებობის ფაქტს მის ტერიტორიაზე, რის გამოც, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოების დადასტურება მხოლოდ მისივე სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის წერილით, არ იყო საკმარისი. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სამსახურებრივი ბარათი წარმოადგენდა წერილობით მტკიცებულებას და იგი სრულად შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მოთხოვნებს. სემეკ-ის №20 დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლებიდან გამომდინარე, კასატორი ვალდებულია, მოაწიოს აბონენტისათვის ელ.ქსელი და მისი შესაბამისი ქვედანაყოფები ვალდებული არიან, იცოდნენ თუ როგორაა მოწყობილი ელ.ქსელი ყველა კონკრეტულ ობიექტზე. კანონისმიერი ვალდებულების პირობებში გაცემული წერილობითი დოკუმენტი და მისი მტკიცებულებითი ძალა, არ შეიძლება ეჭვქვეშ იყოს დაყენებული, მით უმეტეს, რომ საქმეში არსებობს სხვა მტკიცებულებებიც (სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ დირექტორის ი. ბ-ძის 2008 წლის 10 ივლისის №95 წერილი), რომლებიც განხილულ უნდა ყოფილიყვნენ ერთობლიობაში. 90-იანი წლებიდან მოცემული ობიექტი განკუთვნილი იყო მზრუნველობას მოკლებული ავადმყოფი ბავშვებისათვის, რომელთაგან ბევრი საციცოხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად მიერთებული იყო სპეციალურ სამედიცინო აპარატზე, შესაბამისად, ელ.ენერგიის მიწოდების შეფერხების შემთხვევაში, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი არც თუ ისე შორეულ წარსულში ერთი სატრანსფორმატორო ჯიხურიდან კვების შეწყვეტის შემთხვევაში გადართვა უნდა მომხდარიყო ალტერნატიულ წყაროზე, რის გამოც საჭირო გახდა მოცემულ ობიექტზე 3 დამოუკიდებელი დენის წყაროს შეყვანა. ამასთან, ელ.მრიცხველები დამონტაჟებულია ობიექტის გარეთ, ხოლო ტერიტორიის შიგნით ელ.მეურნეობის მართვას ახდენდა თვითონ აბონენტი.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-

მართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სააპელაციო პალატის დასკვნით:

1.2.1. სს „თ.ჩ.ბ.ს-ი“ (ს/კ ...) რეგისტრაციაში გატარდა 1995 წლის 8 აგვისტოს და მის რეგისტრირებულ მისამართს წარმოადგენდა ქ. თბილისი, ... მოსარჩელე კომპანიაში სს „თ.ჩ.ბ.ს-ი“ აღრიცხული იყო №334... აბონენტად და ელექტროენერგია მიეწოდებოდა ამავე მისამართზე;

1.2.2. №3342... აბონენტის ბრუნვის ისტორიის მიხედვით 2008 წლის 6 მარტიდან ამავე წლის 6 ივნისამდე აბონენტს ერიცხებოდა დავალიანება 3 409.76 ლარი. 2014 წლის 3 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე დაფიქსირდა აბონენტის მიერ 877.80 ლარის ღირებულების ელექტროენერგიის ხარჯვა, რის შედეგადაც საერთო დავალიანებამ შეადგინა 4 287.56 ლარი. 2014 წლის 5 ნოემბრიდან 2017 წლის 3 იანვრამდე ელექტროენერგიის ხარჯვა არ დაფიქსირებულა და დავალიანება შეადგენს 4 287.56 ლარს. აბონენტის ბრუნვის ისტორიის მიხედვით, ბოლოს ვალდებულების შესრულება 2007 წლის 14 მაისს, 1,44 ლარის ოდენობით გადახდაში დაფიქსირდა, ხოლო, 2007 წლის 19 თებერვალს – 1 120.21 ლარის ოდენობით. აბონენტის ბრუნვის ისტორიის მიხედვით, მთლიანი დავალიანება შეადგენს 4 287.56 ლარს, მათ შორის 3 წელზე მეტი დავალიანება – 3 409.76 ლარს;

1.2.3. 2012 წლის 14 სექტემბერს სს „ქ.თ.ჩ.ბ.ს-ი“ (ს/კ ...) შეერწყა შპს „ს-ს“ (ს/კ ...), რის გამოც, სააქციო საზოგადოებამ, როგორც დამოუკიდებელმა იურიდიულმა პირმა, შეწყვიტა არსებობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით შპს „ს-ი“ გამოცხადდა გაკოტრებულად და გაუქმდა მისი რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში;

1.2.4. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 ივლისის №585 ბრძანებულებისა და მის საფუძველზე 2009 წლის 24 თებერვალს გამოცემული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №90/ნ ბრძანების საფუძველზე დაფუძნდა სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“, რომლის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა სსიპ „აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარა-

ლებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“;

1.2.5. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ის გარემოება, რომ №334... სააბონენტო ხაზი წარმოადგენს №3388... აბონენტის სარეზერვო წყაროს და ძირითადი წყაროდან კვების შეწყვეტის შემთხვევაში, ელექტროენერგიით მომარაგება ხდებოდა №33423... სათადარიგო აბონენტის მეშვეობით. მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის გაფორმებულ არც ერთ შედარების აქტში №334... აბონენტი არ ფიგურირებს, ასევე არ ფიქსირდება სადავო აბონენტის მიხედვით რაიმე თანხის გადარიცხვის ფაქტი. დაარსების დღიდან მოპასუხე სისტემატურად იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს, თუმცა არ ეთანხმება სადავო აბონენტზე რიცხულ დავალიანებას, რადგან ამ წყაროდან ელექტროენერგიას არ ლეზულობს. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გადამრთველი, რომლის მეშვეობითაც ხდება კვების ერთი წყაროდან მეორეზე გადართვა, დამონტაჟებულია აბონენტის ტერიტორიაზე და როგორც მომსახურება, ისე – გადართვა ხდება მისივე მხრიდან დამოუკიდებლად. აღნიშნულის დადასტურების მიზნით მან წარადგინა სს „თ-ის“ ბიზნეს-ცენტრი „ს-ოს“ უფროსის სამსახურეობრივი წერილი. მოპასუხე უარყოფს არა თუ სათადარიგო წყაროს გამოყენებას, არამედ ასეთი წყაროს არსებობის ფაქტს მის ტერიტორიაზე, ხოლო მოსარჩელეს სხვა სარწმუნო მტკიცებულება სადავო ფაქტის დადასტურების მიზნით არ წარუდგენია.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმის მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით განხილვის თაობაზე და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობის არსებობა არ დგინდება. საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებზე, ასევე, მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებსა და სააპელაციო პალატის მხრიდან ამ ფაქტების დადგენის სანდოობაზე.

1.3.2. განსახილველი მოთხოვნა სახელშეკრულებო სამართლიდან გამომდინარეობს, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურებას, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები წარმოადგენს. ხსენებული ნორმის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით

ბით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამდენად, ნასყიდობის საზღაურის დაკისრების შესახებ მოთხოვნა განხორციელებადია, თუკი არსებობს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, გამყიდველმა მყიდველს მიაწოდა ელ.ენერგია, ხოლო, ამ უკანასკნელს არ გადაუხდია საზღაური. სარჩელის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იგი ფორმალურ-პროცესუალური თვალსაზრისით გამართულია, კერძოდ, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხე სადავო მისამართზე ადრე რეგისტრირებული კომპანიის უფლებამონაცვლეა, რომლის უფლებრივმა წინამორბედმა მიიღო განაწილების ლიცენზიატისგან საქონელი – ელ.ენერგია და საფასურის გადაუხდელობის გამო, ერიცხება დავალიანება. რაც შეეხება მოპასუხეს, მან არსებითი ხასიათის შედავება წარადგინა, კერძოდ, უარყო დავალიანების არსებობა და აღნიშნა, რომ ის წარმოადგენს არა სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“, არამედ – სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლეს. სააქციო საზოგადოება მოგვიანებით შეერწყა სხვა კომპანიას – შპს „ს-ს“, რომელიც ამ დროისათვის ამოწოლილია სამეწარმეო რეესტრიდან სასამართლოს მიერ კომპანიის გაკოტრებულად გამოცხადების მოტივით.

1.3.3. ვიდრე სარჩელსა და შესაგებელში გადმოცემული ფაქტებიდან გამომდინარე სასამართლო განსაზღვრავდეს მტკიცების საგანს, შეფასება უნდა მიეცეს სათანადო მოპასუხის საკითხს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს: ვინ? ვისგან? რას? რის საფუძველზე მოითხოვს? პირველი და მეორე კითხვა მხარეთა სათანადოობას განსაზღვრავს, რამდენადაც უმნიშვნელოვანესია დადგინდეს მოთხოვნის წარმდგენი არის თუ არა უფლებამოსილი განაცხადოს პრეტენზია, ასევე, ეკისრება თუ არა მოპასუხედ დასახელებულ პირს ვალდებულება, სარჩელზე აგოს პასუხი. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ დავალიანება ელექტროენერგიის გადაუხდელი საფასურიდან გამომდინარეობს, ხოლო, მოსარჩელე წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატს, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია აბონენტს მოსთხოვოს საზღაური. რაც შეეხება მოპასუხეს, როგორც ითქვა, იგი უარყოფს, როგორც ელექტროენერგიის მოხმარებას, ისე – აბონენტად რეგისტრაციას და წინა აბონენტის უფლებამონაცვლეობას, ამდენად, შემოწმებას ექვემდებარება მოპასუხის სათანადოობის საკითხი. ამ მხრივ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით,

რომლის თანახმადაც, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადანყევითებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

1.3.4. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები: საქმის განხილვის შედეგად უნდა დადგინდეს მოპასუხის არასათანადოობა; მოსარჩელეს უნდა შეეთავაზოს სათანადო მოპასუხე; მოსარჩელე თანახმა უნდა იყოს მოპასუხის ჩანაცვლებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არასათანადო მოპასუხის მიმართ არ დააკმაყოფილებს სარჩელს. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო სააბონენტო ნომერზე დავალიანება უკანასკნელად 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაფიქსირდა, ამ დროისათვის სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“ არ იყო დაარსებული, ხოლო, შპს „ს-ი“, როგორც სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლე (საწარმოთა შერწყმის შედეგად), გაკოტრებულად გამოცხადდა და ამოშლილია სამეწარმეო რეესტრიდან სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე. აღნიშნულის შედეგად, სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამეწარმეო იურიდიულმა პირმა არსებობა შეწყვიტა, ამასთანავე, არსებობის შემთხვევაში, ამავე კოდექსის 454-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ამ იურიდიული პირის ვალდებულებაც. ამდენად, შპს „ს-ის“ სათანადო მოპასუხედ შეთავაზება ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა, გარდა ამისა, მოსარჩელე მხარს უჭერს თავდაპირველი მოპასუხის წინააღმდეგ წარდგენილ მოთხოვნას და მიიჩნევს, რომ ის არის ამ მოთხოვნაზე პასუხისმგებელი.

1.3.5. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას იმის თაობაზე, რომ არც სსიპ „თ.ჩ.ბ.ს-ი“ და არც მისი რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული რომელიმე იურიდიული პირი არ წარმოადგენს სს „თ.ჩ.ბ.ს-ის“ უფლებამონაცვლეს. აღნიშნულის საპირისპიროდ ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სააქციო საზოგადოება ერთი და იგივე სუბიექტია, რადგანაც, როგორც თავად საკასაციო საჩივრით ირკვევა, განსხვავებულია მათი დამფუძნებლები, ასევე, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები), ამასთანავე, კასატორის განმარტება ვერ აბათილებს შპს „ს-ის“ თაობაზე საქმეში წარმოდგენილ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარ-

მეო იურიდიული პირების რეესტრიდან, ასევე, სუბიექტის გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ აქტს.

1.3.6. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პოზიციას სემეკის №10 და №20 დადგენილებების განმარტების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში დავას არ ინვესტის გარემოება, რომ სს „თ-ს“ აღძრული აქვს 2014 წლის ოქტომბრის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების ანაზღაურების შესახებ სარჩელი და მიიჩნევს, რომ მოპასუხე ელ.ენერგიის მომხმარებელი სუბიექტის უფლებამონაცვლეა. კასატორი საკუთარი პოზიციის მტკიცების მიზნით პრეტენზიას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე ამყარებს და მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად განმარტა სემეკ-ის დადგენილებები, ამასთანავე, არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიათა შეფასების შედეგად განმარტავს, რომ ელექტროენერგიის მიწოდება-მოხმარების წესების რეგულირებისათვის სპეციალურ საკანონმდებლო ბაზას მართალია, სემეკ-ი, როგორც მაკონტროლებელი ორგანო განსაზღვრავს საკუთარი დადგენილებებით, თუმცა, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების საკითხი ერთმნიშვნელოვნად სამოქალაქო ურთიერთობას წარმოადგენს, და რომელიც სამოქალაქო კოდექსის მოწესრიგების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით გათვალისწინებული საზღაურის უფლებამონაცვლისათვის დაკისრებისას ცალსახად უნდა დასტურდებოდეს უნივერსალური უფლებამონაცვლეობა, კერძოდ, მოპასუხე მატერიალური სამართლის რომელიმე დანაწესიდან გამომდინარე უნდა აგებდეს პასუხს უფლებრივი წინამორბედის პასივისათვის, მხოლოდ ერთსა და იმავე მისამართზე აბონენტად რეგისტრაცია, თუკი უფლებამონაცვლეს წინამორბედისაგან არ მიუღია ვალდებულებები მესამე პირების წინაშე, დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას და უსაფუძვლოდ შეამცირებს ამჟამად რეგისტრირებული მომხმარებლის ქონებრივ აქტივს. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ არც მოპასუხე და არც მისი წინამორბედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი სადავო პერიოდში გამოყენებული ელ.ენერგიის უშუალო მომხმარებელს არ წარმოადგენდა, ამასთანავე, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ რომელიმე კორპორატიული აქტი მოპასუხეს აკისრებს ადრე არსებული კერძო სამართლის სუბიექტის ვალდებულებებს. რაც შეეხება სემეკ-ის №20 დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრულ ელექტროენერგიის მიწოდების პირობებს, ასევე, აბონენტის ცვლი-

ლების შესახებ განცხადების წარდგენის წესს, იგი, მართალია, ემსახურება აბონენტის იდენტიფიცირებას და სტაბილური სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმართვას, თუმცა, აბონენტის მხრიდან ამ წესების დაუცველობა და ახალი აბონენტის მიერ განაწილების ლიცენზიატისათვის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის თაობაზე განცხადების წარუდგენლობა ავტომატურად არ შეიძლება მისი წინამორბედი აბონენტის დავალიანების მისთვის დაკისრების საფუძველი გახდეს (შინაარსობრივი რეგულაციის თვალსაზრისით ადრე მოქმედი №10 დადგენილება რაიმე განსხვავებულ შედეგს არ ადგენს). თავად კასატორი ცდილობს ზემოხსენებულ ნორმებზე დაყრდნობით წარმოაჩინოს ახალი აბონენტის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობის წარმოშობის წინაპირობები, თუმცა, თავადვე უთითებს ამავე წესების მე-6 და მე-7 მუხლებზე, სადაც საუბარია განაწილების ლიცენზიატის ვალდებულებაზე, მოაწყოს ქსელი გამართულ მდგომარეობაში. თავად წესები არ გამორიცხავს ლიცენზიატის შესაძლებლობას, გააკონტროლოს აბონენტის ქცევის კანონიერება, მაგალითად ელექტროენერგიის დატაცებისას (იხ. წესების მე-8 მუხლი), რაც სამართალდარღვევას და შესაბამისად, დასჯად ქმედებას წარმოადგენს. ამგვარი სანქციის გამოყენება საქმის მასალებით არ დგინდება, შესაბამისად, კასატორის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ გადამრთველი მისთვის მიუწვდომელ ადგილას იყო დამონტაჟებული და არ იყო გამორიცხული აბონენტის თვითნებური ქმედებები, გაზიარებას არ ექვემდებარება.

1.3.7. პალატა ასევე უარყოფს კასატორის არგუმენტს სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მოპასუხის ვალდებულება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების თაობაზე არ შეიძლება იქნეს დადასტურებული მის მიერ წარმოდგენილი ცალმხრივი დოკუმენტებით. მართალია, 2008 წლის 14 ივლისის №002451 შედარების აქტი და სს „თის“ ბიზნეს-ცენტრ „ს-ოს“ უფროსის №0216/824 სამსახურებრივი ბარათი წარმოადგენს წერილობით მტკიცებულებებს, რომლებიც სრულად პასუხობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის ფორმალურ მოთხოვნებს, რის გამოც, ისინი დაშვებულ იქნა და დაერთო საქმეს, თუმცა, მოპასუხე არ ეთანხმება მათ, რაც ამ მტკიცებულებათა იურიდიული ძალის შემოწმების აუცილებლობას წარმოშობს. სამოქალაქო საროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს რა ამა თუ იმ მტკიცებულებისათვის წინასწარ დადგენილი ძალის მინიჭების შესაძლებლობა, ქვემდგომმა სასამართლოებმა მათი ცალმხრივად, მოსარჩელის მიერ შედგენა სავ-

სებით სწორად დაუდეს საფუძვლად ამ დოკუმენტების უარყოფას. გარდა ამისა, საკასაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ კასატორი არ ეთანხმება გარკვეული დოკუმენტების საქმისათვის არდართვას, თუმცა, მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, შუალედური განჩინებები სადავოდ არ გაუხდია და არც დასაბუთებული პრეტენზია წარმოდგენია ამ კუთხით, რის გამოც, პალატა ხსენებული ნორმის საფუძველზე არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს შესაძლო საპროცესო დარღვევები.

1.4. გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების პროცესუალური დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მოპასუხის სათანადოობის საკითხი. არასათანადო მოპასუხისათვის კი, ელექტრონული ღირებულების ანაზღაურების თაობაზე სარჩელი წარუმატებელია. ამდენად, სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიებს და ამავე კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დამაყოფილდა საკასაციო საჩივარი, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, ის უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

დასაბუთება:

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დამაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge